ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 097 (12 472) 25 აპრილი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



რატომ დავუჭირე მხარი დარსაძეს

პრესკონფერენცია 2

როცა იცი, რომ მიდიხარ, უფრო მშვიდდები

ინტერვიუ მიკაელ ლაუდრუპთან 8-9



## ოლსენს ნუ ვეხუმრებით

დანიელი ტოპმიოლერზე ქვირი დაგვიჯდება



3

## ივანკოვიჩი მაისის დასაწყისში

ბრანკო ივანკოვიჩს თბილისში ჩამოსვლის ზუსტი თარიღი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის გუშინ უნდა შემოეთვალა. ივანკოვიჩი ჩვენი ახალგაზრდულის თავკაც პეტარ სეგრტს ესაუბრა, მაგრამ ხორვატების სატელეფონო საუბარმა ზუსტად ვერაფერი გაარკვია, თუმც ერთხელაც ითქვა, რომ ივანკოვიჩი თბილისში აუცილებლად ჩამოვა.

ადრეც გაუწყეთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი 2 ან 3 მაისს უნდა ჩამოვიდეს. ვითარება არ შეცვლილა: ფეხბურთის ფედერაცია ივანკოვიჩს მაისის დასაწყისში ელის. ხორვატი სპეციალისტი ინფრასტრუქტურასა და ზოგადად, აქაურობას გაეცნობა.

დავით თავართქილაძე



## ოლიმპიურ ფინალში: ბრაზილიელი ქართველები და ბრაზილიელები



ნუგზარ სვანიძის ფოტო

პლაჟური 13



## ბაიერნი ზენიტში ვერ იყო

უეფას თასი 15

პრესკონფერენცია

# რატომ დავუჭირე მხარი დარსაძეს? ცაიტნოტი იყო



ლევან ყიფიანი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ, "ჩვენი ფეხბურთის" ოფისში ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა **ლევან ყიფიანმა** პრესკონფერენცია გამართა.

"ჩვენი ფეხბურთი" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახლანდელი ხელმძღვანელობის ოპონენტია და ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის მოწვევას უჭერს მხარს. სამი წლის წინათ კი ყიფიანი ამ ფედერაციის ალმასკომის წევრი იყო და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **გაიოზ დარსაძის** კანდიდატურას დაუჭირა მხარი. გუშინ, ყიფიანმა თავისი არგუმენტები წამოაყენა, თუ რატომ დაუჭირა მხარი დარსაძის ეროვნულ გუნდში მისვლას. ამას გარდა ყიფიანმა სხვაზეც ისაუბრა.

- სიმართლე სწორად უნდა იყოს გაგებული. მაშინ თბილისის "ლოკომოტივში" ვმუშაობდი და ჩვენმა კლუბმა გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა ნოდარ ახალკაცისთვის. მე ფედერაციის ყრილობაზე დელეგატიც ვიყავი და ალმასკომის წევრიც. სხდომის წინ, დღის წესრიგი ალმასკომის წევრებს არ მიგვილია, თუმცა გვქონდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომ ახალკაცს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დარსაძე სურდა. სხდომის დაწყებამდე შევხვდი ახალკაცს, მან ამიხსნა, თუ რატომ უნდოდა დარსაძე მწვრთნელად - ამ ეტაპზე არც ფინანსებია და არც დრო სხვა ვარიანტისთვის. გარდამავალი ეტაპია და დარსაძე დროებით უნდა დავნიშნოთ ნაკრების მწვრთნელადო. ასეთ სიტუაციაში საჭიროდ ჩავთვალე მხარი დამეჭირა მისი კანდიდატურისთვის. არ მინდა, ყოველივე ეს თავის მართლებად ჩამეთვალოს, უბრალოდ, ფაქტის კონსტატაციას ვახდენ. მოკლედ, ეს სპონტანური გადაწყვეტილება იყო და ამის გამო ჩემ მიმართ ბრალდების წამოყენება, არასწორად მიმაჩნია.

**- დარსაძის კანდიდატურისთვის მხარდაჭერა თქვენი პოზიცია იყო თუ "ლოკომოტივის"?**

- ალმასკომზე კლუბის პოზიცია უნდა დამეფიქსირებინა.

**- როგორი იყო თქვენი, საკუთარი პოზიცია?**

- არ ვიცოდი, რა პროექტით მოდიოდა დარსაძე ნაკრების მთავარ მწვრთნელად. ახალკაცი "ლოკომოტივის" ოფისშიც იყო მოსული და თავისი გეგმები გაგვაცნო. მას უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის 16-მდე გაზრდა სურდა, რაშიც არ დავეთანხმე და ვუთხარი, ეს მცდარი იდეაა-მეთქი.

**- მაინც რა არგუმენტით დაუჭირეთ მხარი დარსაძეს? ფედერაციაში მოდის ახალი პრეზიდენტი და გეუბნებათ, არ მაქვს ფული და ხმა მიეცი დარსაძის კანდიდატურას. რა მოტივით ენდეთ ისეთ პრეზიდენტს, რომელიც მოდის ამბიციით და თან გეუბნებათ, რომ ფული არ აქვს ნაკრების მწვრთნელისთვის?**

- კრიტერიუმი არ არსებობდა, რადგან ცაიტნოტური სიტუაცია იყო და ახალკაცს რომ ეთქვა, მე უნდა გავხდე ნაკრების მწვრთნელიო, მისთვის უნდა დამეჭირა მხარი.

**- როგორ ფიქრობთ, ფედერაციის ხელმძღვანელობაში ერთიანობაა?**

- არ ვიცი. ფაქტია, რომ მათი მხრიდან ადგილი აქვს დროის გაწელვას, რათა პოზიციები შეინარჩუნონ. რიგგარეშე ყრილობის დანიშვნა სწორ ნაბიჯად მიმაჩნია. უნდა გაიზარდოს ყრილობის დელეგატთა რიცხვი - პირველი და რეგიონული ლიგის გუნდები, საფეხბურთო სკოლები - დელეგატთა რიცხვი 170-180 უნდა იყოს, ასეთ შემთხვევაში მანიპულირების საშუალება შემცირდება.

**- რა პროცედურით ხდება რიგგარეშე ყრილობის დანიშვნა?**

- ფედერაციის პრეზიდენტს შეუძლია ამის გაკეთება. არსებობს სხვა გზაც - ამ დროისთვის ფედერაციის ყრილობას 35 დელეგატი ჰყავს და თუ მისი მეათედი, ანუ ოთხი დელეგატი მოითხოვს რიგგარეშე ყრილობას, ის უნდა გაიმართოს.

ყიფიანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მაშინ მუშაობდა, პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** რომ იყო. ყიფიანმა ამ პერიოდზეც ისაუბრა:

- გაიჟღერა ბრალდებებმა, თითქოს მე ფედერაციაში მუშაობისას არაფერს ვაკეთებდი. ფედერაციაში მუშაობა 1998 წელს დავიწყე და ბავშვთა ფეხბურთის განყოფილება ჩავიბარე. 1999 წელს ჩემი თაოსნობით დაფუძნდა ჭაბუკთა ლიგა, დავიწყეთ 1985 წელს დაბადებულთა შერჩევა - გოჩა ხოჯავა, გოგი ფიფია, სანდრო იაშვილი, ზაალ ელიავა... 1985 წელს დაბადებული არაერთი საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდა. მაშინ უეფას მოთხოვნა არ იყო, რომ კლუბთა ლიცენზირებისთვის აუცილებელ პირობად შესულიყო ასაკობრივ ლიგებში გუნდების ყოლა. ფაქტია, ჩვენ ეს უეფას დავასწარით, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევით მოხდა. სამი ასაკობრივი ლიგა შევქმენი - და სამივეს ფედერაცია აფინანსებდა - კვების და მგზავრობის ხარჯებს ჩვენ ვილებდით, ახლა კი ასაკობრივი ლიგის გუნდები სამონაწილეო თანხას 1800 ლარს იხდიან...

- 1999 წლიდან ფედერაციაში დავაბრუნეთ გაიოზ დარსაძე და აღვადგინეთ მწვრთნელთა მომზადების კურსები - ყოველივე ეს ჩემი ინიციატივით მოხდა...

- კიდევ ერთი ჩემი პროექტი ის იყო, რომ ფუტზალის ასოციაციის ჩამოყალიბებაში შევიტანე წვლილი...

- 2001 წელს ფედერაციიდან პირადი მოსაზრებების გამო წამოვედი, თუმცა უქმად არ ვყოფილვარ - საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის შექმნაზე ვმუშაობდი და ახლანდელ პრემიერ-მინისტრთან, მაშინ ლონდონში მცხოვრებ ლადო გურგენიძესთანაც კი მქონდა ურთიერთობა, რათა ინგლისში ფეხბურთის განვითარების საკითხებზე ინფორმაცია მოეწოდებინა. პროფლიგის შექმნის პროექტი დიმიტრი რამიშვილმა დაასრულა, მე კი "ლოკომოტივში" მივედი.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა

# დინამოს მდევართა



ვიტ ჯორჯიას ბათუმში დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს

**XXIII ტური**

| | |
|---|---|
| **25 აპრილი, პარასკევი** | |
| 16:00 | ბათუმი-ვიტ ჯორჯია |
| 16:00 | სიონი-ოლიმპი |
| 16:00 | ამერი-მგლები |
| **26 აპრილი, შაბათი** | |
| 16:00 | ბორჯომი-დილა |
| 16:00 | მერანი-ლოკომოტივი |
| 16:00 | სპარტაკი-ზესტაფონი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 23 | 20 | 1 | 2 | 58-13 | 61 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 22 | 17 | 3 | 2 | 40-10 | 54 |
| 3. ზესტაფონი | 22 | 17 | 3 | 2 | 51-12 | 54 |
| 4. ამერი | 22 | 13 | 2 | 7 | 41-24 | 41 |
| 5. ოლიმპი | 22 | 12 | 4 | 6 | 21-15 | 40 |
| 6. მესხეთი | 23 | 9 | 5 | 9 | 24-28 | 32 |
| 7. ბორჯომი | 22 | 8 | 4 | 10 | 25-27 | 28 |
| 8. მგლები | 22 | 8 | 3 | 11 | 21-24 | 27 |
| 9. სიონი | 22 | 7 | 5 | 10 | 23-30 | 26 |
| 10. ლოკომოტივი | 22 | 5 | 5 | 12 | 15-26 | 20 |
| 11. სპარტაკი | 22 | 4 | 6 | 12 | 8-23 | 18 |
| 12. მერანი | 22 | 5 | 1 | 16 | 12-45 | 16 |
| 13. ბათუმი | 22 | 4 | 3 | 15 | 13-41 | 15 |
| 14. დილა | 22 | 1 | 5 | 16 | 8-43 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 14 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 11 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 10 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| აკირემი (დინამო) | 9 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტ./ბათუმი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი) | 8 |
| ინასარიძე (მესხეთი) | 8 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 8 |

გუშინწინ "დინამომ" "მესხეთის" ძლევით ერთპიროვნული ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა, დღეს და ხვალ კი უკვე მის მდევრებს ელით არცთუ იოლი შეხვედრები. "ბათუმი" და "სპარტაკი" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვიან და, ბუნებრივია, შესაბამისად, "ვიტ ჯორჯიასა" და "ზესტაფონს" შინ დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ. შესაძლოა, ამ ტურმა ჩემპიონის გამოვლენა კიდევ უფრო დააჩქაროს, ასევე მოსალოდნელია, რომ სახიფათო ზონას ერთმა ან მეტმა გუნდმა დააღწიოს თავი. მოკლედ, წინასააღდგომო ტური სატურნირო ცხრილში საკმაო ცვლილებებს შეიტანს.

**16:00 ბათუმი-ვიტ ჯორჯია**

25 აპრილი. ბათუმი. ადელი
პირველ წრეში: 1:4

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბათუმი: სტურუა, თედორაძე, კ. მახარაძე, გალოგრე, კუნჭულია, ცანავა, ოქრუაშვილი, ქებაძე, ბაბუნაშვილი, გაგა ჩხეტიანი, გ. ნოდ. ჭელიძე

დისკვალიფიკაცია: მაკარიანი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ყველაშვილი, დ. ლომაია, ბეჭვაია, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, სახოკია, ლუჭაშვილი

დისკვალიფიკაცია: ა. კვახაძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

ბუნებრივია, "ვიტ ჯორჯია" "ბათუმზე" გაცილებით მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ აჭარელებს დასაკარგი არაფერი აქვთ და თუ დღეს ხელი მოეცარათ, უმაღლესში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ. "დინამოსთან" გადატანილი ბრძოლის შემდეგ კი ვეტერინარები ოდნავადაც არ უნდა მოდუნდნენ. თუკი **ნესტორ მუმლაძე** და მისი ფეხბურთელები ჩემპიონობას ვერ შესწვდებიან, მეორე პოზიციის შესანარჩუნებლად მაინც უნდა იბრძოლონ.

**16:00 ამერი-მგლები**

25 აპრილი. თბილისი. ამერი
პირველ წრეში: 1:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ამერი: ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, დობროვოლსკი, დიდავა, დეკანოსიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე

მგლები: ივარდავა, ზ. ექონია, მაჭავარიანი, ჟვანია, ხუხია, დ. ქირია, კუტალია, ქომეთიანი, ჭკადუა, ჯანაშია, კრასოვსკი

დისკვალიფიკაცია: კაკაბაძე, ვართაგავა, ხოხონიშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე

ზუგდიდელთათვის სეზონის დარჩენილმა ნაწილმა პრაქტიკული მნიშვნელობა დიდი ხნის წინათ დაკარგა. ჩემპიონატზე აქცენტს აღარ აკეთებენ ამერელები, რომელთა მთავარი საფიქრალიც ბორჯომში გასამართი ნახევარფინალის... განმეორებითი სათასო მატჩია. იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელ შეხვედრაში მეტოქეები ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფლები არიან, გლდანში სანახაობრივ ფეხბურთს უნდა ველოდოთ.

**16:00 სიონი-ოლიმპი**

25 აპრილი. ბოლნისი. თ. სტეფანია
პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

სიონი: ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, ბოიომო, კობაური, გ. ოქროპირიძე, ბ. ნოზაძე, შავგულიძე, სანიკიძე, შ. ჯიქია, ჩასემი

დისკვალიფიკაცია: ბაჯელიძე

ოლიმპი: ლომაია, ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, კახელიშვილი, სებისკვერაძე, ჯოჯუა, ხუბუა, გეწაძე, დევდარიანი, ომელიანოვი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

შარშანდელ სეზონში ამ გუნდების მატჩი უდავოდ ტურის გამორჩეული მოვლენა იქნებოდა, წლეულს კი ქვემოქართლელები მხოლოდ მოკრძალებული მიზნებისთვის იბრძვიან. ამის მიუხედავად, ბოლნისში ურიგო სანახაობა არ უნდა გაიმართოს. "სიონი" "ოქროს შუალედშია", მეტი მოტივაცია კი "ოლიმპს" აქვს, რომელიც ინტერტოტოს თასის საგზურისთვის იბრძვის.



ჟორჟიკაშვილი თავის ყოფილ კლუბს დაუპირისპირდება

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXIII ტური. წინათქმა

# რთული სტუმრობა



ლოკომოტივს მერანთან სამი ქულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს

### 16:00 სპარტაკი-ზესტაფონი

26 აპრილი. გორი. ქართლი
პირველ წრეში: 0:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

სპარტაკი: ქვილითაია, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი, ქემოკლიძე, ბახტურიძე, თარხნიშვილი, ძარია, ქორიძე, გოგოხია, ხიდეშელი, ვ. კვარაცხელია

*დისკვალიფიკაცია: მ. ღონღაძე*

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ლობჟანიძე, ს. თოდუა, საჯაია, აკუასაგა, ნ. კვასხვაძე, კესანი, რ. ონიანი, ვიეირა, ზ. გოცირიძე, ბიტოო

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

"სპარტაკმა" "ვიტ ჯორჯიასთანაც" დაამტკიცა, რომ ლიდერებთან ჭიდილი წარმატებით შეუძლია. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა ვეტერინარებს ქულები დააკარგვინა, მანამდე "სპარტაკი" "დინამოს" ებრძოლა და კინაღამ თასიდანაც გამოაგდო. მოკლედ, "ზესტაფონს" მეტად რთული გასვლითი დაპირისპირება ელის. შეგახსენებთ, მომდევნო ტურში ფეროელები "დინამოს" მასპინძლობენ, ასე რომ, ამ ტურზეა დამოკიდებული, ექნება თუ არა იმ თამაშს საჩემპიონო ინტრიგა.

### 16:00 მერანი-ლოკომოტივი

26 აპრილი. თბილისი. მერანი
პირველ წრეში: 2:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, გიგაური, სარალიძე, ქემაშვილი, ფირანიშვილი, ბესარაშვილი, თავბერიძე, ბაკურაძე, კობერიძე, გოჩაშვილი

ლოკომოტივი: მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ქუხილავა, ს. გილაური, ცქიტიშვილი, წულაძე, სამხარაძე, დარასელია, ალექსიძე

*დისკვალიფიკაცია: გუშარაშვილი, ფარულავა, ზ. ჩხეტიანი*

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

"მერანის" სავარაუდო შემადგენლობაზე ვერაფერს გეტყვით. გუნდი წინა ტურში "ზესტაფონს" ჭაბუკთა ლიგაში მოასპარეზე ბიჭებით ეწვია და როგორც მოსალოდნელი იყო, განადგურდა. ძირითადი გუნდის ფეხბურთელთა ბედი კი გაურკვეველია. "მერანში" ფინანსური პრობლემებია და ჯერ არ გარკვეულა, რა ბედი ეწევა დედაქალაქურ კლუბს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, "ლოკომოტივს" გამარჯვების ჩინებული შანსი აქვს, რაც რკინიგზელებს სამშვიდობოსთან ძალიან მიაახლოებს.

### 16:00 ბორჯომი-დილა

26 აპრილი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
პირველ წრეში: 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბორჯომი: სეფიაშვილი, გურული, ქარქოზაშვილი, კაკუბავა, გივი ჩხეტიანი, ნ. ლომიძე, ვ. ბოლქვაძე, გოგიჩაიშვილი, ჩირიკაშვილი, კირთაძე, ჯიუსტი

*დისკვალიფიკაცია: თედიაშვილი, მეგრელაძე*

დილა: ცერცვაძე, გვეტაძე, ლაცაბიძე, ბალიაშვილი, ბალაშვილი, ტლაშაძე, სადალაშვილი, აბრამიშვილი, რატიანი, სულთანიშვილი, გ. მიქაძე

*დისკვალიფიკაცია: საყვარელიძე, ბერიანიძე*

არბიტრი: კ. ჭაჭუა

ტურის ყველაზე უპრინციპო შეხვედრას ბორჯომი უმასპინძლებს. ამ მატჩზე სათქმელიც ბევრი არაფერია, ორივე გუნდისთვის ყველაფერი გარკვეულია. "ბორჯომს" თასზე "ამერთან" 1:4-ის გაბათილების მიზერული შანსი აქვს და ხაჩიძის გუნდის მზადებაც სწორედ ამისკენაა მიმართული.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ქვემოქართლურ დერბიში ოლიმპი ინტერტოტოსთვის იბრძოლებს

პირველი ლიგა. 24-ე ტური

**აღმოსავლეთი ზონა**

| | |
|---|---|
| ნ. დინამო/მერანი 2-კახეთი | 0:3 |
| მეშაძრე-დინამო 2 | 0:0 |
| გაგრა-ოლიმპიკი | 5:2 |

**26 აპრილი**

ვიტ ჯორჯია 2-ჩიხურა
ამერი 2-ოლიმპი 2

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 24 | 13 | 6 | 5 | 51-36 | 45 |
| 2. მეშაძრე | 24 | 12 | 8 | 4 | 32-19 | 44 |
| 3. დინამო 2 | 24 | 12 | 7 | 5 | 33-19 | 43 |
| 4. ვიტ ჯორ. 2 | 23 | 12 | 5 | 6 | 34-18 | 41 |
| 5. ჩიხურა | 23 | 11 | 6 | 6 | 37-29 | 39 |
| 6. ოლიმპი 2 | 23 | 8 | 8 | 7 | 30-26 | 32 |
| 7. კახეთი | 24 | 9 | 4 | 11 | 36-36 | 31 |
| 8. ამერი 2 | 23 | 8 | 2 | 13 | 33-36 | 26 |
| 9. ოლიმპიკი | 24 | 5 | 4 | 15 | 31-50 | 19 |
| 10. მერ.2/ნ.დინ. | 24 | 0 | 6 | 18 | 17-65 | 6 |

**დასავლეთი ზონა**

**24 აპრილი**

| | |
|---|---|
| კოლხეთი ხ.-ზესტაფონი 2 | 0:0 |
| მეშახტე-კოლხეთი ფ. | 1:0 |
| ტორპედო-სამტრედია | 0:2 |
| მალაროელი-უნივერსიტეტი | 1:0 |
| ფაზისი-მერანი მარტვ. | 0:3 (ტექ.) |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაროელი | 24 | 19 | 3 | 2 | 49-17 | 60 |
| 2. მეშახტე | 24 | 13 | 2 | 9 | 37-34 | 41 |
| 3. მერანი მ. | 24 | 12 | 5 | 7 | 32-20 | 41 |
| 4. ზესტაფონი 2 | 23 | 12 | 2 | 9 | 39-24 | 38 |
| 5. კოლხეთი ხ. | 24 | 9 | 7 | 8 | 33-25 | 34 |
| 6. ტორპედო | 24 | 9 | 6 | 9 | 33-30 | 33 |
| 7. კოლხეთი ფ. | 24 | 8 | 7 | 9 | 29-33 | 31 |
| 8. სამტრედია | 24 | 8 | 4 | 12 | 32-46 | 28 |
| 9. უნივერსიტ. | 24 | 7 | 3 | 14 | 19-27 | 24 |
| 10. ფაზისი* | 24 | 2 | 2 | 20 | 17-64 | 8 |

* ფაზისი მოხსნილია გათამაშებიდან




# აბა, გამოიცან!

ლიდერი ბრანკო ივანკოვიჩია, მაგრამ მისი ლიდერობა არამდგრადია - გაჩნდა ჩქამი, რომ ისევ ამოტივტივდა მორტენ ოლსენის ვარიანტი.

80-იანი წლები, ჯერაც ვარსკვლავური ფეხბურთის ეპოქა, როცა ლიბეროთი თამაშობდნენ...

საბჭოთა მთავრობამ და ტელევიზიამ 1984 წელს საფრანგეთში გამართული ევროპის ჩემპიონატიდან მხოლოდ სამი მატჩის პირდაპირი რეპორტაჟით გაგვახარა - ნახევარფინალები და ფინალი. ტურნირის აღმოჩენა დანიის ნაკრები იყო. მანამდე საქართველოში ცოტამ თუ იცოდა, ვინ იყო პრებენ ელკიაერი, მიქაელ ლაუდრუპი და მორტენ ოლსენი. საფრანგეთი 84-მდე საქართველოში ყველაზე ცნობილი დანიელი ფეხბურთელი ალბათ სიორენ ლერბი იყო, რომელიც მიუნხენის "ბაიერნში" თამაშობდა.

ვნახეთ დანია-ესპანეთის ნახევარფინალი (1:1), სადაც დანიელები პენალტების სერიაში დამარცხდნენ. ეს იყო გუნდი-ესთეტიკა, რომელიც შექმნა ზეპ პიონტეკმა და რომელსაც ალამაზებდნენ ელკიაერი, ლაუდრუპი და ოლსენი.

გაბედული, ჭკვიანი, სადა და ტექნიკური - ოლსენი მაგარი ლიბერო იყო, 1983 წელს "ანდერლეხტში" უეფას თასიც კი მოიგო.

ფეხბურთელობის ბოლო სამი წელიწადი ოლსენმა "კიოლნში" ითამაშა, მერე კი მწვრთნელობა დაიწყო, "ბრონდბიუს" შემდეგ "კიოლნი" ჩაიბარა და გუნდი ბუნდესლიგიდან გავარდნას გადაარჩინა. "კიოლნს" მაშინ მწირი ბიუჯეტი ჰქონდა, მაგრამ კარგი მწვრთნელით და არცთუ ცნობილი ფეხბურთელებით თავი ყინჩად ეჭირა. ოლსენი ცუდი შედეგის გამო არ გაუშვიათ გუნდიდან - კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდა.

ალბათ გახსოვთ, რომ სწორედ ოლსენის დროს მივიდა "კიოლნში" რევაზ არველაძე. როცა ოლსენმა ამსტერდამის "აიაქსი" ჩაიბარა, შოთა არველაძესთან ერთად ერთ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატიც მოიგო და თასიც. მერე კი მას ურთიერთობა დაეძაბა ფრანკ და რონალდ დე ბურებთან და "აიაქსს" ჩამოსცილდა.

2000 წელს ოლსენმა დანიის ნაკრები ჩაიბარა. 2002 წელს გუნდი მუნდიალზე გაიყვანა, 2004-ში - ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ბოლო ორ წელიწადში კი ნაკრებს შესარჩევი ეტაპი ვერ დააძლევინა, თუმცა ისევ რჩება პოსტზე - კონტრაქტი დანიის ფეხბურთის ფედერაციასთან 2010 წლის ზაფხულში ეწურება.

ბოლოდროინდელი წარუმატებლობების გამო დანიის ფეხბურთის ფედერაცია მას კალთებს ალბათ არ დაახევს, თუ თვითონ ოლსენი მოისურვებს კონტრაქტის გაწყვეტას.

ოლსენის ჩამოყვანა იაფი არ დაჯდება და თავისებური რისკია - ისევ უნდა დაიხარჯოს მილიონები და ისევ ხომ არ შეგვრჩება ჯგუფში ბოლო ან ბოლოდან მეორე ადგილი.

ივანკოვიჩი სულ სხვაა. ამ კაცმა ძალიან სპეციფიკჯურ ქვეყანაში იმუშავა და გუნდი მუნდიალზე გაიყვანა - სპარსეთში მუშაობა უცხოელისთვის იოლი არ არის, კომფორტის მოყვარული მწვრთნელი იქ ალბათ არ წავა - მოხეტიალე, ახლის მაძიებელი, ვისაც სირთულეებთან ბრძოლა სტიმულს მატებს - ასეთად ჩანს ივანკოვიჩი.

ოლსენი კი უფრო რომანტიკოსი მწვრთნელია და ძალიან ძნელია, გამოიცნო - ვინ უფრო მოუხდება საქართველოს ნაკრებს.

**დავით თავართქილაძე**



მორტენ ოლსენი

პრესკონფერენცია

# არველაძეები ქართული ფეხბურთისთვის

## 12 მაისს პრეზენტაცია და ვებგვერდი

ფონდი "არველაძე", ქველმოქმედება, ბავშვთა ფეხბურთი - ბოლო დროს მსგავსი ხშირად გვხვდება. კაფე "მსოფლიო სპორტში" გუშინ გამართული პრესკონფერენცია ამ თემას მიეძღვნა. მედიის წინაშე **პაატა ბურჯალიანი** და ძმები **რევაზ** და **არჩილ არველაძეები** წარდგნენ.

**პაატა ბურჯალიანი:** *"12 მაისს ფონდ "არველაძის" პრეზენტაცია სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" შედგება. ფონდის დევიზია - "ითამაშე ფეხბურთი". იმავე 12 მაისს ამოქმედდება ვებგვერდი www.arveladzefun.com, რომელზეც არაერთ ინფორმაციას ნახავთ ჩვენი ფონდისა და შოთას ფეხბურთიდან გამოსათხოვარ მატჩისა და მოპატიჟებული სტუმრების შესახებ. ეს ვებგვერდი ოპერატიული იქნება".*

**რევაზ არველაძე:** *"უპირველეს ყოვლისა, მოახლოებულ აღდგომის დღესასწაულს გილოცავთ. ჩვენი ფონდი საქველმოქმედოა და ქართული ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს. ფეხბურთში არაერთი კარგი რამ გავაკეთეთ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ფონდი შეგვექმნა და ჩვენი საქმიანობისთვის ორგანიზებული სახე მიგვეცა.*

*3 ივნისის მატჩისთვის მსოფლიო ფეხბურთის არაერთი ვარსკვლავი ჩამოვა თბილისში. ბუნებრივია, მასმედიის ინტერესი დიდი იქნება. ჩვენ ამაზეც ვიზრუნეთ დ სპეციალურ ბრიფინგებს მოვაწყობთ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" და აეროპორტშიც.*

*3 ივნისის მატჩში, შოთას მეგობრების, ვარსკვლავების კრებულს საქართველოს ნაკრები გაეჯიბრება, რომელშიც ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები იასპარეზებენ".*

მერე კი კითხვა-პასუხი გაჩაღდა.

**- 3 ივნისის მატჩში ვინ იქნება ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი?**

რ.ა. - ჩვენს ნაკრებს ამ შეხვედრაში ორი მწვრთნელი ეყოლება და ორივე ქართველი, თანაც საკმაოდ ნაცნობი. გვარებს კი პრეზენტაციაზე გაგიმხელთ.

**- შოთას გამოსათხოვარ მატჩში რაული და გვარდიოლა მონაწილეობას თუ მიიღებენ?**

ა.ა. - რაულზე ვერაფრს გეტყვით. რაც შეეხება გვარდიოლას, ის "ბარსელონას" ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელია. 3 ივნისს მისი გუნდი ფლეი ოფში თამაშობს. ამის გამო თბილისში ჩამოსვლას ვერ ახერხებს და ბოდიში მოგვიხადა.

**- პატრიკ კლუივერტი?**

ა. ა. - კლუივერტი საქმის კურსშია. მასთან გრძელდება მოლაპარაკება. აქვე ერთსაც გეტყვით, კიდევ ერთი საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელისგან მივილეთ თანხმობა. თუმცა მის ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ.

**- ზინედინ ზიდანს ხომ არ გულისხმობთ?**

რ. ა. - არა, ზიდანი არაა.

**- ფონდის პრეზიდენტი ვინ იქნება?**

რ. ა. - ეს ფონდი სამივე ძმა არველაძეს გვიკავშირდება და ფონდს პრეზიდენტი არ ეყოლება. ამ საქმეს რიგრიგობით ვუხელმძღვანელებთ. ფონდი ჩვეულებრივ იფუნქციონერებს და არაერთი მიმართულება ექნება. ყოველივე ეს და საერთოდ ფონდის კონცეფცია, ფონდის ვებგვერდზე განთავსდება.



არჩილ და რევაზ არველაძეები — ნუგზარ სუარიძის ფოტო

*რაც შეეხება შოთას გამოსათხოვარ მატჩს, თამაშის ორგანიზებაში ჩართულია ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა. 3 ივნისის მატჩზე არაერთმა კომპანიამ გამოთქვა მხარდაჭერის სურვილი და ყოველივე ამაზე 12 მაისს პრეზენტაციაზე გეტყვით. ერთი სიტყვით, 12-ში ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს გაიგებთ.*

*გაცნობებთ იმასაც, რომ ჩემი მეუღლე, თეონა თავართქილაძე და ატელიე "თენეი" 2 ივნისს ჩვენებას მოაწყობს, რომელიც 3 ივნისის მატჩს მიეძღვნება".*

**არჩილ არველაძე:** *"ფეხბურთის გარეშე ერთი დღეც არ გვიცხოვრია. ჩვენი ფონდის საქმიანობა ქართული ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს. ნიჭიერ, მოზარდ ფეხბურთელებს ყველანაირად მხარში ამოვუდგებით, რომ თავიანთი ნიჭი გამოიყენონ და დიდი ფეხბურთი ითამაშონ.*

**დავით ცაბაძე**

# რუსთავი 2: ფორუმზე სიუჟეტი დროის სიმცირის გამო არ გავიდა

## მართლა ემხრობა თუ არა ნიკა ვაჩეიშვილი ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებს?



ზურაბ პეტრიაშვილი, ვლადიმერ გუცაევი, მიხეილ ყაველაშვილი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

რედაქციაში "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის" ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ პეტრიაშვილი დაგვიკავშირდა და რამდენიმე საკითხზე გვესაუბრა

- 21 აპრილს ჭადრაკის სასახლეში ბევრი პოლიტიკოსი იყო, ოპოზიციონერიც, ხელისუფლების მომხრეც, მაგრამ საჯაროდ გამოვრიცხეთ მათთან კავშირი. პოლიტიკოსებს, შესაძლოა, ჩვენი თანადგომა სურთ, მაგრამ პოლიტიკასთან გაკარება არ გვსურს. გვიხარია, რომ მათ ეს გაგებით მიიღეს.

ჭადრაკის სასახლიდან ფედერაციაში მივედით მე, დათო უგრელიძე, ლევან ყიფიანი, მიშა ყაველაშვილი, მამუკა კვარაცხელია და გელა კეტაშვილი. იქ დაგვხვდნენ ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე და გენერალური მდივანი უჩა უგულავა, აგრეთვე პრესატაშე სანდრო ცნობილაძე და დავით კოვზირიძე. შემდეგ რეზო არველაძეც მოვიდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ფედერაციას ჩვენი მოთხოვნები გავაცანით.

მერე გოგი ქავთარაძემ ბრძანა, თუ საქმის გაკეთება სურდათ, ფედერაციაში მუშაობის დროს რატომ არ გააკეთესო. ფედერაციაში მე, მამუკა კვარაცხელია და ლევან ყიფიანი ვმუშაობდით და არა ყველა ჩვენგანი. მეორეც - მე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი 1990 წელს. საერთო აზრია, რომ იმ წლის ჩემპიონატი საუკეთესო იყო. მაშინ მე ჩემი ნებით წამოვედი, უფროსი ახალკაცი დიდხანს არ მიშვებდა, მაგრამ შევეწინააღმდეგე იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც წესდებას ეწინააღმდეგებოდა.

თუმცა მთავარი სხვა რამაა. 23 აპრილს, ჟურნალისტმა გიორგი კეპულაძემ მე და ვოვა გუცაევს "ლოკომოტივის" სტადიონზე 21 აპრილის ფორუმზე კომენტარი ჩამოგვართვა. როგორც ვიცი, მანამდე მიხეილ ყაველაშვილსა და კულტურისა და სპორტის მინისტრ ნიკა ვაჩეიშვილსაც ესაუბრა და გვითხრა, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობასთანაც მიდიოდა. ჩვენ 21 აპრილის საფეხბურთო ფორუმზე წამოყენებული მოთხოვნები გავიმეორეთ, რა მიზეზებით ვითხოვთ რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას და ა.შ.

საღამოს 8 საათზე 9 საათიანი "კურიერის" ანონსში, ჩვენი სიუჟეტის ფრაგმენტი და კომენტარის ნაწილიც აჩვენეს. თუმცა სიუჟეტი აღარ გასულა. თუ რატომ, ამაზე გარკვეული ვარაუდები გაჩნდა, მაგრამ ვიტყვი იმას, რაც ვიცი. უკვე ამ დროისთვის ჩაწერილი ჰყავდათ ნიკა ვაჩეიშვილი და როგორც აღმოჩნდა, ის იზიარებდა ჩვენს აზრს რიგგარეშე არჩევნების გამართვასთან დაკავშირებით. ის წესიერი კაცია და უთქვამს, რადგან რიგგარეშე ყრილობას ასეთი ცნობილი ადამიანები ითხოვენ და რასაც ხალხი ფიქრობს, შეუძლებელია, ტყუილი მოთხოვნა იყოსო.

რა არის დასამალი, ყველამ იცის, რომ რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას ვითხოვთ, ამაზე 21 აპრილს სიუჟეტიც აჩვენეს, მაგრამ ვაჩეიშვილის კომენტარის შემდეგ რაღაც შეიცვალა.

ჩნდება კითხვა, რა მოხდა? ნიკა ვაჩეიშვილისადმი ისედაც სიმპატიით ვიყავი განწყობილი და როგორც ჩანს, მას ფეხბურთში არსებული ვითარება სწორად შეუფასებია. ვსვამ კითხვას – ვის არ მოეწონა სიუჟეტი და 9-საათიან "კურიერში" რა მიზეზით არ აჩვენეს?

კომენტარისთვის "რუსთავი2"-ის სპორტული რედაქციის ხელმძღვანელს, **დიმიტრი ობოლაძეს** დავუკავშირდით: *"რუსთავი 2-ს" ფედერაციის ოპონენტების დაბლოკვა რომ სდომოდა, მაშინ "სპორტტაიმში" მთელ გადაცემას არ დაუთმობდა. დაბლოკვა აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ხშირად იქმნება ცაიტნოტური ვითარება, საეთერო დროში ვერ ვეტევით და ზოგიერთი სიუჟეტის ამოღება ხდება.*

*იმ დღესაც, „კურიერის" შემდეგ პოლიტიკური თოქ-შოუ იწყებოდა, მერე ჩემპიონთა ლიგის პირდაპირი რეპორტაჟი და დროში ვერ ვეტეოდით. ეტყობა, სიუჟეტიც იმიტომ ამოაგდეს. ბოლოს და ბოლოს, საფეხბურთო ფორუმზე სიუჟეტი ორი დღით ადრე, 21 აპრილის გავაკეთეთ და ეტყობა, სხვა თემა უფრო მნიშვნელოვნად ჩათვალეს.. ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა და კიდევ მოხდება. წინასწარ განზრახულ ქვეტექსტებს ტყუილად ხედავენ. ამაში სკანდალური არაფერია."*

კომენტარი კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, **ნიკა ვაჩეიშვილსაც** ვთხოვეთ:

- მე ასე ცალსახად არ მითქვამს, რომ რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს. ეს გადამეტებულია. უბრალოდ, მიმაჩნია, როდესაც ფეხბურთის განვითარებაზეა საუბარი, ყველანაირი აზრი უნდა გავითვალისწინოთ.

**- მათ შორის, ფედერაციის ოპონენტების, რომლებმაც ჭადრაკის სასახლეში ფორუმი გამართეს?**

- რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ. თუმცა ფეხბურთის ფედერაცია ავტონომიური ორგანიზაციაა და არავის აქვს ზეწოლის გამოყენებისა და ფედერაციის საქმიანობაში ჩარევის უფლება.

ანუ იმის თქმა მსურს, რომ საკითხს ცალმხრივად არ უნდა მივუდგეთ. ფეხბურთის ფედერაციის აზრითაც დავინტერესდეთ, როდესაც ასეთი პრინციპული საკითხი წყდება და მათი ოპონენტებისაც. დიალოგი საჭირო და აუცილებელია.

ისეც არ უნდა გამოვიდეს, რადიკალური ცვლილებები ხუთი კაცის აზრით მოვითხოვოთ.

**- თქვენი აზრით, ჭადრაკის სასახლეში მიღებული მიმართვა ხუთი კაცის აზრს გამოხატავდა?**

- არა, რა თქმა უნდა. ორივე მხარის აზრი გასათვალისწინებელია. საერთოდ, ძალიანაც კარგია, როდესაც ასეთი შეკრებები იმართება და გულისტკივილს და საფიქრალს გამოხატავენ. ჯანსაღი კამათი და პაექრობა საქმეს არ ავნებს. უბრალოდ, ყველა მოსაზრება კარგად უნდა ავიწონ-დავწონოთ და უკეთეს აზრამდე მივიდეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

არჩევნები

# პრეზიდენტი ისევ კვარაცხელიაა

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელს **სერგო კვარაცხელიას** საპრეზიდენტო ვადა ამოეწურა და ახალი არჩევნები ჩატარდა. როგორც შევიტყვეთ, რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში კვლავ კვარაცხელიამ მოიგო - უკლებლივ ყველა დელეგატის ხმა მას ერგო.

**დავით ცაბაძე**

პრეზენტაცია

# ფეხბურთი უფასოდ

გუშინ, ხობში ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლის პრეზენტაცია გაიმართა. სკოლა წარსულში სახელისუფლო სტრუქტურებში სპორტის კურატორის, შემდეგ ცნობილი ბიზნესმენის, **გოდერძი ბუკიას** თაოსნობით გაიხსნა და 400-მდე ბავშვი ფეხბურთს უფასოდ დაეუფლება.

გოდერძი ბუკია ხობელია და ამავე რაიონში იყრის კენჭს, მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში, როგორც დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი. პრეზენტაციას ესწრებოდა ამავე კუთხეში აღზრდილი, მსოფლიოში აღიარებული ვეტერანი ფეხბურთელი, **მურთაზ ხურცილავა**.

*"აქ სიამოვნებით ჩამოვედი. დღეში ათჯერ რომ დამიძახონ, ათჯერ მივალ იქ, სადაც ასეთ კარგ საქმეს გზას ულოცავენ"* - თქვა ლეგენდარულმა ფეხბურთელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ნავალოვსკისთან

# ასე მგონია, სახლში ვთამაშობ!



გიორგი ნავალოვსკი

მახაჩყალის "ანჟი" წლევანდელ სეზონში წარმატებით თამაშობს და პირველი ლიგის ლიდერებშია. დაღესტნური კლუბის ლიდერები ქართველები არიან, **ვალერი აბრამიძე, მიხეილ აშვეთია, გოჩა ხოჯავა**. წლეულს გუნდთან კონტრაქტი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და რუსთავის "ოლიმპის" ყოფილმა მარცხენა მცველმა **გიორგი ნავალოვსკიმ** გააფორმა და თუკი რუსულ მედიას ვენდობით, არავიზე ნაკლებად არ გამოიყურება.

"ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** ორი დღის წინათ მახაჩყალის ადგილობრივ გაზეთ „სპორტთან" ინტერვიუში ახალწვეულებზე ისაუბრა და ნავალოვსკისაც შეეხო.

*"გიორგი ნავალოვსკიმ ჩვენი იმედები სრულიად გაამართლა. როდესაც კონტრაქტს ვუფორმებდით, ბევრი სკეპტიკურად უყურებდა მის შესაძლებლობებს, მაგრამ კარგად ვიცოდი, ვინ მომყავდა და რა შეეძლო. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ბევრი ნიჭიერი ბავშვია და მათ შორის ჩემი ყურადღება გიორგიმ მიიქცია. ჩემპიონატი დაიწყო, ჩვენ ლიდერებში ვართ და ყველა ხედავს, რომ გიორგიმ რუსულ ფეხბურთში მოახერხა ადგილის დამკვიდრება და "ანჟის" ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა. შემიძლია ვთქვა, ეს ერთ-ერთი წარმატებული შენაძენი იყო."*

გუშინ გიორგი ნავალოვსკის დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- გიორგი, მახაჩყალის "ანჟიმ" სეზონი მშვენივრად დაიწყო. პირადად შენ უკვე ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდი და უნდა ვიფიქროთ, რომ რუსულ ფეხბურთთან ადაპტაცია არ გაგიჭირდა.**

- მართლა არ გამჭირვებია, რადგან აქ შვიდი ქართველი ვართ. მწვრთნელიც ქართველია და სპორტული დირექტორიც. ასე მგონია, საქართველოდან არც წავსულვარ. გუნდში კარგი ატმოსფეროა და დაძაბული არ ვარ. ეს ფეხბურთელისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ისეთი პირობებია, რომ ფეხბურთი უნდა ითამაშო. მთავარია მონდომო.

**- "ანჟი" შენნაირი ამბიციური ფეხბურთელისთვის ტრამპლინი უნდა იყოს. უკეთეს გუნდში გადასვლაზე რომ ფიქრობ, ორი აზრი არაა...**

- ეს ჩემზეა დამოკიდებული. თუ კარგად ვითამაშე, ხომ კარგი, მიწვევებს არ დააყოვნებენ. თუ არაფერი გამომივიდა, ვის რად ვუნდივარ?

**- თეთრაძე შენით კმაყოფილია, მაგრამ ისიც თქვა, რომ საქართველოდან ჩასულებს ფიზიკურად მეტი მოგეთხოვებათ.**

- ფიზიკურ მომზადებას რამენაირად ადამიანი შეიძენ. ეს არის მონდომებული ვარჯიში, პლუს სათანადო პირობები. ეს კი მახაჩყალაში პრობლემას არ წარმოადგენს. თეთრაძემ ეს რომ თქვა, მას შემდეგ დრო გავიდა და ფიზიკურად გაცილებით უკეთ გამოვიყურები. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის პირველ ლიგაში საკმაოდ მაღალი დონეა და მოუმზადებელ ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში არავინ დამაყენებდა.

**- შენი აზრით, რუსეთის პრემიერლიგაში გადასვლის შანსი გაქვთ?**

- ესაა "ანჟის" ამოცანა და მგონია, რომ მიზანს მივაღწევთ. გუნდში ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან, კარგად შევთამაშდით და ეს მაიმედებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# რვა ქართველი ბარძრალუინობს

სომხური უმაღლესი ლიგა, ანუ ჩვენი მეზობლების ენაზე ბარძრალუინ ხუმბი ორი ტურის დაწყებულია. სომეხთა რვაგუნდიანი ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე სუსტია ევროპაში, მის ორ კლუბში რვა ქართველი ლეგიონერი თამაშობს, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი **ლევან აკობიაა** - 28 წლის მარცხენა მცველი, რომელსაც ფოთის „კოლხეთში", თბილისის „დინამოსა" და „ბორჯომში" უთამაშია. ის ერევნის „ულისეს" ღირსებას იცავს 27 წლის მცველ **თენგიზ უგრეხელიძესთან** ერთად. კაპანის „განძასარის", რომელსაც 13 ლეგიონერი ჰყავს, ღირსებას იცავენ: მეკარეები **გიორგი კობახიძე** (22 წლის) და **ლევან ბუბუტეიშვილი** (24 წლის), მცველები, **დავით ხანიშვილი** (26 წლის), **მამუკა მენთესაშვილი** (20 წლის), ნახევარმცველი **გაგა თიბილაშვილი** (24 წლის) და ფორვარდი **მანუჩარ კვიციანი** (25 წლის).

პირველ ტურში „განძასარი" „ბანანცს" მასპინძლობდა, გუნდებმა გოლის გატანა ვერ შეძლეს – 0:0. მატჩის 87-ე წუთზე გააფრთხილეს მასპინძელთა გოლკიპერი ლევან ბუბუტეიშვილი. „განძასარის" სასტარტოში ოთხმა ქართველმა ითამაშა: ლევან ბუბუტეიშვილმა, დავით ხანიშვილმა და გაგა თბილაშვილმა შეუცვლელად, **მანუჩარ კვიციანი** კი მე-80 წუთზე შეცვალეს. „ულისე" „პიუნიკს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა, თენგიზ უგრეხელიძემ და ლევან აკობიამ 90-90 წუთი ითამაშეს, აკობია მეორე ტაიმში გააფრთხილეს. მეორე ტურში „ულისე" შინ „არარატთან" 0:2 დამარცხდა, აკობიამ და უგრეხელიძემ 90-90 წუთი ითამაშეს. „განძასარი" „შირაკთან" დამარცხდა სტუმრად – 1:2. „განძასარში" შეუცვლელად ითამაშეს: ლევან ბუბუტეიშვილმა, მამუკა მენთესაშვილმა დავით ხანიშვილმა და გაგა თიბილაშვილმა. მანუჩარ კვიციანი 53-ე წუთზე შევიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მუჯირს კინაღამ მწვრთნელი მოუკვდა



თემურ კოპაძე

აზიის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა, A ჯგუფში **ჯაბა მუჯირის** „სეპაჰანმა" (ირანი) საუდის არაბეთში პრინც აბდულას სტადიონზე 1:0 დაამარცხა „ალ იტიჰადი". გოლი **ემად რიდჰამ** 79-ე წუთზე გაიტანა. ჯაბამ ირანის ჩემპიონატის მატჩში 90 წუთი ითამაშა, თუმცა ამჯერად ქართველი სათადარიგოთა სკამზე დარჩა. სხვათა შორის, თამაშის მერე მუჯირის გუნდის ბრაზილიელ თავკაცს, **ჟორვან ვიეირას** გული ცუდად გაუხდა და საავადმყოფოში გააქანეს. ოთხი ტურის მერე „ალ იტიჰადი" და „სეპაჰანი" 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილებზე არიან. ჯგუფს კი 9 ქულით უზბეკური „კურუვჩი" ლიდერობს, რომელმაც შინ 1:0 დაამარცხა სირიის „ალ იტიჰადი". ერთადერთი გოლი 30-ე წუთზე ქართული წარმოშობის ნახევარმცველმა **თემურ კოპაძემ** გაიტანა. შემდეგი ტური 7 მაისს გაიმართება, მუჯირის „სეპაჰანი" ამჯერად უკვე სირიულ „ალ იტიჰადს" ესტუმრება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ვერც ფოფხაძემ უშველათ

**გიორგი ფოფხაძე** "ვიბორგის" სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდა, თუმცა ქართველი მცველის კლუბმა კვლავ ვერ შეძლო დანიურ სუპერლიგაში ქულის მოპოვება. მორიგ ტურში "ვიბორგი" "ოდენსეს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. როგორც ჩანს, "ვიბორგი" (16 ქულა, ბოლოსწინა ადგილი) სუპერლიგიდან გავარდნას ველარ გადაურჩება. გიორგი ფოფხაძემ 90 წუთი ითამაშა, მას შეეძლო სტუმართათვის ქულის გადარჩენა, მაგრამ 84-ე წუთზე ქართველის დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა მეტოქის კარს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# შონიამ ვერდერში ითამაშა

## ქართველს ვიზა ერთი კვირით გაუგრძელეს



ლევან მელიქია

ალბათ, ხშირად გსმენიათ, 1990 წელს დაბადებულთა თაობაში ძალიან ბევრი ნიჭიერი მოთამაშეაო და ამის დასტურად **ლევან ყენიასა** და **ლევან მჭედლიძის** მაგალითი მოჰყავთ. ახლახან გავიგეთ, რომ ჭაბუკ ლეგიონერებს შესაძლოა კიდევ ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი შეუერთდეს - ნახევარმცველი **თემურ შონია**. ჩვენი ინფორმაციით შონია უკვე გერმანიაშია, ის ბრემენის "ვერდერმა" მიიწვია.

ეს ინფორმაცია, თავად შონიასა და "ოლიმპიკის" მწვრთნელმა **ლევან მელიქიამაც** დაგვიდასტურა.

*"2006 წელს 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჯგუფურ ტურნირს საქართველომ უმასპინძლა. მაშინ ჩვენი მეტოქეები გერმანია, რუსეთი და მაკედონია იყვნენ. იმ დროისათვის ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჰერბერტ ცანკერი იყო. სწორედ ცანკერის ნაკრებში ასპარეზობდა თემურ შონია. ის საყრდენი ნახევარმცველია და გერმანიასთან მატჩში მეტოქის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის მეურვეობა დაავალეს. შონიამ დავალებას კარგად გაართვა თავი, მეურვე დაჯაბნა. იმ თამაშის გარდა, ფეხბურთელს სხვა მატჩებშიც დააკვირდნენ. ერთ-ერთი ვინც შონიას თვალს არ აცილებდა, ცნობილი გერმანელი აგენტი ზაერი გახლდათ. სწორედ ის მუშაობდა თავის დროზე ლევან მჭედლიძის ტრანსფერზეც. მაშინ ზაერი "ლევერკუზენის" დავალებით მუშაობდა, მაგრამ გერმანელებს "ემპოლიმ" აჯობა. იქიდან მოყოლებული ზაერი ჩვენთან თანამშრომლობს. სწორედ ამის შედეგია, რომ შონია ბრემენის "ვერდერმა" ტესტირებაზე მიიწვია"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ლევან მელიქიამ.

მწვრთნელი დარწმუნებულია შონიას ნიჭიერებაში და აღნიშნავს:

*"თემური მაისში ხდება 18 წლის. "ოლიმპიკში" მისი მწვრთნელი ვიყავი, მაგრამ ამიტომ არ ვამბობ. რეალურად ასეა და ამას ბევრი დაადასტურებს. ის ერთ-ერთი გამორჩეულია ამ თაობაში. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ლატვიასთან საშინაო შეხვედრაში პეტარ სეგრტმა ის ახალგაზრდულშიც გამოიძახა, მაგრამ თამაში ტრავმის გამო ვერ შეძლო".*

როგორც გავიგეთ, შესაძლოა, ერთ თვეში "ოლიმპიკის" კიდევ ერთმა აღზრდილმა **ნიკა მაისურაძემ** მიაშუროს ტესტირებისთვის უცხოეთს. მელიქიამ ეს ინფორმაციაც დაადასტურა:

*"ჩვენი გუნდის კიდევ ერთ ფეხბურთელზე, ნიკა მაისურაძეზეცაა მოთხოვნა "ვერდერიდან" და ავსტრიული "ზალცბურგიდან". ამასთან, ბევრია დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორ წარმოაჩენს თავს "ვერდერში" შონია".*

შონია გერმანიაში ორი კვირით გაემგზავრა და ერთ ამხანაგურ შეხვედრაში უკვე იასპარეზა "ვერდერის" რიგებში. მოედანზე მან 90 წუთი დაყო და მოწონებაც დაიმსახურა. გერმანული კლუბის მესვეურები მას საინტერესო ფეხბურთელად მიიჩნევენ.

*"მისმა გუნდმა მოიგო, მაგრამ ანგარიში ზუსტად აღარ მახსოვს. გერმანულ მხარესთან საუბრიდან გავიგე ისიც, რომ შონიას საინტერესო ფეხბურთელად მიიჩნევენ და გერმანიის ვიზა კიდევ ერთი კვირით გაუგრძელეს. თემურს კიდევ გამოცდიან და მისი საკითხიც მაისში გადაწყდება"*, - გვითხრა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ლევან მელიქიამ.

"ვერდერის" ოფიციალურ ვებგვერდზე თემურ შონიას თაობაზე ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არაა. მხოლოდ ის წერია, რომ "ვერდერის" 23-წლამდელთა გუნდმა ამხანაგური მატჩი ქვედალიგოსან "დელმენჰორსტერთან" გამართა. ბრემენელთა შემადგენლობა კი მითითებული არაა.

**დავით ცაბაძე**

ანტინარკოტიკული აქცია

# ავჭალის კოლონიაში



23 აპრილს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ფედერაციის ინიციატივით ანტინარკოტიკული აქცია – "იცხოვრე ჯანსაღად" ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში მოეწყო. ავჭალის კოლონიას სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, მისი მოადგილეები **გია გალდავა** და **დავით გობეჯიშვილი**, მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ფედერაციის წარმომადგენლები, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა**, ვეტერანი ფეხბურთელი **გრიგოლ ცაავა**, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები – **ლუკა კურტანიძე, ზაზა კედელაშვილი**, შოუ ბიზნესის წარმომადგენლები და ჟურნალისტები ეწვივნენ.

არასრულწლოვნებს სტუმრებმა სააღდგომო საჩუქრებთან ერთად, სპორტული ინვენტარი – ტრენაჟორი, ჩოგბურთის მაგიდა, კალათბურთისა და ფეხბურთის ბურთები და მაისურები გადასცეს. შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ამხანაგური საფეხბურთო მატჩი გამართეს. შეხვედრა ფრედ დასრულდა და თერთმეტმეტრიანების სერია დაინიშნა, თუმც კარგახანს გამარჯვებული ვერც პენალტებში გამოვლინდა და საბოლოოდ მხარეები ფრეზე შეთანხმდნენ.

**სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარი სენ ჟერმენი

# ჩასაძირად განწირულთა საქმე

## ფანები განსაცდელის ჟამს ერთად უნდა იდგნენ

**რამდენიმე** წელიწადია, საფრანგეთის პირველობა ყოველგვარ ინტრიგასაა მოკლებული. ყველამ იცის, რომ ჩემპიონი "ლიონი" უნდა გახდეს. მხოლოდ წლეულს გაჩნდა გარკვეული დაძაბულობა: ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურით ადრე მარადმწვანე ჩემპიონები უახლოეს მდევარ "ბორდოს"მხოლოდ 4 ქულით უსწრებენ. საჩემპიონო რბოლაში მეტ-ნაკლებად ყველაფერი გარკვეულია. თუმცა არის ერთი მოლოდინი, რაც ჩემპიონატს ხალისს უნარჩუნებს – გავარდება თუ არა "პარი სენ ჟერმენი". ფრანგული საფეხბურთო თემისთვის ეს საკითხი ძალიან მტკივნეულია. კლუბი ერთ-ერთი ყველაზე შეძლებულია უმაღლეს ლიგაში, გარდა ამისა, ევროპულ სარბიელზე ფრანგების უკანასკნელი საკლუბო წარმატება ამ გუნდის სახელს უკავშირდება. პარიზელთა შემადგენლობა საკმაოდ სოლიდურია. მარტის მიწურულს მათ ლიგის თასი დაისაკუთრეს. თუმცა პარალელურად, გუნდში უმწვავესმა კრიზისმა იჩინა თავი. პრობლემები ისე გაღრმავდა, რომ გუშინწინ პრეზიდენტი ალენ კაიზაკი თანამდებობიდან საკუთარი ნებით გადადგა. მან ფეხბურთელებს მოუწოდა, დროებით ერთმანეთთან ჭიდაობას თავი დაანებონ და საკუთარი ღირსების გადარჩენაზე იზრუნონ. ეტყობა, კლუბში ბევრი რამ არაა წესრიგში.



პრეზიდენტ ალენ კაიზაკის ბოლო პრესკონფერენცია

საგაზეთო სტატიები ხშირად ასეთი სათაურებით იბეჭდება: "საით მიექანება პსჟ", "უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ", "სინათლე არ ჩანს"... დედაქალაქური გუნდის გარეშე ლიგის წარმოდგენა არამხოლოდ პარიზულ გაზეთებს, რეგიონულ გამოცემებსაც არ სურთ. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ გუნდის თავგადაკლული ქომაგია ქვეყნის პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი**. და მაინც, გავარდნის საფრთხე რეალურია. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა, პსჟ 34 თამაშში მოპოვებული 35 ქულით მე-18 საფეხურზეა. მას უსაფრთხო ზონისგან სამი ქულა აშორებს. მე-17 და მე-16 ადგილებზე 38 ქულით "ლანსი" და "ტულუზი" არიან. ბოლო ტურებში გუნდს არცთუ საოცნებო კალენდარი აქვს:

26 აპრილს, 35-ე ტურში, პსჟ-"ოსერი" - ეს უკანასკნელი დედაქალაქელებს 6 ქულით უსწრებს და შეიძლება, მათ კონკურენტადაც ჩაითვალოს;

3 მაისს, 36-ე ტურში, "ტულუზი"-პსჟ - სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადარჩენისთვის;

10 მაისს, 37-ე ტურში, პსჟ-"სენტ-ეტიენი" - "მწვანეები" ევროთასებისთვის იბრძვიან და შესაბამისად, არც მოტივაცია აკლიათ.

დაბოლოს, 17 მაისს, 38-ე ტურში, "სოშო"-პსჟ - მართალია, "სოშოს" თავი ქულში ჯერაც არა აქვს, მაგრამ უკანასკნელი ტურისათვის უმაღლეს დივიზიონში დარჩენა გარანტირებული უნდა ჰქონდეს. სულაც არ ვამტკიცებთ, რომ დედაქალაქელები სერიოზულ უპირატესობას მიიღებენ, თუმცა მოტივაციის ნაკლებობამ, მათ შეიძლება გარკვეული სამსახური გაუწიოს.

როგორ ფიქრობთ, არის თუ არა შანსი? არის და მერე როგორი! როგორც მოგახსენეთ, სწორედ ამ დაუძლურებულმა გუნდმა მოახერხა ლიგის თასის მოგება და საფრანგეთის თასის ნახევარფინალში გაღწევა. მაშ, რატომ ვერ უნდა მოახერხოს ჩემპიონატში მდგომარეობის გამოსწორება?

დრო და დრო, სახელგანთქმული ფრანგული კლუბები ელიტიდან ქვედა დივიზიონში ვარდებიან ხოლმე. თუნდაც გასულ სეზონში, ნანტის გავარდნა გავიხსენოთ. თუმცა მას გარკვეული გასასამართლებელი საბუთი ჰქონდა: სეზონის დაწყებამდე გუნდმა შემადგენლობა სერიოზულად გადაახალისა, შემდეგ კი მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერები ტრავმებმა გატანჯა. რაც შეეხება პსჟ-ს, გუნდს მწვრთნელი არ შეუცვლია. იქ შარშანაც **პოლ ლე გენი** მუშაობდა. დედაქალაქელებს წამყვანი მოთამაშეები არ გაუყიდიათ და არც ლიდერების ტრავმების გამო შექმნიათ საკადრო პრობლემები. კიდევ შეიძლება დავასახელოთ ფაქტები, რაც გუნდის დღევანდელ მდგომარეობას ირაციონალურსა და აუხსნელს ხდის. პირველი წრის შემდეგ პსჟ-ს ყველაზე მეტი ქულა ჰქონდა მოპოვებული გასვლით მატჩებში – 18 ქულა 9 თამაშში, ხოლო 10 საშინაო შეხვედრაში მხოლოდ 4 ქულა, რაც ლიგაში მე-19 შედეგი იყო. საერთო კლასიფიკაციაში გუნდი მე-17 ადგილზე იყო. ამასთან, ვერავინ იტყოდა, რომ ლიდერებს თამაში არ მისდიოდათ: **ჟერომ როტენი** სექტემბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. დღემდე როტენთან ერთად მარცხენა ფლანგზე მშვენივრად თამაშობს **სილვენ არმანი**. მარჯვენა ფლანგი მარცხენას დიდად ჩამორჩება, ნახევარმცველი **კლემან შანტომი** და ბრაზილიელი მცველი **სეარა** აშკარად მოისუსტებენ. ცენტრალური მცველები, კოლუმბიელი **მარიო იეპესი** და **ზუმანა კამარა,** თავის მოვალეობებს ნორმალურად ართმევენ თავს, ისევე როგორც ცენტრალური ნახევარმცველები **ჟერემი კლემანი** და **გრეგორი ბურიონი.** ყველაზე უსიამოვნო სიურპრიზი კლუბმა მეორე წრეში არადამაჯერებლად მოთამაშე **მიკაელ ლანდროსგან** მიიღო, რაც მის მიერ მიღებულ თავის ტრავმას ბრალდება. მიკას უსიამოვნება 17 თებერვალს, ფრანგული სუპერკლასიკოსას („მარსელი"-პსჟ 2:1) შეემთხვა, როცა **მამადუ ნიანგის** ბუცი თავში მოხვდა. ლანდრომ ჯერ ერთი მძიმე შეცდომა დაუშვა, მერე მეორე, მესამე... ასე გრძელდება უკვე დიდი ხანია. კლუბის თავკაცი პოლ ლე გენი 29 წლის მეკარეს ჯიუტად ენდობა. უფრო მეტიც, ლიონელი **გრეგორი კუპეს** ტრავმის შემდეგ, ლანდროს **რაიმონ დომენეკმაც** ნდობა გამოუცხადა და ნაკრებში პირველ გოლკიპერად მიიწვია. მეკარესთან არც გულშემატკივრებს აქვთ პრეტენზიები.

პრობლემურია შეტევის რგოლიც: **პედრო პაულეტა** 35 წლისაა. ეტყობა, ასაკის ბრალია, მისი ფიზიკური კონდიციები უკეთესის სურვილს ტოვებს. ამიტომაცაა, რომ წლეულს ძირითადში სტაბილურად აღარ უთამაშია. პაულეტამ სულ 23 მატჩი ჩაატარა, აქედან ძირითადში მხოლოდ 14-ჯერ დააყენეს. **პეგი ლუინდულა** ძალიან არასტაბილურია. **ამარა დიანე** ყველაზე მეტს თამაშობს, მაგრამ სხვებზე მეტი გოლი ვერ გააქვს. ხოლო დანარჩენ ახალგაზრდა ფორვარდებს ასეთი ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში თამაში ძალიან უჭირთ.

**ალენ კაიზაკს** დიდი პროექტები ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ გუშინწინ გადადგა. ამ დოკუმენტში მენეჯმენტსა და სამწვრთნელო შტაბს 24-საათიან რეჟიმში მუშაობა მოუწევთ, რომ დედაქალაქს სირცხვილი თავიდან აარიდონ. კაიზაკისეული "პროექტი 2010" ძალიან ლამაზად შეფუთულ პროდუქტს ჰგავდა, რომლის განხორციელება მისივე ავტორს ძნელად თუ შეეძლო. პროექტის შინაარსი ასეთი იყო: პსჟ-ში სამი კატეგორიის ფეხბურთელებს უნდა ეთამაშათ - კლუბის აღზრდილებს, ფრანგული ფეხბურთის მომავალ იმედებსა და უკვე გამოცდილ ვარსკვლავებს. ამ მიზნით უნდა გამოყოფილიყო სერიოზული თანხები, რისი პრობლემაც კლუბს ნამდვილად არ აქვს... სჯობს, პარიზელებმა ეს ლამაზი იდეები ცოტა ხანი მიივიწყონ და სრული კონცენტრაცია იმაზე მოახდინონ, რომ ლიგაში ადგილი შეინარჩუნონ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კლუბის სათასო წარმატებები. მართალია, პსჟ-ს გზად დიდად უმართლებდა (მისი მეტოქეები იყვნენ: "ლორიანი", "მონპელიე", "ვალანსიენი", "ოსერი" და "ლანსი"), მაგრამ საბოლოო ტრიუმფი მაინც ღირსშესანიშნავი გამოვიდა. ფინალური მატჩი განსაკუთრებულად დაძაბული გამოდგა, რადგან გარდა სათასო პრესტიჟისა, თამაშდებოდა უეფას თასის საგზურიც. როგორც ასეთ მატჩებს შეეფერება, შეხვედრის ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა. თუმცა გადაწყვეტის ფორმასაც ხომ გააჩნია? **ლორან დუამელმა** "ლანსი" ძალიან საეჭვო პენალტით დასაჯა. ალბათ, გეხსომებათ ამ თამაშისას მომხდარი მეორე სკანდალიც, თუ რა რეაქცია მოჰყვა პარიზელ გულშემატკივართა პლაკატს, სადაც ჩრდილოეთი საფრანგეთის მცხოვრებნი დამცირებულები იყვნენ. როგორც აღმოჩნდა, ეს "ბულონის ბიჭების" ნამოქმედარი იყო, რის გამოც, ფანების ამ ჯგუფს, სერიოზული სანქციები ელის თავად კლუბის ხელმძღვანელობისგან. პსჟ-მ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან შენიშვნა უკვე მიიღო. მას პროფესიული ლიგაც ფინანსური სანქციის დაკისრებას უპირებს. მსგავსი სკანდალის გამო სანქციები დაუწესდა "მეცსაც", ვისმა გულშემატკივრებმაც მეტოქე გუნდის მოთამაშეები რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყვეს. პსჟ-ს ისღა დარჩენია, იმედოვნოს, რომ ქულები არ დააკლონ. ეს გუნდის გაწირვის ტოლფასი იქნება.

ამასობაში, პრეზიდენტ სარკოზის შემდეგ, პსჟ-ს რანგით მეორე გულშემატკივარმა, პარიზის მერმა **ბერტრან დელანომ** კლუბის ფანებს ასეთი სიტყვებით მიმართა: "*პირადად მე და ჩვენი ქალაქის მერიის მთელ ადმინისტრაციას, ძალიან გვაღელვებს „პარი სენ ჟერმენის" ბედ-იღბალი ჩემპიონატში. თითოეული ჩვენგანი კლუბს გამარჯვებას უსურვებს. ვთხოვ გულშემატკივრებს, რომ როგორც არასდროს, ისე გაერთიანდნენ მათი საყვარელი კოლექტივის გარშემო. ეს საშინელი გამოცდა ყველამ ერთად უნდა ჩავაბაროთ და განსაცდელს ღირსეულად დავაღწიოთ თავი.*" განსაცდელისთვის თავის დასაღწევად ოთხი თამაშიღა დარჩა. უპრიანია, შეგახსენოთ, რომ შაბათს, პარიზელებმა მორიგი სირცხვილი ჭამეს და სტუმრად „კაენთან" 0:3 განადგურდნენ.

ლივერპული

# ბენიტესი ურთიერთობებს არკვევს

## ესპანელმა დამრიგებელმა შემადგენლობის გაძლიერება ინგლისელებით გადაწყვიტა

**რაფა ბენიტესი** "ლივერპულის" ხელმძღვანელობას გაერთიანებისკენ მოუწოდებს. მწვრთნელი შიშობს, რომ კონფლიქტის გაგრძელების შემთხვევაში, კლუბს მთელი სატრანსფერო კამპანია ჩაეშლება. შემადგენლობის გაძლიერებას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. "ლივერპულის" ხელისუფალთ - **ტომ ჰიკსსა** და **ჯორჯ ჯილეტს** შორის, კონფლიქტი მძვინვარებს. იმის გამო, რომ კლუბის აქციები ორივეს თანაბრად ეკუთვნის, დავის გადაწყვეტა არ ხერხდება. ჰიკსაცა და ჯილეტიც ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ და დათმობას არცერთი მხარე არ აპირებს. ოთხშაბათს, "ჩელსისთან" ლიგის ნახევარფინალური მატჩის მეორე დღეს, ბენიტესი ჰიკსს კლუბის საწვრთნელ ბაზაზე შეხვდა. მწვრთნელმა და ერთ-ერთმა ბოსმა გულახდილად ისაუბრეს.

ამერიკელმა მილიონერმა სენიორ რაფას სრული მხარდაჭერა აღუთქვა. უახლოეს დღეებში ბენიტესი მეორე ბოსს, ჯილეტსაც შეხვდება. ათიოდე დღის წინათ მწვრთნელმა კატეგორიულად მოითხოვა ლივერპულის მფლობელებთან შეხვედრა. მის განცხადებას წინ უსწრებდა ჰიკსის გამოსვლა. მან საზოგადოებას აუწყა, რომ გასული წლის ნოემბერში, **იურგენ კლინსმანთან** მოლაპარაკებებს "ლივერპულის" აღმასრულებელი დირექტორი **რიკ პერი** აწარმოებდა. ბენიტესი პერის თავის მოკავშირედ მიიჩნევდა. ჰიკსის განცხადების შემდეგ, მას განმარტებების მიღება სურდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ოთხშაბათის შეხვედრის ერთ-ერთი უმთავრესი თემა სწორედ ეს გახლდათ.

ინგლისელი მიმომხილველების აზრით, "ენფილდზე" ბენიტესის პოზიციები ისეთი მტკიცეა, როგორც არასდროს. გულშემატკივრები მწვრთნელს მხარში უდგანან. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ჰიკსსა და ჯილეტს ესპანელი სპეციალისტის მხარდაჭერა ჰაერივით სჭირდებათ. აღსანიშნავია, რომ ბენიტესს ხელშეუხებლობას ჰპირდება "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალიც". არაბული კლუბი "ლივერპულის" დასაკუთრების იმედს არ კარგავს. ამ ვითარებაში ბენიტესს შეუძლია, მშვიდად გააგრძელოს მოღვაწეობა. მისთვის მთავარია გარანტიები, რომ კონფლიქტის მიუხედავად, ხელმძღვანელობა დანაპირებს შეასრულებს და მწვრთნელს ფინანსურად წელს გაუმართავს. ჰიკსი თანახმაა, ტრანსფერებისთვის სოლიდურ თანხას ჩამოვიდეს. ახლა ჯერი ჯილეტზეა.



რაფა ბენიტესი

სპეკულაციების თანახმად, ბენიტესი ასტონვილელ **გარეთ ბერისა** და ბლექბერნელ **დევიდ ბენტლის** უმიზნებს. მწვრთნელი აქამდე გამართული მოლაპარაკებებით კმაყოფილია. ფეხბურთელებთან და კლუბებთან შეთანხმება თითქმის მიღწეულიაო, წერს "სანი", თუმცა "ვილასა" და "ბლექბერნს" მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ. ბენიტესი ამბობს, რომ კლუბის ყველა ხელმძღვანელთან ნაყოფიერად თანამშრომლობს. თუ ყველა დაუზარებლად ვიმუშავებთ, გაისად აუცილებლად უკეთესი შედეგი გვექნებაო, სჯერა მწვრთნელს.

სკანდალი

# მარადონა ჟურნალისტების წინააღმდეგ

**დიეგო მარადონა** მორიგ სკანდალში გაეხვია. ოთხშაბათს, ის და მისი მეუღლე **კლაუდია ვილიაფანე** ბუენოს აირესის სასამართლოში გამოცხადდნენ. დონ დიეგო ყოფილ აგენტ **გილერმო კოპოლასთან** ურთიერთობას არკვევს. მხარეებს შორის ფინანსური უთანხმოება რამდენიმე წლის წინათ წარმოიშვა. მარადონამ საჯაროდ განაცხადა, აგენტმა, რომელსაც უსიტყვოდ ვენდობოდი, უსირცხვილოდ მომატყუა. არგენტინელმა საუკთარი ინტერესების დაცვა სასამართლოში გადაწყვიტა.

ოთხშაბათს, მორიგი მოსმენა გაიმართა. უსიამოვნება სხდომის დასრულების შემდეგ მოხდა, როდესაც მარადონა და მისი მეუღლე გასასვლელისკენ გაემართნენ. არგენტინის ტელევიზია ამ კადრებს პირდაპირ ეთერში გადასცემდა. მთელმა ქვეყანამ იხილა, თუ როგორ უქნევდა დიეგო ჟურნალისტებს მუშტებს.

როდესაც მიმომხილველებმა მარადონა დაინახეს, იხუვლეს და მისკენ გაიქცნენ. დიეგო ფოტო და ტელეკამერების ალყაში აღმოჩნდა. ფეხბურთელმა გზის გაკვლევა ჩხუბით გადაწყვიტა. შემდეგ კი თავი იმით იმართლა, რომ მავანმა ოპერატორმა მას კამერა თავში ჩასცხო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-მანჩესტერი. გამოხმაურება

# მგელს ველოდით და ხელში ტურა შეგვრჩა

## ესპანური და ინგლისური პრესა ერთსულოვანია: მანჩესტერი სამარცხვინო იყო

"ბარსელონისა" და "მანჩესტერის" დაპირისპირებამ აბსოლუტურად მოულოდნელი სცენარით ჩაიარა. თითქმის მთელი საფეხბურთო სამყარო დარწმუნებული იყო, რომ ბრიტანული გრანდი ინიციატივას პირველივე წუთიდან დაეუფლებოდა და კატალონიელებს საკუთარ თამაშს მოახვევდა თავს. ვინც თამაში იხილა, ყველა დაგვეთანხმება, რომ ორთაბრძოლა სრულიად განსხვავებული სცენარით წარიმართა. შეხვედრის დებიუტში კრისტიანო რონალდოს მიერ გაფუჭებულ 11-მეტრიანს თუ არ ჩავთვლით, მასპინძლები სრულ უპირატესობას ფლობდნენ. "მანჩესტერს" მთელი შეხვედრის განმავლობაში საგოლე მომენტი არ შეუქმნია, "ბარსას" კი რამდენჯერმე შეეძლო ანგარიშის გახსნა. კატალონიელებისთვის ნულოვანი ფრე მომგებიანი აშკარად არ არის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრიმერადივიზიონურ ფიასკოთა ფონზე "მანჩესტერთან" ასეთი მატჩის ჩატარება ცალსახად დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ბუნებრივია, ესპანურ მედიაში საჩემპიონთალიგო ნახევარფინალს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დღეს თქვენს სამსჯავროზე ესპანურ და ბრიტანულ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების ფრაგმენტებს გამოვიტანთ. გარდა ამისა, მთავარ მწვრთნელთა მოსაზრებებსაც გაგაცნობთ.

DIARIO AS,
ალფრედო რელანიო

"უსახური კორიდა, სასოწარკვეთილების კორიდა" - ამ ფრაზებს მატადორებისა და ხარების ბრძოლის შეფასებისას იყენებენ, მაგრამ ეს სიტყვები "ბარსელონისა" და "მანჩესტერის" დაპირისპირების სულისკვეთებასაც გამოხატავს. ქომაგი, რომელიც დიდ საფეხბურთო სანახაობას ელოდა, აუცილებლად სასოწარკვეთილი და იმედგაცრუებული დარჩებოდა. მსოფლიო ფეხბურთის ორმა გრანდმა თავი ვერაფრით მოგვაწონა. "ბარსელონა" ნახევარფინალს სერიოზული პრობლემებით შეხვდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, მეტოქეზე გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. კატალონიელები ბურთს დამაჯერებლად აკონტროლებდნენ. **კრისტიანო რონალდოს** პენალტი გამონაკლისი იყო. 11-მეტრიანი სულელური შეცდომის გამო დაინიშნა. მთელი დარჩენილი დროის განმავლობაში, **ფრანკ რაიკაარდის** ბიჭები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ვერ გამოიყენეს და ჰაერივით საჭირო გოლი ვერ შეაგდეს.

მიუხედავად ამისა, გულშემატკივრებმა სტადიონი სიამაყის გრძნობით დატოვეს. "მანჩესტერი" დღეს მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე ძლიერ კლუბად ითვლება. კატალონიელ ინჩასებს უხაროდათ, რომ მათმა კლუბმა უპირობო ფავორიტად შერაცხული გრანდი პირწმინდად დაჩაგრა. "ბარსელონამ" ქომაგებს ძველი დრო გაახსენა, ის ტკბილი და სასიამოვნო დრო, როცა ამ კლუბის ყველას ეშინოდა. დიახ, "მანჩესტერი" შეშინებული თამაშობდა. შეტევაში თამამად წასვლას თვით კრისტიანო რონალდოც კი ვერ ბედავდა. სასიხარულოა, რომ "იუნაიტედის" სუპერვარსკვლავი **ჯანლუკა ძამბროტამ** მოედნიდან გააქრო. იტალიელს, რა თქმა უნდა, **ჩავი, ტურე** და **რაფა მარკესიც** ეხმარებოდნენ.

გამოცოცხლების მიუხედავად, კატალონიელებმა საკმაოდ სერიოზულ საფრთხეში ჩაიგდეს თავი. წინასწარვე ცნობილი იყო, რომ ნახევარფინალის ბედი "ოლდ ტრეფორდზე" გაირკვეოდა, მაგრამ მასპინძლებისთვის ცუდი ის არის, რომ ნისლიან ალბიონზე ისინი გოლის გარეშე მიდიან. რაიკაარდმა **ლეო მესის** შეცვლით შეცდომა დაუშვა. შესაძლოა, ჰოლანდიელი ტრავმის გამიზეზებას მოერიდა, თუმც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლეო რაიკაარდს უმორჩილესად სთხოვდა, არ შემცვალოო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მისი საუკეთესო მატჩი, მაგრამ არგენტინელი იმდენად მოტივირებული იყო, ნებისმიერ წამს შეიძლებოდა შეხვედრის ბედი "ბარსელონის" სასარგებლოდ გადაეწყვიტა. მის ნაცვლად მოედანზე შესული **ბოიან კრკიჩი** ცდილობდა, საჩემპიონთალიგო ნახევარფინალისთვის დამახასიათებელი უდიდესი დაძაბულობისა და მანჩესტერელების არ შეშინებოდა. პრინციპში, მან ამოცანას წარმატებით გაართვა თავი. კრკიჩი თავისუფლად თამაშობდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად, მნიშვნელოვანი ვერაფერი გააკეთა.

ხაზგასასმელია **დეკუს** საოცრად თავდადებული თამაში, თამაში კი არა, ამას ბრძოლა უფრო ეთქმის. ხანგრძლივი ტრავმის გამო ფორმადაკარგულ პორტუგალიელს გამძლეობამ უმტყუნა, თორემ...




ძალზე საიმედოდ ირჯებოდა **რაფა მარკესიც**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლაზარეთიდან დაბრუნებულმა ბიჭებმა "ბარსას" სიცოცხლე შემატეს. წინ კიდევ ერთი სერიოზული გამოცდაა. "ოლდ ტრეფორდზე" თამაში ძალიან ძნელია, მაგრამ გამარჯვების მოპოვება შეუძლებელი ნამდვილად არ გახლავთ.

DIARIO AS,
ტომას გუაში

მრავალნაქებმა "მანჩესტერმა" ისეთი კატენაჩო ითამაშა, **ელენიო ერერასაც** კი შეშურდებოდა. დარწმუნებული ვარ, სერია A-ს გუნდების მთავარი მწვრთნელები "იუნაიტედს" შურის თვალით უყურებდნენ. როგორც ჩანს, სერ **ალექს ფერგიუსონი** იმ ნიჭსაც ატარებს, რომლის შესახებ აქამდე წარმოდგენაც კი არ გვქონდა. "მანჩესტერი" საოცრად ორგანიზებულად იცავდა თავს. ყველაზე ნიშანდობლივი კი ის არის, რომ სტუმრებს დაცვაში ჩაჯდომა არანაირ დისკომფორტს არ უქმნიდა. ყოველ შემთხვევაში, მათ, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ შეტევაში გადასულიყვნენ და ასე სამარცხვინოდ არ ეთამაშათ. გულწრფელად ვიტყვი: დარწმუნებული ვიყავი, რომ "კამპ ნოუზე" თერთმეტ დაგეშილ, მშიერ მგელს ვიხილავდი, მაგრამ სინამდვილეში, ჩემ წინაშე 11 დამფრთხალი და კუდამოძუებული ტურა ვიხილე. რა თქმა უნდა, შედეგის თვალსაზრისით თავს ვერაფრით დავიმშვიდებთ, მაგრამ ფრიად სასიამოვნოა, რომ პრობლემებით დამძიმებულმა "ბარსელონამ" ესოდენ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. **ფრანკ რაიკაარდმა** სწორი ტაქტიკა აირჩია. ინგლისელების ტემპზე აყოლა მომაკვდინებელი იქნებოდა. "ბარსელონამ" ჭეშმარიტად ბარსელონური ფეხბურთი ითამაშა. ბიჭები ბურთს მიწაზე აგორებდნენ და ინგლისელებს მათთვის გაუგებარ ფეხბურთს ახვევდნენ თავს. ერთადერთი, რის გამოც დამწუხრებული ვარ, ნულოვანი ფრეა. "ბარსას" ოდნავ მეტად რომ გამართლებოდა, ერთ გოლს მაინც გაიტანდა. სასიხარულოა, რომ **ლეო მესიმ** ტრავმის შემდეგ ფორმა მეტ-ნაკლებად აღიდგინა. ფაქტია, არგენტინელი გასაოცარი მონდომებით თამაშობდა. ასეთი თავდადება ყოველთვის დასაფასებელია. როცა რაიკაარდმა მისი შეცვლა გადაწყვიტა, ლეომ უკმაყოფილება არა ამპარტავნობის, არამედ თამაშის გაგრძელების ცხოველი სურვილის გამო გამოხატა. მე მესიამოვნა "ბარსელონის" ფეხბურთი. იმედია, თქვენც. ახლა მთავარია, "ოლდ ტრეფორდის" გამოცდას გავუძლოთ.

BBC,
პატრიკ რაილი

"მანჩესტერი" ბარსელონაში სხვა ფეხბურთის სათამაშოდ ჩავიდა, მაგრამ სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭები კატალონიური სცენარისთვის აბსოლუტურად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. ნებისმიერი საფეხბურთო მიმომხილველი ივარაუდებდა, რომ "ბარსა" "იუნაიტედს" ბურთს დაუმალავდა. მასპინძლები მაღალ ჩაწოდებებს არ მიმართავდნენ. ფერგიუსონს მოსალოდნელი სცენარისთვის შეგირდები უფრო კარგად უნდა მოემზადებინა. მრავალი წელია, ასეთი დამცირებული "მანჩესტერი" არ მინახავს. ფაქტობრივად, საკუთარი საჯარიმოდან ცხვირი არ გამოგვაყოფინეს.

ახლა, **კრისტიანო რონალდოს** მიერ გაფუჭებული პენალტის გამო კი არ უნდა ვდარდობდეთ, არამედ, ის უნდა გვიხაროდეს, რომ კარი მშრალად შევინახეთ. "ბარსელონა" საკუთარ მოედანზე ყოველთვის საშიში და სახიფათო გუნდია, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით და ვიცით, რომ ამ გუნდს წლეულს სერიოზული პრობლემები აქვს. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, კატალონიელებმა ყველა გამოცდას გაუძლეს და მართლაც ღირსეულად ითამაშეს. სერ ალექსი დაგვპირდა, მანჩესტერში სულ სხვა თამაშს იხილავთო. ვნახოთ, შეძლებს თუ ვერა სიტყვის შესრულებას.

### მანჩესტერში სხვა ფეხბურთი იქნებაო...

დასასრულს, შეპირებისამებრ, მთავარი მწვრთნელების მოსაზრებებს გაგაცნობთ. თავდაპირველად, **ფრანკ რაიკაარდის** პრესკონფერენციის მცირე ფრაგმენტი:

*"დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ. თითქმის ყველაფერი გამოგვივიდა. სამწუხაროდ, ბოლომდე მაინც არ გაგვიმართლა და გოლის გატანა ვერ შევძელით. ბევრს ეგონა, რომ "მანჩესტერის" შეგვეშინდებოდა და საკუთარ საჯარიმოში ჩავიკეტებოდით. ეს ხომ "ბარსელონის" სტილი არ არის. ჩვენი შანსი ვან დერ სარის კართან უნდა გვეძებნა. მიმაჩნია, რომ მოედნის ცენტრში აბსოლუტურ უპირატესობას ვფლობდით. ბიჭებმა კრისტიანო რონალდო საიმედოდ ჩაკეტეს. მეამაყება, რომ ღირსეული ფეხბურთი ვითამაშეთ. რა თქმა უნდა, ჯერ არაფერი დასრულებულა. კარგი იქნებოდა, ერთი გოლი მაინც გაგვეტანა, მაგრამ წინასწარვე ვიცოდით, რომ ფინალის საგზურის მფლობელის ვინაობა მანჩესტერში გაირკვეოდა. ჩემპიონთა ლიგაში გასამარჯვებლად ორადორი მატჩის მაღალ დონეზე ჩატარებაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ბიჭებს ამის უნარი შესწევთ".*

სერ **ალექს ფერგიუსონს** ჟურნალისტებთან ბევრი არ უსაუბრია. ის ძალიან ცუდ ხასიათზე იყო და ცდილობდა, მედიას მალე დასხლტომოდა, თუმცა "მანჩესტერის" დამრიგებელმა შეხვედრის დეტალებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება მაინც გამოთქვა. მისი აზრით, "ბარსელონამ" ნახევარდაცვაში მოპოვებული უპირატესობის ფასად "მანჩესტერს" შეტევების საშუალება მოუსპო. ფერგიუსონი გულშემატკივრებს შეჰპირდა, რომ "ოლდ ტრეფორდზე" აბსოლუტურად განსხვავებული ფეხბურთი იქნება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### უნგრეთს კუმანი გაწვრთნის

უნგრეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ერვინ კუმანი** დაინიშნა. ამ პოსტზე მან **პეტერ ვარჰიდი** შეცვალა. უცნაური დამთხვევაა: ერვინის უმცროსი ძმა **რონალდი**, რამდენიმე დღის წინათ "ვალენსიიდან" გაათავისუფლეს. უნგრელთა ახალი მწვრთნელი 46 წლისაა. 2005-დან 2007 წლამდე ის "ფეიენოორდის" დამრიგებლად მუშაობდა. ერვინ კუმანი საქმეს 1 მაისიდან შეუდგება.

### დე როსი სამუდამოდ

24 წლის **დანიელე დე როსის** "რომამ" სამუდამო კონტრაქტი შესთავაზა. "ილ რომანისტას" ინფორმაციით, ნახევარმცველი ყოველწლიურად 4 მილიონ ევროს მიიღებს (ბონუსების გარეშე). ახალ ხელშეკრულებაში ჩადებული იქნება ისიც, რომ **ფრანჩესკო ტოტის** წასვლის შემდეგ, კაპიტნის სამკლაურს სწორედ დე როსი გადაიბარებს. ამით, "რომამ" პასუხი გასცა "რეალს", რომელიც ამ ზაფხულს დე როსის ყიდვას აპირებდა.

### ინგლისი 2018?

ინგლისი 2018 წლის მუნდიალის ჩატარებას ეშურება. გუშინდელ სხდომაზე საფეხბურთო ასოციაციამ განიხილა მასშტაბური პროექტი, რომელსაც დაამტკიცებენ და ფიფას წარუდგენენ. შეგახსენებთ, ინგლისმა მსოფლიო ჩემპიონატს ბოლოს 1966 წელს უმასპინძლა. 2018 წლის მუნდიალის სამასპინძლოდ კი ბრიტანელთა კონკურენტები აშშ, ავსტრალია, კანადა, ჩინეთი, იაპონია, მექსიკა, რუსეთი, ესპანეთი და ბელგია/ჰოლანდია იქნებიან. ფიფას აღმასკომი მომავალი ტურნირის ორგანიზატორს 2011 წელს შეარჩევს.

### ვან ნისტელროი ბრუნდება

**რუუდ ვან ნისტელროი** გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. 31 წლის ფორვარდმა მუხლზე ოპერაცია 19 მარტს გაიკეთა, 1 აპრილიდან კი ის ინდივიდუალური გრაფიკით ემზადებოდა. თუმცა მოედანზე მისი დაბრუნება ჯერ ადრეა. "რეალის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ ვან ნისტელროი "ბილბაოსთან" საკვირაო მატჩსაც გამოტოვებს.

### შევჩენკო მხოლოდ არენდით

**"მილანი"** ანდრეი შევჩენკოსთვის ბრძოლას განაგრძობს. "როსონერი" მზადაა, "უძლები შვილი" "ჩელსისგან" გამოისყიდოს. თუმცა ლონდონელები მასთან კონტრაქტის გაწყვეტას არ აპირებენ. როგორც შევას აგენტი **ფაბიო პარიზი** ამბობს, ყველაფერი **რომან აბრამოვიჩზე** იქნება დამოკიდებული. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმაზე, რომ "ჩელსიმ" ანდრეი "როსონერიში" ერთწლიანი უფასო იჯარით გაუშვას. აბრამოვიჩი დროს ითხოვს. სხვა სახის გარიგება მისთვის მიუღებელია.

### მწვანე შუქი კარდიფ სიტის

უეფამ "კარდიფ სიტის" (უელსი) უფლება მისცა, ევროტურნირზე ინგლისის სახელით გამოვიდეს, თუკი ასოციაციის თასის ფინალში "პორტსმუთს" დაამარცხებს. ჩვენთვის კარგად ნაცნობი "კარდიფ სიტი" რანგით მეორე ინგლისურ დივიზიონში თამაშობს. საფეხბურთო ასოციაცია კლუბის მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა, წესდებას არ შეესაბამებაო. მაგრამ კარდიფელებმა **მიშელ პლატინისგან** მიიღეს მხარდაჭერა. ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია კი იძულებული გახდა, უეფას ვერდიქტს დაჰყოლოდა და ეს საგანგებო განცხადებითაც დაედასტურებინა.

### ლემპარდს დედა გარდაეცვალა

**ფრენკ ლემპარდი** 58 წლის დედას, "ჩელსის" თითოეული გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობ და თავად კლუბისთვისაც ფრიად პატივსაცემ ქალბატონს, **პეტ ლემპარდს** გლოვობს. ის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. მიზეზი პნევმონიაა. კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა საგანგებო განცხადებაც გაავრცელა. ფრენკი "მანჩესტერ იუნაიტედთან" შაბათის მატჩს გამოტოვებს.

სავარაუდო ტრანსფერები

# შუსტერი: ჩამოიყვანეთ იბრაჰიმოვიჩი!

## შვედი ჩელსისაც უნდა. შეიძლება, ინტერმა ის დროგბასთვის გამოიყენოს

"რეალის" მწვრთნელი **ბერნდ შუსტერი** სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტრანსფერს სთხოვს. როგორც გუშინ გამცნეთ, შვედ ფორვარდს, იტალიის შემდეგ, ინგლისში ან ესპანეთში სურს თამაში. ეტყობა, მადრიდელთა თავკაცის მოწოდებაც ზლატანის საჯარო განცხადების გამოხმაურებაა.

"იბრას" იტალიაში საქმეები აეწნა. ჯერ, თანაგუნდელ **მარკო მატერაცისთან** მოუვიდა კონფლიქტი, მერე უკმეხად უპასუხა მწვრთნელ **რობერტო მანჩინის**, ბოლოს კი, ტრავმის მოსაშუშებლად, შვედეთში წასვლა გადაწყვიტა და "ინტერის" მესვეურები ალაშფოთა. იბრაჰიმოვიჩი, თურმე, იმასაც ფიქრობს, რომ ოპერაცია გაიკეთოს, რათა ევროპის ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს. ეს კი ნამდვილად არ შედის იმ კლუბის ინტერესებში, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძვის. მაგრამ 2008 წელი მისთვის ნამდვილად არ არის წარმატებული. ტრავმამდე, მთელი სამი თვის განმავლობაში, თამაშიდან ერთი გოლიც არ გაუტანია.

მიუხედავად ამისა, "რეალს" მისი შეძენის სურვილი ოდნავადაც არ განელებია. 26 წლის ფორვარდს სამეფო კლუბი ადრეც უმიზნებდა. მაგალითად, 2006 წლის ზაფხულში, როცა შვედი "იუვენტუსიდან" ასაბარგებლად ემზადებოდა...

*"იბრაჰიმოვიჩი? ის დიდი ფეხბურთელია და ძალიან მინდა, მადრიდში ჩამოვიდეს. "რეალისთვის" ამ დონის ყველა მოთამაშე სასურველია. "იბრა" ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც სიამოვნებით ავიყვანდი"* - ამბობს შუსტერი ესპანურ მედიასთან ინტერვიუში.

ეჭვგარეშეა, "რეალს" იბრაჰიმოვიჩის გადაბირება ძალიან გაუჭირდება. "ინტერი" თავის დამრტყმელ ძალას, როგორ ფორმაშიც არ უნდა იყოს, იოლად ვერ შეელევა. მაგრამ კლუბებმა, შესაძლოა, შეხების წერტილები მაინც მონახონ. საქმე ისაა, რომ "ნერაძურის" მადრიდელთა საყრდენი ნახევარმცველი **მაჰამადუ დიარა** მოსწონს. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია გაცვლითი ოპერაცია, გარკვეული თანხის დამატებით.

მაგრამ საქმეში შეიძლება "ჩელსიც" ჩაერიოს. იბრაჰიმოვიჩი "არისტოკრატებსაც" მოსწონთ. **რომან აბრამოვიჩი** მას **დიდიე დროგბას** შემცვლელად განიხილავს. მოგეხსენებათ, კოტდივუარელის აბარგება თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. დროგბა "ინტერს" უნდა და ეს არაერთხელ განუცხადებია კიდეც. ასე რომ, გაცვლა ამ შემთხვევაშიც შეიძლება, მთავარია, ვის რამდენად ულირს საკუთარი ფეხბურთელი.

### მანჩინიმ სამეული მოითხოვა

როგორც ჩანს, "ინტერი" ზაფხულის სატრანსფერო კამპანიისთვის მზადებას უკვე შეუდგა. გუშინ "კორიერე დელო სპორტმა" ამ თემას მოზრდილი მასალა მიუძღვნა. გამოცემა ამტკიცებს, რომ პრეზიდენტ **მასიმო მორატის** თითქმის ყველა რგოლის გადახალისება აქვს დაგეგმილი. საკითხავია, შეეხება თუ არა ეს გადახალისება მწვრთნელის სკამს, რომელიც გვარიანად მორყეულია. "ინტერი" სკუდეტოს კი მოიგებს (უდიდესი ალბათობით), მაგრამ მორატი ამაოდ ელის ევროწარმატებას და ამ მიზნის მიღწევას სწორედ რომ შემადგენლობის ტრანსფორმაციით გეგმავს, შემადგენლობის და, დიდია შანსი, მწვრთნელისაც...

ასეა თუ ისე, **რობერტო მანჩინი** სატრანსფერო ვარიანტებზე თავად საუბრობს და კონკრეტულ გვარებსაც ასახელებს. მისი თქმით, კლუბის ინტერესთა სფეროში ბელარუსი **ალექსანდრ გლები** ("არსენალი"), თურქი **გიოქან ინლერი** ("უდინეზე") და ფრანგი **აბდულაი კონკო** ("ჯენოა") არიან.

გლებს მკითხველი კარგად იცნობს, რაც შეეხება ინლერს, "უდინეზემ" ის გასულ ზაფხულს, "ციურიხისგან" იყიდა. თურქი უმალ ნახევარდაცვის ლიდერად იქცა. კონკოც დიდი ხანია ფიგურირებს მანჩინის ობიექტივში და, როგორც ამბობენ, მისი ტრანსფერის ოფიციალურად გაფორმება დღეების საქმეა.

**გიორგი გელაშვილი**



ზლატან იბრაჰიმოვიჩს ბევრი მთხოვნელი ჰყავს

ინტერვიუ მიკაელ ლაუდრუპთან

# როცა იცი, რომ ტოვებ ფეხბურთს, უფრო მშვიდად ხარ



**ერთ-ერთი ყველაზე ელეგანტური ფეხბურთელის, მიკაელ ლაუდრუპის, ასე ვთქვათ, საფირმო ნიშანი უზუსტესი გამჭოლი პასი ბევრისთვის მაგალითი იყო. "ბარსელონისა" და "რეალის" გულშემატკივრები მას პატივს სცემდნენ. პრიმერა დივიზიონში დანიელი მაესტროს არაჩვეულებრივ ხელწერას მის ბრწყინვალე ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. "დანიური დინამიტის" ლეგენდარული ნახევარმცველი კვლავ ესპანეთშია და "ხეტაფეს" უდგას სათავეში. სამწვრთნელო კარიერა თავის ქვეყნის ეროვნულ გუნდში, მორტენ ოლსენის თანაშემწედ დაიწყო, მერე მარტომ განაგრძო მუშაობა "ბრონდბიუში", რომელიც ორიოდ წლის წინათ თბილისშიც ჰყავდა ჩამოყვანილი. "ბრონდბიუს" მან ქვეყნის ჩემპიონობა და ორჯერ თასი მოაგებინა. გთავაზობთ ინტერვიუს ფიფას ვებგვერდიდან, რომელშიც ლაუდრუპი საფეხბურთო კარიერის დასამახსოვრებელ მომენტებზე საუბრობს...**

**- ბატონო ლაუდრუპ, თქვენი "ხეტაფე" ისე თამაშობს, როგორც თქვენ, ერთ დროს, როცა აქცენტს შეტევასა და მოკლე, ზუსტ პასებზე აკეთებდით. რომელი მწვრთნელია თქვენი შთაგონების წყარო?**

- ჩვეულებრივ, ასეთად ის მწვრთნელი მიმაჩნია, რომელთანაც ოდესმე მითამაშია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იოჰან კრუიფმა, ჩემმა მწვრთნელმა "ბარსელონაში", და ასევე, დანიის ეროვნული გუნდის ყოფილმა თავკაცმა ზეპ პიონტეკმა. მაგრამ იყვნენ კიდევ ხორხე ვალდანო, მორტენ ოლსენი და... ჯოვანი ტრაპატონიც კი, რომელიც თამაშის სხვა სტილს ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ მანაც ბევრი რამ მასწავლა. დიდი ბედნიერებაა, როცა ასეთ მწვრთნელებთან მუშაობ.

**- გაიმეორებთ თქვენი წინამორბედის, ბერნდ შუსტერის გზას და გამოიყენებთ "ხეტაფეს" უფრო დიდ კლუბში გადასასვლელად?**

- სხვათა შორის, ჩამოსვლისთანავე, პირველად სწორედ ეს მკითხეს. კიკე სანჩეს ფლორესი "ვალენსიაში" გადავიდა, შუსტერი მადრიდში, მე სადლა უნდა წავიდე? ერთი რამ, რაც მასწავლა საფეხბურთო კარიერამ, ისაა, რომ ფოკუსირება აწმყოზე უნდა გააკეთო. მომავალზე ფიქრი რომ დაიწყო, რაღაც ყველაზე მნიშვნელოვანი აუცილებლად გამოგრჩება. უნდა იფიქრო იმაზე, რაც არის ამჟამად, სხვა შემთხვევაში მიზანს ვერ მიაღწევ. ასე რომ, მომავალზე არ ვოცნებობ, უფრო მეტად ის მაინტერესებს, რა ხდება ახლა "ხეტაფეში".

**- თქვენი გუნდის გარდა, სხვა რა გაინტერესებთ?**

- სიამოვნებით ვუყურებ სხვა მატჩებსაც. მაგალითად, "ბარსელონა"-"რეალის" მატჩს, რომელიც ტაქტიკური ჩანაფიქრის მხრივ ხშირად არც ისე კარგია, მაგრამ იქ საუცხოო ატმოსფერო სუფევს და დაძაბულობის მაღალი დონეა. ესპანური ფეხბურთი მართლა მიყვარს, მაგრამ ასევე მომწონს, მაგალითად, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლივერპულის" დაპირისპირება, რადგან ისინი უმაღლესი კლასის გუნდები არიან და ყოველთვის დაძაბული პაექრობა აქვთ.

**- ვის ანიჭებთ უპირატესობას "ბარსელონა"-"რეალის" მატჩში?**

- ამასაც ხშირად მეკითხებიან. 10 წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ხალხი ყოველთვის ამას მეკითხება... იცით, ვერ გამოვარჩევ, რადგან მე დანიელი ვარ: ბედმა გამიღიმა და ორ უდიდეს გუნდში ვითამაშე, თანაც კარგად, და ამით ძლიერ ვამაყობ.

**- პირველად, თქვენ "ბარსელონაში" გადახვედით და კრუიფის საოცნებო გუნდის, "ბარსას" ისტორიაში მართლაც უდიდესი კრებულის წევრი იყავით. რას გაიხსენებთ იმ პერიოდიდან?**

- გავიხსენებ ჩემპიონატის ოთხ ტიტულს, განსაკუთრებით კი იმ სამს, რომელიც სეზონის ბოლო დღეს მოვიგეთ. მეგობრები, თანაგუნდელები კი ყოველთვის მემახსოვრება. ხშირად მესმის დიდ კლუბებში რაღაც არეულობებზე, შურზე, გაუტანლობაზე, მაგრამ იმ გუნდის ფეხბურთელებს ერთმანეთში ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა და ეს თქვენ მოედანზე შეგეძლოთ გენახათ. რა თქმა უნდა, ის, ვინც არ იყო გუნდში, იბრძოდა იქ მოსახვედრად, მაგრამ არ იყო ჩავარდნები.

**- ამბობდნენ, რომ 1994 წელს "რეალში" გადასვლით თქვენ სამაგიერო გადაუხადეთ "ბარსელონას" ბოლო მძიმე სეზონისთვის...**

- ეს არ იყო მიზეზი და არც სამაგიერო. მივხვდი, რომ ჩემი დრო "ბარსელონაში" დასასრულს მიუახლოვდა, საოცნებო გუნდიც ნელ-ნელა ქრებოდა... მადრიდში იმიტომ გადავედი, რომ კვლავ ტიტულები და ესპანეთში დარჩენა მინდოდა. ახლა შემიძლია გავიხსენო უნიკალური რამ: ბედმა გამიღიმა, როცა ორჯერ გახლდით უდიდესი დაპირისპირების უშუალო მონაწილე: ორივე მატჩი სარეკორდო ანგარიშით, 5:0 დასრულდა - ჯერ "ბარსელონის", მერე კი "რეალის" სასარგებლოდ, და მე ორივე მხარეს ვითამაშე. წარმოგიდგენიათ?



**- დანიური ფეხბურთიდან პირდაპირ სერია A-ში მოხვდით. რა ისწავლეთ იტალიაში?**

- იქ 19 წლისა მოვხვდი, თანაც იმ დროს, როცა გუნდში მხოლოდ ორ უცხოელ ფეხბურთელს შეეძლო თამაში. ამან საქმე მეტად გაართულა. რა თქმა უნდა, უდიდესი განსხვავება იყო დანიურ და იტალიურ ფეხბურთს შორის, რადგან მაშინ კალჩო ევროპაში საუკეთესო გახლდათ. "ლაციოში", პირველ წლებში, ძალიან გამიჭირდა. შემდეგ, დიდი სიამოვნება მომანიჭა "იუვენტუსში" თამაშმა, როცა მოვიგეთ სკუდეტო და საკონტინენტთაშორისო თასი, მაგრამ იქ იყო ასევე ცუდი დღეებიც და ტრავმებიც, ყველაფერი იყო პატარ-პატარა დოზით. იქ გატარებული ექვსი წლის შემდეგ ვიგრძენი, რომ სხვა ქვეყანაში უნდა გადავსულიყავი. ესპანეთი ყოველთვის მომწონდა და როცა ასარჩევად გამიხდა საქმე, სწორედ იქ წასვლა ვარჩიე.

**- ეროვნულ გუნდში გატარებული შთამბეჭდავი წლების მიუხედავად, თქვენ გამოტოვეთ 1992 წლის ევროპის ჩემპიონატი, რომელიც დანიის ნაკრებმა მოიგო. რას იტყვით იმ პერიოდზე?**

- ეროვნული გუნდიდან წასვლა 1990 წელს გადავწყვიტე. 1984 და 1986 წლების ფორმაციის გუნდებიდან ბევრმა დაასრულა კარიერა, შესაბამისად, დაიწყო ახალი გუნდის ჩამოყალიბება. ახალი თაობისთვის გზა უნდა დამეთმო. გარდა ამისა, ვირტუალურად, ჩვენ არანაირი შანსი არ გვქონდა ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად და გადავწყვიტე, მთელი ყურადღება კლუბისთვის დამეთმო... მაგრამ შემდეგ, იუგოსლავიის ნაკრებმა დისკვალიფიკაცია მიიღო და ის დანიით ჩაანაცვლეს... ჰოდა, გავიმარჯვეთ კიდეც. ჩემი ძმა, ბრაიანი, იმ გუნდის წევრი იყო და ვინაიდან გადაწყვეტილება თავადვე მივიღე, არც ისე ვნაღვლობდი, პირიქით, ბედნიერი ვიყავი დიდი გამარჯვებით. როგორც კი კვლავ სიძლიერე ვიგრძენი, ნაკრებში მაშინვე დავბრუნდი.

**- ...და მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე, ესპანეთთან დამარცხდით.**

- ...დიახ, სევილიაში გაშვებული გოლის წყალობით. მათ ასევე დაგვამარცხეს ევრო 84-ის ნახევარფინალსა და მექსიკაში, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე, საიდანაც, ფაქტობრივად, ემილიო ბუტრაგენიომ გაგვაგდო. ნახევრად ხუმრობით ვამბობდი ყოველთვის, რომ ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა წამართვა ყველაფერი, რაც კი ესპანეთმა საკლუბო დონეზე მომცა-მეთქი. დანიისთვის ესპანეთი ყოველთვის მძიმე მონინაალმდეგე იყო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ უფრო კარგ ფეხბურთს თამაშობენ.

**- 80-ან წლებში დანიას საუცხოო გუნდი ჰყავდა. რამ შეგიშალათ ხელი, მოგეგოთ უმთავრესი ტიტულები?**

- 1984 წელს აკურატულობა გვაკლდა. ესპანეთთან პენალტების სერიაში დავმარცხდით. მექსიკაში კი საქმე სხვაგვარად იყო. პირველი წრე იოლად გავიარეთ შოტლანდიის, ურუგვაისა და გერმანიის დამარცხების შედეგად. ესპანეთთან მატჩამდე, მხოლოდ თვენახევარზე მეტხანს ვვარჯიშობდით ერთად და უცებ, ჩვენზე ალაპარაკდნენ, როგორც ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტზე. 1:0-ს ვიგებდით და 43-ე წუთზე ბუტრაგენიოს გოლის გატანის საშუალება მივეცით. ამის მერე, უცებ გავუშვით ორი გოლი და საბოლოოდ 5:1 დავამარცხდით. ერთიანობა და გამოცდილება გვაკლდა.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე ბოლოს საფრანგეთში, 1998 წელს ითამაშეთ. რას გრძნობდით მაშინ?**

- უცნაური იყო, რადგან იმ ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთიდან წასვლას ვაპირებდი. როცა იცი, რომ მიდიხარ, უფრო მშვიდად ხარ მოედანზე, რადგან აღარ გაინტერესებს, რა იქნება მომდევნო წელს. მსიამოვნებდა ყველა მატჩში თამაში. ჯგუფურ ეტაპზე მართლაც ვიბრძოლეთ, მაგრამ შემდეგ უნდა გვეთამაშა ნიგერიასთან, რომელმაც ესპანეთი გააგდო. თუმცა ჩვენ ისინი დავამარცხეთ და ბრაზილიას შევხვდით... ერთი წუთით წარმოვიდგინე კიდეც მათი დამარცხება, რამხელა აჟიოტაჟს გამოიწვევდა. ზეწოლას არ ვგრძნობდი. ბრაზილიაზე უკეთეს მეტოქეს ვერც ინატრებდა ადამიანი... საბოლოოდ, წავაგეთ დაძაბულ მატჩში.

**- ფეხბურთელობისას მიღწეულით კმაყოფილი ხართ?**

- დასასრულს, "აიაქსთან" ერთად დუბლი შევასრულე. ვფიქრობ, უკეთეს ფინალს ვერც დაგეგმავდა კაცი, განსაკუთრებით დანიელი ფეხბურთელისთვის. კმაყოფილი ვარ და უფრო მეტიც. სხვა რაღა უნდა სურდეს ადამიანს?!

**- როგორ შეაფასებდით დანიის ამჟამინდელ ნაკრებს?**

- მძიმე პერიოდში მოუხდათ თამაში, ბოლოს ორი დიდი მარცხი იწვნიეს. ეს მძიმე დარტყმაა, მაგრამ რეალისტები უნდა ვიყოთ: დანია პატარა ქვეყანაა და ზრდის როგორც კარგ, ასევე ნაკლებად კარგ ფეხბურთელებს. გუნდში ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს, ეს უდავოა, მაგრამ მათ დრო და მოთმინება სჭირდებათ. თუ ზედმეტად ინერვიულებენ, ეს პრობლემებს შექმნის.

**- თქვენი ორი ვაჟიც ფეხბურთელია. რას უმზადებს მათ მომავალი?**

- უფროსი "კოპენჰაგენში" თამაშობს, უმცროსი კი "რეალის" იუნიორთა გუნდშია. ორივეს ვუსურვებ, ისიამოვნონ იმით, რასაც აკეთებენ და ყოველგვარი ზეწოლის გარეშე იქცნენ დიდ ფეხბურთელებად.

**მოამზადა დავით ჩუბინიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესგუნდი

# თუ გერმანია ევროპის ჩემპიონი გახდება...

## ბირჰოფი ზეიმს ბერლინში გეგმავს

გერმანელებს დიდი იმედი აქვთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოიგებენ. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კი შეიტყვეს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, ზეიმი ბერლინში მოეწყობა და მეტიც: ზეიმის პროგრამა უკვე შედგენილი და დროში გაწერილია! გერმანელებმა 2006 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილის დაკავებაც დედაქალაქში იზეიმეს და ის დღე ალემან ქომაგებს კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ. ბრანდენბურგის კარიბჭესთან მაშინ დაახლოებით 500 000 ფანი შეიკრიბა და მუნდიალზე მიღწეული წარმატება ფეხბურთელებთან ერთად აღნიშნა. ეს იყო ზენიტი იმისა, რასაც შემდგომში გერმანელებმა "ზაფხულის ზღაპარი" უწოდეს.

*"თუ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა და ევროპის ჩემპიონები გავხდებით, ბერლინში ამჯერად უფრო გრანდიოზული ზეიმი მოეწყობა. ეს იქნება დაუვიწყარი საღამო ქომაგებისთვის,"* — განუცხადა "კიოლნერ ექსპრესს" გერმანიის ნაკრების მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა**.

ევროპის ჩემპიონატის ფინალი 29 ივნისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში შედგება. ბერლინში კი, ზეიმი ერთი დღის შემდეგაა დაგეგმილი. ცერემონიაში შედის გუნდის დახვედრა აეროპორტში და ა.შ. გერმანიის საფეხბურთო კავშირში ორიოდ დღის წინათ ევროპის ჩემპიონატის თემას ვრცელი თათბირი დაეთმო, სადაც კონტინენტის პირველობის თითოეული დღე საათების მიხედვით დაგეგმეს. ფაქტია, რომ გერმანელებს ფინალში გასვლისა და მისი მოგების უდიდესი იმედი აქვთ. ბირჰოფი: *"ძალიან გამიხარდა, რომ ფინალის დღეც დავგეგმეთ. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონობაა."*

როგორც ხედავთ, ბირჰოფი იმედიანადაა განწყობილი. ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** პესიმისტობს, მაგრამ ფაქტია, რომ ევროპის ჩემპიონატზე საუბრისას იოგი ძალიან ფრთხილობს. ლიოვი ამბობს, ეს გერმანიის ნაკრებისთვის ყველა დროის ერთ-ერთი ურთულესი ტურნირი იქნებაო.

*"გაიხსენეთ მუნდიალი. იქ მერვედფინალში გასული 16 გუნდიდან 10 ევროპის წარმომადგენელი იყო, ხოლო 8 მეოთხედფინალისტიდან კი-6. ნახევარფინალში მხოლოდ ევროპული გუნდები გავიდნენ. აქედან გამომდინარე, ძალიან რთულია იმის თქმა, რომ ჩვენ ევროპის ჩემპიონები გავხდებით. ფანებს მხოლოდ ერთ რამეს შევპირდები: გერმანიის ნაკრები ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ავსტრია/შვეიცარიიდან გამარჯვებული დაბრუნდეს,"* — ამბობს გერმანიის ნაკრების თავკაცი.

**გოტფრიდ ლენცი**





ბირჰოფმა და ლიოვმა საზეიმოდ ადგილი უკვე შეარჩიეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია. ახალი მწვრთნელი. ინტერვიუ მარკო გონსალეს ვოროსთან

# სენტიმენტების დრო არ არის, გუნდს უნდა ვუშველოთ

## ვორო: შეავსეთ მესტალია და დაგვეხმარეთ! ვალენსიის ახალი მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ გუნდი პრიმერა დივიზიონში დარჩება

ყველასთვისმოულოდნელად, უდიდესი ამბიციების მქონე "ვალენსია" პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. "ღამურებს" გასავარდნ ზონასთან მხოლოდ ორი ქულა აშორებთ. ერთი კვირის წინათ, ამ გუნდმა ესპანეთის სამეფო თასი მოიგო. ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს და დაიწყეს საუბარი იმაზე, თითქოს ამ წარმატებით პრიმერა დივიზიონში დაშვებული ყველა შეცდომა გამოისყიდეს, და თითქოს, რონალდ კუმანმაც გაიმყარა პოზიციები... მაგრამ სათასო ტრიუმფს მორიგი საჩემპიონატო ფიასკო მოჰყვა: "ვალენსიამ" "ბილბაოსთან" სტუმრად 1:5 წააგო. კლუბის ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა აევსო და ჰოლანდიელი სპეციალისტი თანამდებობიდან გადააყენა. სეზონის ბოლომდე მთავარი მწვრთნელის პოსტზე მარკო გონსალეს ვორო იმუშავებს.

"ღამურების" ახალი თავკაცი ძველი ვალენსიელია. "მესტალიაზე" პირველი სეზონი მან 1983/84 წლებში ჩაატარა, შემდეგ ერთი წლით "ტენერიფეში" გაანათხოვრეს, 1985-93 წლებში კი ისევ "ვალენსიაში" თამაშობდა. მომდევნო სამი წელი ვორომ "დეპორტივოში" დაჰყო, 1996 წელს კი "ლოგრონიესში" გადაბარგდა და სამი წლის შემდეგ კარიერაც დაასრულა. ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში ვორომ ცხრა ორთაბრძოლა ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ ის 1994 წლის მუნდიალზეც ბრძანდებოდა.

"ვალენსიის" ხელმძღვანელობამ ამ ადამიანს კონკრეტული ამოცანა დაუსახა: დარჩენილ ხუთ ტურში გუნდმა იმდენი ქულა უნდა მოაგროვოს, რამდენიც საკმარისი იქნება პრიმერა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის. მარკო გონსალეს ვორო დარწმუნებულია, რომ ამ ამოცანის გადაჭრას შეძლებს...



მარკო გონსალეს ვორო (ცენტრში) პირველ ვარჯიშზე

**- ჯერ კიდევ სამი დღის წინათ, კლუბის ერთ-ერთი დელეგატი იყავით. სრულიად მოულოდნელად, მთავარი მწვრთნელის პოსტზე აღმოჩნდით. ხელმძღვანელობამ "ვალენსიის" გადარჩენა დაგავალათ. მზად ხართ ამისთვის?**

- სეზონის დაწყების წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე დაგვემუქრებოდა. რა თქმა უნდა, არც მე ვფიქრობდი, რომ მთავარ მწვრთნელად მომიწევდა მუშაობა. ჩვენ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვუმიზნებდით... სხვათა შორის, ჩემპიონობასაც არ გამოვრიცხავდით. რა გაეწყობა, რაც იყო, იყო. ახლა წარსულზე საუბრის დრო ნაკლებად გვაქვს. რაკილა ხელმძღვანელობამ ჩემზე გააკეთა არჩევანი, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ დავალება პირნათლად შევასრულო. ბუნებით ოპტიმისტი ადამიანი ვარ. ბიჭებთან პირველივე საუბრის შემდეგ, ოპტიმიზმი კიდევ უფრო გამიღრმავდა. ჩვენ არაჩვეულებრივი ფეხბურთელები გვყავს. დარწმუნებული ვარ, ისინი "ვალენსიას" სეგუნდა დივიზიონში გავარდნისგან იხსნიან.

**- ფეხბურთელების შესაძლებლობები ერთია, მწვრთნელის სტრატეგია კი მეორე. ზუსტად იცით, რა უნდა გააკეთოთ პრიმერა დივიზიონში დარჩენისთვის?**

- ახლა, შორსმიმავალ გეგმებს ვერ დავსახავთ. დარჩენილ შეხვედრებს ისე უნდა მოვეკიდოთ, როგორც ჩემპიონთა ლიგის ფინალს. ასე რომ, კვირას პირველი სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოგვიწევს. გუნდმა ღირებულებები უნდა გადააფასოს. როგორც ჩანს, მთელი ამ დროის განმავლობაში თავმდაბლობა გვაკლდა. ჩვენმა ვარსკვლავებმა უნდა დაივიწყონ, რომ სეზონის დაწყების წინ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვაპირებდით ბრძოლას. დღეს სულ სხვა რეალობის წინაშე ვდგავართ. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ ყველამ ერთად თავი უნდა დავხაროთ და მშვიდად ვიმუშაოთ.

**- კი, მაგრამ, ხომ შეიძლება ამით თქვენს შეგირდებს არასრულფასოვნების კომპლექსი შეეყაროთ?**

- როგორ გეკადრებათ?! მაგალითად, დავიდ ვილია ავიღოთ. ამ ფეხბურთელმა ყველაზე კარგად იცის, რისი უნარიც შესწევს. თავმდაბლობაში სულ სხვა გარემოებას ვგულისხმობ. ბიჭებმა ბოლომდე უნდა გააცნობიერონ, რომ მთელი რიგი შეცდომის გამო გუნდს პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმე ცუდად კეთდებოდა. ვიცი, ზოგი ფიქრობს - მსოფლიო დონის ფეხბურთელი ვარ და ასეთ გუნდში არაფერი მესაქმებაო. მსგავსი მიდგომა დამღუპველია. მირჩევნია, ვიფიქროთ, რომ საშუალოზე დაბალი დონის კლუბში ვმუშაობთ და დასახული ამოცანა ამ გზით გადავჭრათ.

**- ვილიას უპასუხისმგებლობაზე ხომ არ მიგვანიშნებთ?**

- არა, უბრალოდ, ის მაგალითად მოვიყვანე. ვილია დიდი პროფესიონალია და მოტივაციის დაკარგვა არ ემუქრება.

**- ახლა, ყველას ალბელდას, კანისარესისა და ანგულოს ბედი აღელვებს. პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, რომ რონალდ კუმანის მიერ ათვალწუნებულ ფეხბურთელებს შემადგენლობაში დააბრუნებთ. აზრი ხომ არ შეგიცვლიათ?**

- მადლობა ღმერთს, მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის წინ ხელმძღვანელებს არანაირი პირობა ან ულტიმატუმი არ წამოუყენებიათ. მათ სრული თავისუფლება მომანიჭეს. რომ ეთქვათ, ხსენებული ტრიო გუნდში არ დააბრუნოთო, სულ სხვა საქმე იქნებოდა. ამ შემთხვევაში, ალბათ, სერიოზული უთანხმოება გვექნებოდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგადაა. არ მესმის, ალბელდას, კანისარესსა და ანგულოს შანსი რატომ არ უნდა მივცეთ? მათ ზუსტად ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც ყველა დანარჩენს. სამწუხაროდ, ცნობილი მიზეზების გამო, ამ ბიჭებს ძალიან დიდი დრო გაუცდათ. მაგრამ ეს ფაქტი არ მაშინებს. თუ ხსენებული სამეული დამიმტკიცებს, რომ კარგ ფორმაშია და გუნდისთვის სიკეთის მოტანა შეუძლია, რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაშიც დავაყენებ. გუშინ ძალიან სერიოზული საუბარი გვქონდა. ბიჭები მეტისმეტად დათრგუნულები არიან. ეს არც არის გასაკვირი. იოლი როდია, როცა მთელი ქვეყნის გასაგონად პროფესიონალიზმს გიწუნებენ და გუნდიდან გაგდებენ. მაგრამ ვიმეორებ, მათ ეძლევათ შანსი, დაამტკიცონ, რომ ჩემმა წინამორბედმა შეცდომა დაუშვა.

**- კუმანის გადაწყვეტილებას პირადად თქვენ შეცდომად მიიჩნევთ?**

- უკვე მოგახსენეთ, რომ წარსულში დაშვებულ შეცდომებზე საუბრის დრო ნაკლებად გვაქვს. მაგრამ ვაცნობიერებ, რომ ეს საკითხი დღემდე ძალიან აქტუალურია. მოდით, გულწრფელად გეტყვით: კუმანის ნაცვლად თავიდანვე მე რომ ვყოფილიყავი, ამ ბიჭებს გუნდიდან არ გავაგდებდი. არა მგონია, "ვალენსიაში" არსებული პრობლემები მათი ბრალი იყოს. იმედია, ალბელდაც, კანისარესიცა და ანგულოც მცირე დეპრესიას დაძლევენ, ფორმას აღიდგენენ და დარჩენილ შეხვედრებში დაგვეხმარებიან. სამწუხაროდ, დრო ყველას ძალიან ცოტა გვაქვს. ასეთ ცაიტნოტში არასოდეს მიმუშავია.

**- სიტყვამ მოიტანა და, ჰილდებრანდი ტრამვირებულია. ექიმების მტკიცებით, ის მომავალ ტურში ვერ ითამაშებს. საინტერესოა, ძირითად შემადგენლობაში კანისარესს დააბრუნებთ?**

- ექიმებს პირადად ვესაუბრე. მათ დამარწმუნეს, რომ ტიმოს თამაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია. კანისარესზე ახლა ნამდვილად ვერაფერს გეტყვით. ფიზმომზადების სპეციალისტებთან გავივლი კონსულტაციას, მათ აზრს მოვისმენ და სათადარიგო მეკარეებს საგულდაგულოდ დავაკვირდები. აბსოლუტურად ყველას თანაბარი შანსი აქვს. ალბათ, ბოლო მომენტში მომიწევს გადაწყვეტილების მიღება - კანისარესი ვათამაშო, მორა თუ გაიტა.

**- გულშემატკივრებისგან რას ელით?**

- 20 წელიწადზე მეტია, "ვალენსია" ასეთ რთულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილა. ახლა ანგარიშსწორების დრო არ არის. გულშემატკივრების გარეშე წარმატებას ვერც ერთი გუნდი ვერ მიაღწევს. ჩვენ ერთიანობა და ინჩასების თანადგომა გვჭირდება. ძვირფასო გულშემატკივრებო, შეავსეთ "მესტალია", იხმაურეთ და გამარჯვების მოპოვებაში დაგვეხმარეთ! აი, ეს არის ჩემი მოწოდება.

**- თუ "ვალენსიას" პრიმერა დივიზიონში ადგილს შეუნარჩუნებთ, მთავარი მწვრთნელის პოსტზე დარჩებით?**

- არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ ახლა ამაზე არავინ საუბრობს. ჯერ ხუთი შეხვედრა უნდა ჩავატაროთ და უძლიერესთა შორის ადგილი შევინარჩუნოთ.

**- გასაგებია, რასაც ამბობთ, მაგრამ მე კონკრეტული პასუხი მაინტერესებს. თუ ყველაფერი კარგად დასრულდა და ხელშეკრულების გახანგრძლივება შემოგთავაზეს, რა გადაწყვეტილებას მიიღებთ?**

- ჩემთვისაც გასაგებია, რასაც მეკითხებით, მაგრამ კიდევ გიმეორებთ: ახლა ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან ამაზე ფიქრის დრო არ მაქვს. "ვალენსიის" გაძღოლა უდიდესი პატივია, მაგრამ იმისთვის, რომ ამ თანამდებობას დათანხმდე, ძალიან ბევრი საკითხი უნდა გაარკვიო.

**- დარწმუნებული ვარ, კუმანის საყვარელი 4-3-3 ტაქტიკით აღარ ითამაშებთ...**

- ყველაფერი ფეხბურთელებსა და მათ მზადყოფნაზე იქნება დამოკიდებული. შესაძლოა, 4-4-1-1 ტაქტიკის გამოყენება მოგვიხდეს. ზოგადად კი, ტრადიციულ 4-4-2 განლაგებას ვანიჭებ უპირატესობას.

**- თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ კუმანთან ხომ არ გისაუბრიათ?**

- ძალიან ცოტა დრო გვქონდა და მოკლედ ვისაუბრეთ. რონალდმა წარმატებები მისურვა და დამარწმუნა, რომ თანამდებობიდან გადაყენების მიუხედავად, "ვალენსიას" უგულშემატკივრებს. მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება... ახლა სენტიმენტების დრო არ არის, გუნდს უნდა ვუშველოთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინციდენტი

# მიჩელ სალგადო, აგრესიის მსხვერპლი

**მიჩელ სალგადომ** უსიამოვნებაში გაჰყო თავი. "რეალის" მცველს სახლთან გუნდის რადიკალი ფანები დახვდნენ და ლანძღვა-გინებით აიკლეს. საგულისხმოა, რომ მას ეს პრობლემა ცოლის გამო შეექმნა. გასულ უქმეებზე, სამეფო კლუბმა "რასინგთან" უმნიშვნელოვანესი გასვლითი მატჩი მოიგო. შეხვედრას, რა თქმა უნდა, სალგადოს მეუღლეც დაესწრო, მაგრამ საპატიო სტუმართა ლოჟაში ის "რასინგის" მაისურითა და საგულშემატკივრო დროშით გამოცხადდა. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელის მეუღლე სანტანდერშია დაბადებული და ბავშვობიდან ამ კლუბს ქომაგობს. როგორც ჩანს, კანტაბრიული გუნდი მას მართლაც ძალიან უყვარს, რადგან სხვა შემთხვევაში, ერთგულებას ასე ლიად არ გამოხატავდა. სენიორა, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდა, რომ "რასინგის" მხარდაჭერით ქმარს ამხელა პრობლემას შეუქმნიდა.



მიჩელ სალგადო მეუღლესთან ერთად

საბრალო მიჩელს "ულტრასებმა" ისეთი დღე აყარეს, პოლიციაში სარჩელი აფრინა. "დიარიო მარკას" ჟურნალისტმა ფეხბურთელის ჩვენება მოიპოვა და ფართო საზოგადოებას გააცნო. აი, რას ვკითხულობთ დაკითხვის ოქმში:

*"საღამოს, მანქანით სახლში დავბრუნდი. სადარბაზოს კარს ვაღებდი, როცა ექვსი ადამიანი მომეჭრა და გასაღები წამართვა. მათ მასხრად ამიგდეს და "რეალის" მოღალატე მიწოდეს. შევეცადე, თავდამსხმელები დამემშვიდებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მათ არ მოეწონათ, რომ ჩემი ცოლი "რასინგს" გულშემატკივრობს და ამის გამო სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენეს. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა კი ხელი მკრა და კედელს მიმანარცხა".*

სალგადოს გასაჭირი "რეალის" ხელმძღვანელობამ გულთან ახლოს მიიტანა. მის დასაცავად **პრედრაგ მიატოვიჩმა** საგანგებო პრესკონფერენციაც კი მოიწვია: *"ჩვენ თავისუფალ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ნებისმიერი ადამიანი უფლებამოსილია, იმ გუნდს უგულშემატკივროს, რომელიც მოსწონს. მიჩელ სალგადო აგრესიის მსხვერპლი გახდა. პირდაპირ ვიტყვი: "რეალს" ასეთი ქომაგები არ სჭირდება. ისინი ჩვენს გუნდს ჩირქს სცხებენ. იმედია, პოლიცია თავდამსხმელებს მალე დააკავებს და პასუხს აგებინებს".*

სამართალდამცველები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ აგრესორთა იდენტიფიცირება შეძლონ და დააკავონ. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებს არ ამხელენ, თუმცა ერთი ის არ დაუმალავთ, რომ იქვე დამონტაჟებული კამერის მეშვეობით, ექვსიდან ორი თავდამსხმელის გარეგნობა დაფიქსირებულია. ახლა, მონაცემთა ბაზას შეამოწმებენ და ძებნას გამოაცხადებენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმო. ბანძუკე

# კოკაის ნახევარი ნაბიჯი დააკლდა, ტოჩინოშინი ელიტაშია





მაისის სუპერტურნირზე ორი ქართველი იჭიდავებს: კოკაი და ტოჩინოშინი

გუშინ, იაპონიაში გამოქვეყნდა სუმოს ახალი რეიტინგი (ბანძუკე), რომლის წყალობითაც ცხადი გახდა, რომ მაისის სუპერტურნირიდან სუმოს ელიტურ დივიზიონ მაკუუჩიში ისტორიაში პირველად ორი ქართველი ფალავანი იჭიდავებს – **ლევან ცაგურია (კოკაი)** და **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**.

ყველაზე საინტერესო იყო, თუ როგორ გადაწყვეტდა სუმოს ასოციაცია „კოკაის საკითხს" – ქართველმა წინა ბაშოზე 12-3 ბალანსით დაასრულა ასპარეზობა და „მებრძოლი სულის" პრიზიც მიიღო, ის აშკარად იმსახურებდა კომუსუბის რანგში გადაყვანას, მაგრამ ამისთვის რეიტინგში კომუსუბის დამატებითი ადგილი უნდა გამოეყოთ, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა. 27 წლის კოკაი აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირაა, ანუ მას ნახევარი ნაბიჯი დააკლდა კომუსუბის ტიტულის დაბრუნებამდე. მაისის ბაშოზე კოკაის ნებისმიერი დადებითი ბალანსი ჰყოფნის მიზნის მისაღწევად. კოკაი სიმაღლეში 189 სანტიმეტრია და 148 კილოს იწონის. პროფესიულ სუმოში მას 294 გამარჯვება და 233 მარცხი დაუგროვდა, უმაღლესში კი მისი ბალანსი ასეთია: 197-193.

ლევან გორგაძემ 9-6 ბალანსით დაასრულა ძურიოს დივიზიონი და უმაღლესში ადგილიც მოიპოვა, ტოჩინოშინი აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირაა. 20 წლის ქართველი უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტია, ის 191 სმ სიმაღლისაა და 145 კილოს იწონის. მისი კარიერის ბალანსია: 75-24. უმაღლესში სულ სამი დებიუტანტია: ტოჩინოშინი, კოტოკასუგა და მონღოლი **ჰაკუბა**. თუკი 30 წლის კოტოკასუგას მიზნის მისაღწევად 91 ბაშოზე დასჭირდა ოფლისღვრა, ქართველმა გრძელი გზა სულ რაღაც 13 ბაშოში გაიარა, რაც სუმოს ისტორიაში მეათე უსწრაფესი შედეგია ყოფილ იოკოძუნა **ტაკაჰანდასთან** ერთად. მესამე დივიზიონ მაკუშიტაში 35-ე ნომრამდე ჩამოქვეითდა **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**.

სხვა მხრივ, რეიტინგში დიდი ცვლილებები არაა. დიდმა ჩემპიონებმა ადგილები გაცვალეს – იმპერატორის თასის მომგები **ასაშორიუ** უფრო პრესტიჟულ აღმოსავლეთის იოკოძუნას სახელს ატარებს, ხოლო მისი თანამემამულე **ჰაკუჰო** დასავლეთის იოკოძუნა ხდება. ოძეკი კვლავ ოთხია, ბულგარელ **კოტოოშუს** მაისის ბაშოზე ტიტულის დაცვა მოუწევს. კომუსუბის ტიტული მიიღო მონღოლმა **ასასეკირიუმ**. პირველი მაეგაშირა, კოკაისთან ერთად, ესტონელი **ბარუტო** იქნება. უმაღლეს დივიზიონში 16 უცხოელია, ეს რეკორდია. მაისის ბაშო სუმოს მექაში, ტოკიოს დარბაზ „კოკუგიკანში" გაიმართება 11-25 მაისს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| აპრილის ბანძუკე | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთი | – | დასავლეთი |
| ასაშორიუ | იოკოძუნა | ჰაკუჰო |
| კოტომიცუკი | ოძეკი | კაიო |
| ჩიოტაიკაი | ოძეკი | კოტოოშუ |
| ამა | სეკივაკე | კოტოშოგიკუ |
| კისენოსატო | კომუსუბი | ასასეკირიუ |
| **კოკაი** | მაეგაშირა 1 | ბარუტო |
| კიოკუტენჰო | მ 2 | ვაკანოჰო |
| მიაბიამა | მ 3 | კაკურიუ |
| ტოკიტენკუ | მ 4 | ამინიშიკი |
| ტოჩიოძანი | მ 5 | ტოიონოშიმა |
| ფუტენო | მ 6 | ჰოკუტორიკი |
| ტაკამისაკარი | მ 7 | გოეიდო |
| ტოჩინონადა | მ 8 | ტაკეკაძე |
| კასუგაო | მ 9 | როჰო |
| დეჯიმა | მ 10 | ვაკანოსატო |
| ივაკიამა | მ 11 | ჰომაშო |
| ტოსანოუმი | მ 12 | ტამაკასუგა |
| კაკიძოე | მ 13 | ტამანოშიმა |
| **ტოჩინოშინი** | მ 14 | იოშიკაძე |
| ჰაკუროძანი | მ 15 | ტოიოჰიბიკი |
| კოტოკასუგა | მ 16 | ჰაკუბა |

ჰოკეი

# ქართული ჰოკეი გამარჯვებით ბრუნდება



გოლი დნეპროპეტროვსკელთა კარში

დნეპროპეტროვსკში დასასრულს უახლოვდება საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში, სადაც საქარველოს ნაკრებიც მონაწილეობს. გეგმით ჩვენ გუნდს 7 მატჩი უნდა ჩაეტარებინა. ამ შვიდი მატჩიდან, სამწუხაროდ, ჩვენმა ჰოკეისტებმა უმეტესობა წააგეს, მაგრამ განცდილმა მარცხმა ისინი გამოაცოცხლა და დნეპროპეტროვსკის "მერკურის" სძლიეს.

ეს იყო მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილებისთვის ბრძოლა, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ჩვენი ნაკრები გამოცდილებას იძენს სტანდარტულ მოედანზე თამაშით. შედეგიც ნელ-ნელა ისეთი გვექნება, როგორიც საქართველოში ყინულის ჰოკეის პოპულარიზაცია სჭირდება.

დნეპროპეტროვსკის "მგლებთან" მატჩში, რომელიც საქართველოს ნაკრებმა 8:1 (2:0, 2:1, 4:0) მოიგო, **გეფერიძემ** დუბლი შეასრულა, თითო შაიბა კი **კავკასიძემ, დავიდოვმა, დავითაშვილმა, დავითაიამ, ოგანეზიანმა** და **ნადირაშვილმა** გაიტანეს.

საინტერესო და ცოტა უცნაურიც იყო ის, რომ მატჩის მთავარი მსაჯი უკრაინელი "მგლების" მწვრთნელი იყო, მაგრამ ამას ჩვენი ბიჭებისთვის ხელი არ შეუშლია, დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ. ჰოკეისტები თურმე ამბობენ, ტურნირი ახლა რომ იწყებოდეს, უკეთესად ვითამაშებდითო. საქართველოს ნაკრებს დარჩა ერთი ამხანაგური მატჩი "დნეპროტეხსერვისის" გუნდთან.

**დავით ჩუბინიძე**

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

# ფანცულაია უდანაკარგოა

**ევროპის ჩემპიონატზე მეოთხე ტურის პარტიები გათამაშდა. ჩვენდა სასიხარულოდ, ვაჟთა შორის წარმატებით სვლას აგრძელებს ლევან ფანცულაია.**

ლევანს მეოთხე ტურში მეტოქედ რუმინელი დიდოსტატი **დარდაი საბო** (2516) ჰყავდა. ჩვენებური ფავორიტად კი ითვლებოდა, მაგრამ რუმინელმა მანამდე რამდენიმე ძლიერ დიდოსტატს აჯობა და ყურადღების მოდუნება არაფრით შეიძლებოდა. ლევანმაც გაითვალისწინა ყველა ნიუანსი და გაიმარჯვა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა: დებიუტის შემდეგ ქართველმა არცთუ დიდი უპირატესობა მიიღო: შუა თამაშში შავები ზედმეტი პაიკით დარჩნენ და ლაზიერის ფრთაზე გააკეთეს აქცენტი. როგორც ჩანს, ფანცულაიას უფრო გრძელი გეგმა ჰქონდა გათვლილი და როცა რუმინელმა მეორე პაიკიც მოინადირა და ჩათვალა, რომ მოგებული პოზიცია ჰქონდა, მაშინ დაემხო თავზე ყველაფერი - დარდაიმ უდარდელად დაუდო ლევანს საკუთარი ლაზიერი გასაცვლელად და თითქოს სხვა გამოსავალიც არ იყო, მაგრამ ფანცულაიამ შესანიშნავი კომბინაცია წამოიწყო: ეტლი შესწირა, შემდეგ ლაზიერით მეტოქის მეფის "სანახებში" შეიჭრა და მხედრის დახმარებით ოთხ სვლაში დაამამათა უნგრელი.

ლევანის დარად 4 ქულა მხოლოდ ორ მონაწილეს აქვს: ებრაელ **ემილ სუტოვსკის** (2630) და რუს **სერგეი გრიგორიანცს** (2573). დღეს, მეხუთე ტურში ჩვენებური პირველ დაფაზე ითამაშებს შავებით და მეტოქედ სუტოვსკი ეყოლება. სუტოვსკი ძლიერი მოჭადრაკეა, მაგრამ ფანცულაიას უფრო ძლიერებთან წარმატებული თამაშის გამოცდილებაც აქვს და დავიტოვოთ იმედი, რომ ამჯერადაც სასურველ შედეგს მივიღებთ.

სამწუხაროდ, წააგო **მიხეილ მჭედლიშვილმა** - მისი მომრევი ბულგარელი **ვალენტინ იოტოვი** (2531) გახდა. ჩვენებური 100 პუნქტზე მეტით კი უსწრებდა იოტოვს, მაგრამ თავის დაცვა მაინც ვერ შეძლო და ცხრილის შუა ნაწილისკენ ჩაიწია. მჭედლიშვილს 2 ქულა აქვს და ჯერაც შერჩენია ზემოთ ამოსვლის შანსები.

გამოსარჩევი შედეგები ქართველ ვაჟთაგან გუშინ **კონსტანტინე შანავას** (2518) და **დავით ჯოჯუას** (2463) ჰქონდათ: შანავამ თეთრებით გერმანელ **ლეონიდ კრიცს** (2609) აჯობა, თეთრებითვე მოიგო ჯოჯუამაც, ვინაც ასევე ძლიერი დიდოსტატი, 2600 რეიტინგის მფლობელი ბერძენი **ხრისტოს ბანიკასი** დაამწუხრა. სხვათა შედეგებს ქვემოთ იხილავთ.

წარმატებები გვაქვს ქალთა შორისაც. მართალია აქ მაქსიმალური ქულით თავს ვერ მოვიწონებთ, მაგრამ ლიდერებში კი საკმაოდ არიან ჩვენებურები. შევნიშნავთ, რომ გუშინ პირველ დაფებზე ისე წარიმართა შეხვედრები, მაქსიმალური ქულა მხოლოდ რუს **ეკატერინა კოვალევსკაიას** დაურჩა. მას 3,5 ქულით 7 მოჭადრაკე უდგას კვალში, რომელთა შორის ერთი ქართველი - **ნანა ძაგნიძეა**. ნანამ გუშინ **დაგნე ჩუსკიტეს** (2380) მოუგო.

შავებით ყაიმს დასჯერდა **მაია ლომინეიშვილი** და სამი ქულა აქვს. მისი მეტოქე ძლიერი უკრაინელი დიდოსტატი **ანა უშენინა** იყო. პარტია პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და მეტად თვალსასეირო სანახავი გამოდგა: ლომინეიშვილმა აქტიური თამაში აირჩია, შეტევაზე გადავიდა, რის გამოც ორი პაიკის შეწირვა მოუხდა, მაგრამ როგორც ჩანს, მთლად ზუსტად ვერ წარმართა იერიში და ბოლოს საყაიმო ვარიანტის არჩევა მოუხდა: ლაზიერი შესწირა, რის შემდეგაც ეტლისა და კუს მეშვეობით მუდმივი ქიში გამოუცხადა თეთრების მეფეს.

ვერ მოიგო **სოფიკო ხუხაშვილმაც** - თეთრებით სომეხ **ლილიტ მკრტჩიანს** (2413) ხვდებოდა. ლილიტი არ გახლავთ ხელწამოსაკრავი მოჭადრაკე, რაზეც მისი რეიტინგიც მეტყველებს და აკი ვერც ვერაფერი მოიძია სოფომ ისეთი, მოსაგებად რომ საკმარისი გამხდარიყო. ხუხაშვილსაც 3 ქულა აქვს და ქულა უკლია ლიდერამდე.

ძლიერ მეტოქესთან ყაიმს გამორჩა, თანაც შავებით, **სოფიო გვეტაძე** და მასაც 3 ქულა აქვს ანგარიშზე. მოწინააღმდეგე უნგრელი **სიდონია ვაიდა** (2413) გახლდათ. სოფიო მადიარს 63 პუნქტით კი ჩამორჩება, მაგრამ გამოცდილებით ჯობნის და მიიღო კიდეც შედეგი. გვეტაძე ჯერჯერობით კარგ თამაშს აჩვენებს - აქამდე ყველა მეტოქე ანგარიშგასაწევი და კლასიანი ჰყავდა...

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა **მარიამ დანელიამ** (2129) - შავებით სომეხი **სირანუშ ადრიასიანი** (2278) დაამარცხა. მარიამმა ამ მოგებით ერთგვარი რევანში აიღო სირანუშზე - 2006 წლის ტურინის ოლიმპიადაზე სომხეთის ნაკრებში სწორედ სირანუში თამაშობდა და მისმა მოგებამ დაამარცხებინა სომხეთის ქალთა ნაკრებს საქართველოს ნაკრები პირველად ისტორიაში - 2:1.

აღსანიშნავია **ლელა ჯავახიშვილის** ზედიზედ მესამე გამარჯვება. როგორც ჩანს, სტარტზე განცდილი მოულოდნელი მარცხი ლელამ კარგად დაივიწყა. ლელამ არცთუ სუსტი ბელარუსი **ანა შარევიჩი** (2311) დაამარცხა თეთრებით.

კვლავ გაგვიცრუეს იმედები **სოფიო ნიკოლაძემ, ნაზი პაიკიძემ და მერი ჟორჟოლიანმა**. მათი ასეთი სუსტი თამაში ჩვენ არ გვახსოვს და ეგებ ამასაც ეშველოს ამ ტურნირზე - ფინიშამდე 7 ტურია და ვითარების გამოსწორება სრულიად შესაძლებელია.

**ზვიად შათირიშვილი**

| მეოთხე ტური. ქალები | |
|---|---|
| **სოფიკო ხუხაშვილი** (2371)-ლილიტ მკრტჩიანი (სომ. 2413) | 0,5:0,5 |
| ანა უშენინა (უკრ. 2474)-**მაია ლომინეიშვილი** (2400) | 0,5:0,5 |
| დაგნე ჩუსკიტე (ინგ. 238)-**ნანა ძაგნიძე** (2443) | 0:1 |
| სიდონია ვაიდა (უნგ. 2413)-**სოფიო გვეტაძე** (2350) | 0,5:0,5 |
| ნორმან კაზიმოვა (აზერ. 2071)-**სალომე მელია** (2413) | 1:0 |
| **ნინო ბაციაშვილი** (2304)-ელინა დანიელიანი (სომ. 2479) | 0:1 |
| **ლელა ჯავახიშვილი** (2466)-ანა შარევიჩი (ბელ. 2311) | 1:0 |
| ლილიტ გალოიანი (სომ. 2324)-**ანა მათნაძე** (2191) | 1:0 |
| ელენა კოზმა (რუმ. 2374)-**სოფიო ნიკოლაძე** (2249) | 1:0 |
| **ნაზი პაიკიძე** (2347)-ნატალია პოპოვა (ბელ. 2239) | 0:1 |
| სირანუშ ადრიასიანი (სომ. 2278)-**მარიამ დანელია** (2129) | 0:1 |
| კატრინა სკინკე (ლატ. 2204)-**მერი ჟორჟოლიანი** (2133) | 1:0 |

| ვაჟები | |
|---|---|
| **ლევან ფანცულაია** (2617)-დარდაი საბო (რუმ. 2516) | 1:0 |
| ვალენტინ იოტოვი (ბულ. 2531)-**მიხეილ მჭედლიშვილი** (2635) | 1:0 |
| **კონსტანტინე შანავა** (2518)-ლეონიდ კრიცი (გერ. 2609) | 1:0 |
| დავით ბარამიძე (გერ. 2583)-**თორნიკე სანიკიძე** (2458) | 0,5:0,5 |
| დანიელ ფრიდმანი (გერ. 2640)-**მერაბ სულაშვილი** (2491) | 1:0 |
| **დავით ჯოჯუა** (2463)-ხრისტოს ბანიკასი (საბ. 2600) | 1:0 |
| **დავით ლობჟანიძე** (2394)-ანტონ შომოევი (რუს. 2559) | 0:1 |
| შარუნას სულსკისი (ლიტ. 2555)-**ივერი ჭიღლაძე** (2384) | 1:0 |
| ალექსანდრე მოისეენკო (უკრ. 2650)-**ბაჩანა მორჩიაშვილი** (2421) | 1:0 |
| ალექსანდრ ვან ბიიკი (ჰოლ. 2343)-**დავით მაღალაშვილი** (2462) | 0,5:0,5 |
| კირილ გალეევი (ბელ. 2311)-**გიორგი მარგველაშვილი** (2455) | 0:1 |

| მეხუთე ტური. ვაჟები |
|---|
| ემილ სუტოვსკი (ისრ. 2630) 4 - **ლევან ფანცულაია** (2617) 4 |
| ემანუილ ბერგი (შვედ. 2601) 3 - **კონსტანტინე შანავა** (2518) 3 |
| **თორნიკე სანიკიძე** (2458) 2,5 - ზდენკო კოჟული (ხორ. 2583) 2,5 |
| ვლადიმირ ბელოვი (რუს. 2571) 2,5 - **დავით ჯოჯუა** (2463) 2,5 |
| **მიხეილ მჭედლიშვილი** (2535) 2 - დეიან ბოიკოვი (ბულ. 2492) 2 |
| **გიორგი მარგველაშვილი** (2455) 2 - კამილ მიტონი (პოლ. 2620) 2 |
| სანგ ცაო (უნგ. 2535) 1,5 - **დავით ლობჟანიძე** (2394) 1,5 |
| **ივერი ჭიღლაძე** (2384) 1,5 - ალექსანდრ მისტა (პოლ. 2537) 1,5 |
| **მერაბ სულაშვილი** (2491) 1,5 - ვანკო სტეფენკოვი (მაკ.2350) 1,5 |
| **დავით მაღალაშვილი** (2462) 1,5 - დეიან დინევი (მაკ. 2298) 1,5 |
| **ბაჩანა მორჩიაშვილი** (2421) 1 - კირილ გალეევი (ბულ. 2311) 1 |

| ქალები |
|---|
| **ნანა ძაგნიძე** (2443) 3,5 - კატერინა ლაჰნო (უკრ. 2479) 3,5 |
| **მაია ლომინეიშვილი** (2400) 3 - ნატალია პოგონინა (რუს. 2470) 3 |
| ტატიანა ვასილევიჩი (უკრ. 2360) 3 - **ლელა ჯავახიშვილი** (2466) 3 |
| **სოფიო გვეტაძე** (2350) 3 - ელიზაბეტ პეჰტი (გერ. 2449) 3 |
| სვეტლანა მატვეევა (რუს. 2420) 3 - **სოფიკო ხუხაშვილი** (2371) 3 |
| **სალომე მელია** (2413) 2,5 - ლილიტ გალოიანი (სომ. 2324) 2,5 |
| ირინა ვასილევიჩი (რუს. 2395) 2,5 - **ნინო ბაციაშვილი** (2304) 2,5 |
| **მარიამ დანელია** (2129) 2 - ემილია ჯინგაროვა (ბულ. 2301) 2 |
| **ანა მათნაძე** (2191) 1,5 - ნარგიზ უმუდოვა (აზერ. 2222) 1,5 |
| ივა ვიდენოვა (ბულ. 2178) 1 - **ნაზი პაიკიძე** (2347) 1 |
| **სოფიო ნიკოლაძე** (2249) 1 - ცვეტა გალუნოვა (ბულ. 1816) 1 |
| **მერი ჟორჟოლიანი** (2133) 0,5 - მარზინა გაკალარზი (ლუქ. 2006) 0,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ლეგიონერები

# ჯორჯიელებმა ისევ წააგეს


ფაჩულია კევინ გარნეტის წინააღმდეგ

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში, პლეი ოფის მეორე მატჩი გამართა **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტამ". ჯორჯიელებმა სტუმრად "ბოსტონთან" მეორედაც წააგეს (77:96) და სერიაში 0:2 ჩამორჩნენ.

ატლანტელთა ქართველმა ცენტრფორვარდმა 18 წუთი დაჰყო მოედანზე. ამ ხნის განმავლობაში ზაზამ 4-დან 1 ორქულიანი და 1-დან 1 ჯარიმა ჩააგდო. 3 ქულის გარდა, მან ერთხელ მოხსნა ბურთი ფარიდან, ორჯერ შეცდა, ორჯერ დაჯარიმდა და ერთხელ დაუფარეს. ჩვეულად ვერ გამოიყურებოდა ზაზას ძირითადი კონკურენტი **ელ ჰორფორდი**, რომელმაც 36 წუთში 9 ქულა, 9 მოხსნა და 6 ფოლი მოაგროვა, ორჯერ კი დაუფარეს.

მერვედფინალური სერიის მომდევნო 2 მატჩს "ატლანტა" საკუთარ "ფილიპს არენაზე" გამართავს 26 და 28 აპრილს.

# ცინცაძემ 15 ქულით დაიწყო

ესტონეთის საკალათბურთო ჩემპიონატში პლეი ოფი დაიწყო. **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა" რეგულარული პირველობა მოიგო, რის წყალობითაც მეოთხედფინალში მერვეადგილოსან "კრაფტს" გადაეყარა.

მეოთხედფინალის პირველი მატჩი ტარტუში შედგა და როგორც მოსალოდნელი იყო, "როკერებმა" უპრობლემოდ დაჩაგრეს მეტოქე - 91:75. ქართველმა გამთამაშებელმა 29:30 წუთში 15 ქულა (6-დან 4 ორქულიანი, 6-დან 4 ჯარიმა, 2-დან 1 სამქულიანი) დააგროვა, რასაც 1 მოხსნა, 8 პასი, 3 ჩაჭრა და 4 ფოლი მიამატა.

ცინცაძე და მისი თანაგუნდელები მომდევნო მატჩს მეტოქის მოედანზე გამართავენ და მოგების შემთხვევაში, ნახევარფინალში გავლენ, სადაც "პირიტა" - "ველგას" შორის მოგებულს დაუპირისპირდებიან.


გიორგი ცინცაძე

# ბოისას მარუსი ერგო

საბერძნეთის ჩემპიონატში დამთავრდა რეგულარული სეზონი. დასკვნით 26-ე ტურში, **ვლადიმერ ბოისას** "არისმა" სტუმრად დაძაბულ მატჩში მოუგო პაოკ-ს (75:74) და 44 ქულით, მესამე ადგილზე ხვდება პლეი ოფს.

ქართველი კალათბურთელი 15 წუთში 5 ქულას (2-დან 1 სამქულიანი, 1-დან 1 ორქულიანი) დასჯერდა, რასაც 2 მოხსნა და 1 პასი მიაყოლა. პლეი ოფის მეოთხეფინალში "არისის" მეტოქეა მეექვსეადგილოსანი "მარუსი".

# მგლები პოლიტექნიკასთან

უკრაინის საკალათბურთო ჩემპიონატში მეოთხედფინალური სერია უპრობლემოდ გადალახა "კიევმა". დედაქალაქელებმა ტრავმირებული **მანუჩარ მარკოიშვილის** არყოფნაში, მეოთხედფინალური სერია 3:0 მოუგეს "დნეპრს". მესამე მატჩში კიეველებმა 92:70 გაანადგურეს დნეპროპეტროვსკელები და ნახევარფინალის საგზური გაინაღდეს.

ნახევარფინალში "მგლები" დაუპირისპირდებიან "პოლიტექნიკას". სერიის საწყისი 2 მატჩი 1 და 3 მაისს "დინამოს" მოედანზე შედგება. წესითა და რიგით, მარკოიშვილი "პოლიტექნიკასთან" სათამაშოდ მზად უნდა იყოს.

**კობა ხატისაშვილი**

ბატუტზე ხტომა. ევროპის ჩემპიონატი

# დანიაში კვარტეტით

**28 აპრილს, საქართველოს ბატუტზე მხტომელთა ნაკრები დანიის ქალაქ ოდენსესკენ აიღებს გეზს, სადაც 1-3 მაისს, ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. დანიაში გამგზავრების წინ, ნაკრების თავკაც ზაურ სულაშვილს გავესაუბრეთ.**

- ევროპის ჩემპიონატზე 4 სპორტსმენი მოგვყავს. ლუბა გოლოვინა და თენგიზ კოშკაძე უფროსებში გამოვლენ, იუნიორებში კი ნანა გოგაშვილი და გიორგი ფუტკარაძე იასპარეზებენ.

**- სად გაიარეთ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპი?**

- ძირითადად, თბილისში. თუმცა, ლუბა გოლოვინა სპეციალური პროგრამით ემზადება პეკინის ოლიმპიადისათვის და ამჟამად საბერძნეთში გადის შეკრებას. იგი ევროპის ჩემპიონატისთვის სწორედ საბერძნეთიდან შემოგვიერთდება.

**- რა მიზანს ისახავთ ოდენსეში?**

- წინასწარ პროგნოზის გაკეთება მიჭირს. ლუბა გოლოვინა გუნდის ლიდერად კი ითვლება, მაგრამ უფროსთა ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი ექნება და ვნახოთ, რამდენად იოლად დაძლევს ფსიქოლოგიურ ტვირთს. ჩვენთვის მთავარი მაინც ოლიმპიადაა, რომლისთვისაც ევროპის ჩემპიონატი ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპად განიხილება. თუმცაღა, რაღა თქმა უნდა, დანიაშიც მაქსიმალურად მაღალი შედეგებისთვის ვიბრძოლებთ.

**კობა ხატისაშვილი**

# ფარღალავა ჰავაიზე, ერქვანია ფლორიდაში


დავით ერქვანია



ლაშა ფარღალავა

ამერიკაში პროფესიულ ზრდას განაგრძობენ სსუ-ს ყოფილი წევრები, **ლაშა ფარღალავა** და **დავით ერქვანია.** მათ ფლორიდის შტატის პენსაკოლასთან ერთად სეზონი დასრულებული არ ჰქონდათ, რომ ახალი კლუბები მონახეს. ლაშა ჰავაის უნივერსიტეტში გადავიდა, ხოლო დათო ფლორიდაზე დარჩა და "გულფ აკადემიში" გააგრძელებს კარიერას. ფარღალავას გუნდი კოლეჯების უმაღლესი დივიზიონის (NCAA1) ბინადარია, ხოლო ერქვანიას "გალფთან" ერთად რიგით მეორე ეშელონში (NCAA2) იასპარეზებს.

### შეუპოვარი დამცველი

**ჰავაის დედაქალაქის, ჰონოლულუს გუნდის მეტსახელი "ცისარტყელაა". მის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნდა საინტერესო ინფორმაციები სატრანსფერო სიახლეებთან დაკავშირებით.**

"ჰავაის უნივერსიტეტის მთავარმა მწვრთნელმა **ბობ ნეშმა** საზოგადოებას ორი ახალწვეული წარუდგინა - ლაშა ფარღალავა და **პეტრას ბლოჩკა.** ისინი უნივერსიტეტის ღირსებას მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაიცავენ.

ისინი აქამდე გასულ სეზონში "პენსაკოლას იუნიორთა კოლეჯის" შემადგენლობაში თამაშობდნენ. ბლოჩკა ლიტველია, ვილნიუსიდანაა, ხოლო ფარღალავა ქართველი, თბილისიდან. ლაშა საშუალოდ 11.4 ქულას, 2.7 მოხსნასა და 2.6 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. მას თანაგუნდელებში ყველაზე მეტი სამქულიანი აქვს შესრულებული - 45.

*"მოხარულები ვართ, რომ ერთი გუნდიდან ორი მაღალი ხარისხის კალათბურთელი დავიმატეთ. ორივე მათგანი მზადაა კოლეჯების უმაღლესი ლიგისთვის და სასიამოვნოა, რომ მათ სწორედ ჩვენთან გადაწყვიტეს კარიერის გაგრძელება. "ჰავაის" აქამდეც სათანადოდ ეხმარებოდნენ არაამერიკელები და ვიმედოვნებთ, რომ ფარღალავა-ბალოჩკას დუეტიც წინსვლაში დიდ წვლილს შეიტანს,"* - განაცხადა "ცისარტყელების" მთავარმა მწვრთნელმა ბობ ნეშმა. იგი ცალკე საუბრობს ლაშა ფარღალავას შესახებ:

*"ლაშა პერიმეტრის მოთამაშეა. მას "პენსაკოლაში", სამქულიან ტყორცნებში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა და ამ მხრივ ჩვენც გამოგვადგება. ამასთან, იგი ძალიან სწრაფია და მოედნის ორივე მხარეზე შესანიშნავად ირჯება - დაცვაში თამაშისას მეტად საიმედოა, ხოლო შეტევაში ორქულიანებსაც ზუსტად ისვრის. ფარღალავა შეუპოვარი კალათბურთელია და მოედანზე ბოლომდე იხარჯება."*

გასულ სეზონში "ჰავაიმ" 30 მატჩიდან 11 მოიგო და დასავლეთ ატლეტიკის დივიზიონში მეშვიდე ადგილი დაიკავა.

### ინტელიგენტი

**დათო ერქვანიას გუნდს ფარღალავას კოლეჯზე უკეთესი მეტსახელი აქვს - "არწივები". ისევე, როგორც ლაშას, ახალი მწვრთნელი ერქვანიასაც დადებითად ახასიათებს. ჯერ გუნდის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას გავეცნოთ.**

*"ფლორიდის ყურის უნივერსიტეტში სამი ახალწვეულია - ლენდონ ადლერი, დერიკ ონილი და დავით ერქვანია. ეს უკანასკნელი 210 სმ. სიმაღლის მეფარეა და შეუძლია თამაში როგორც ცენტრის პოზიციაზე, ასევე მძიმე ფორვარდად. იგი გასულ სეზონში "პენსაკოლას" მაისურით საშუალოდ 3.6 ქულასა და 3.9 მოხსნას აგროვებდა, თამაშიდან ტყორცნების 48 პროცენტს აგდებდა. ერქვანიამ 21-დან 15 მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო".*

ახალწვეულის შესახებ საინტერესო მოსაზრება დააფიქსირა "არწივების" მთავარმა მწვრთნელმა **დეივ ბლეიზამ:**

*"ერქვანია სწორედ ისეთი კალათბურთელია, როგორიც გვჭირდებოდა. მას კარგად ეხერხება პასების განაწილება, საშუალო დისტანციიდანაც და ფარქვეშიდანაც ზუსტად ისვრის, მოკლედ ძალიან გაგვაძლიერებს. იგი ჩვენს გუნდს სიმაღლეში უპირატესობას მისცემს და გამოცდილებას შემატებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერქვანია იუნიორთა კოლეჯების ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში ასპარეზობდა. იგი ინტელიგენტი კალათბურთელია, რომელიც ოთხ ენაზე საუბრობს."*

მკითხველს შევახსენებთ, რომ კოლეჯების უმაღლეს ლიგაში წლეულს დიმიტრი ფაცაციაც თამაშობდა. იგი "არკანზასის" ღირსებას იცავდა, თუმცა მარტის ბოლოს გუნდის დატოვება მოუწია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ანტიკური ჭიდაობა

# სენაკი, აბაშა, სამტრედია

## ახალი ქალაქები ანტიკურ რუკაზე

გუშინ, პრესკონფერენცია გამართა ბულგარეთიდან დაბრუნებულმა ჭაბუკთა ნაკრებმა, რომელმაც ძალიან დიდი წარმატებით იჭიდავა სოფიაში ვასილ და გეორგ ილიევების მემორიალში - 5 ოქრო და 3 ბრინჯაო მოიპოვა. ჩემპიონები გახდნენ **გოგიტა გოგიბერაშვილი (46), გიორგი დავითაია (50), ქემალ ხარაბაძე (54), საჩინო დავითაია (58) და სერგო გოგისვანიძე (100).** მესამეზე ადგილზე გავიდნენ **როინ ძირკვაძე (42), უშანგი ჩიტიაშვილი (69) და რევაზ ნადარეიშვილი (85).**

ეს შედეგი სასიხარულო იმის გათვალისწინებით უფროა, რომ ფრიად წარმომადგენლობით ტურნირზეა მოპოვებული - 14 ნაკრები მონაწილეობდა და მათი უმეტესობა ამ სახეობაში წამყვან ქვეყნებს წარმოადგენდა. მათ შორის - მასპინძლებიც, რომლებიც ამჯერად სამოცამდე სპორტსმენით გამოდიოდნენ. ცხადია, შინაური კედლები მათ დამატებით ფაქტორს აძლევდა, თუმცა მედლების საერთო თუ კონკრეტულად - ოქროების რაოდენობით მნიშვნელოვნად ჩამოგვრჩნენ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათ მხოლოდ 2 ოქრო მოიპოვეს და რამდენიმე პრინციპული შეხვედრაც წააგეს ჩვენებთან. მათ შორის - ერთი ფინალიც. ოქროს გარეშე დარჩნენ თურქებიც, ასევე ერთ-ერთი უძლიერესი საჭიდაო სკოლის წარმომადგენლები, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ მათ ოთხი ფინალი იჭიდავეს და აქედან სამი სწორედ ჩვენებთან წააგეს - ხარაბაძესთან, საჩინო დავითაიასა და გოგისვანიძესთან. ნაკრების თავკაცი **ვაჟა კრავეიშვილი** ამხელა წარმატებას იმით ხსნის, რომ 27-28 მარტს გამართული ქვეყნის პირველობის შემდეგ ნაკრებს შეკრება ჩაუტარეს. ჩვენის მხრივ, დავამატებთ, რომ მედალოსანთაგან ბევრი წინა წლებშიც ძალზე კარგ შედეგებს ალწევდნენ და მათი სტაბილურობა მისასალმებელია.

პრესკონფერენციის მასპინძლებმა ისიც სიამოვნებით აღნიშნეს, რომ მედალოსანთა შორის რამდენიმე ახალი რეგიონიც გამოჩნდა. ხარაბაძე და ძირკვაძე ბათუმელები არიან, მაგრამ მათი წარმატება არავის უკვირს, ვინაიდან იქ ანტიკური ჭიდაობის ძლიერი სკოლაა. იგივე ითქმის მარტყოფელ ჩიტიაშვილზეც, მაგრამ სხვების წარმატება ორმაგად სასიამოვნოა. მაგალითად, დავითაიები სენაკიდან არიან, სადაც ბოლო წლებში ჭიდაობის ეს სახეობა შევსებას ვერ იღებდა. გოგიბერაშვილი სამტრედიელია, ნადარეიშვილი - აბაშელი, გოგისვანიძე კი - ქუთაისელი, სადაც ანტიკური ჭიდაობა ახლა იწყებს აღორძინებას.

ბულგარეთის ტურნირი ივნისის ბოლოს რიგაში გასამართი ევროპირველობისთვის მზადების შემადგენელი ნაწილია. უახლოეს ხანებში ნაკრები ჯერ თურქეთში იჭიდავებს - მერე რუსთავში **თემურ ყაზარაშვილის** სახელობის ტურნირში და რიგაში წამსვლელი გუნდიც ამის შემდეგ დაკომპლექტდება.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაჟბურთი

# გაცნობა მშობლიურ ქალაქთან

## ოლიმპიურ ფინალში: ბრაზილიელი ქართველები და ბრაზილიელები





რენატო გომესი, ჟორჟე ტერსეირო (მეტევაში)

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

**თბილისში, სასტუმრო "ოდას" პლაჟბურთის მოედანზე დაიწყო ტურნირი "თბილისის მერიის თასზე", რომელშიც მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ორი დღით ბრაზილიელი ქართველები რენატო გომესი (გეორ) და ჟორჟი ტერსეირო (გია) ჩამოვიდნენ.**

სასტუმრო "ოდას" ქვიშის მოედანი, ცხადია, შორსაა ევროპული თუ სხვა ქვეყნების ანალოგიებისგან, ამ სასტუმროს მეპატრონეს ცდა არ დაუკლია მისთვის საყვარელი სპორტის სახეობისთვის პატარა, კოხტა, მოედანი მოეწყო. გეორ-გიაც სწორედ ამ სასტუმროში დაბინავდა და შეჯიბრშიც ჩაერთო.

"თბილისის მერიის თასზე", რომლის საპრიზო ფონდიც 10 ათასი ამერიკული დოლარია, საასპარეზოდ 16 წყვილი ჩაერთო. ამათგან ერთი შერეული, ქართულ-ყაზახურია - **მალხაზ სილაგაძემ** და **იგორ ჩეკურსკოვმა** ნახევარფინალში გაალწიეს, სადაც მათი მეტოქე სწორედ **გეორ-გია** იქნება. მეორე ნახევარფინალურ წყვილში **სოსო ლობჟანიძისა** და **დავით ლიპარტელიანის** დუეტი **სულხან ახვლედიანისა** და **ვახტანგ ჩიქოვანის** ტანდემს დაუპირისპირდება. ნახევარფინალები და ფინალი "ოდას" პლაჟბურთის მოედანზე დღეს გაიმართება.

პირველი დღის შემდეგ გეორ-გია და საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ოლიმპიურ კომიტეტში გენერალურ მდივან **ემზარ ზენაიშვილს** შეხვდნენ. ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა იმედი გამოთქვა, რომ გეორ-გიას წარმატებული ასპარეზობა საერთაშორისო არენასაა და რაც მთავარია, პეკინში საქარველოში პლაჟბურთის პოპულარიზაციასა და შემდგომ განვითარებას გამოიწვევს.

**შეხვედრის დამთავრებისთანავე გეორ-გიას გავესაუბრეთ:**

**გია:** - ძალიან მომეწონა თბილისი. ლამაზი ქალაქია. ხალხიც უბრალო, უშუალო და გულთბილია. ჩემ ხასიათთან სრული შესაბამისობაა. განგებას ტყუილად არ მოუნდომებია ჩემი გაქართველება.

**გეორ:** - ყველაზე მეტად ისტორიულმა ძეგლებმა მომხიბლა. ქალაქში ძალიან ბევრი და რაც მთავარია, მშვენიერი მონუმენტებია.

**- რენატო, ჩვენთვის ცნობილია, რომ მორწმუნე ბრძანდებით, რომელიმე ეკლესიაში ხომ არ შესულხართ?**

**გეორ:** – დრო არ მქონდა, თორემ აუცილებლად შევიდოდი. როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, აუცილებლად მოვინახულებ თქვენს მთავარ ეკლესიას.

**გია:** - რენატო პროტესტანტია, მე - კათოლიკე.

**- მსოფლიო ტურის წლევანდელი გათამაშება უკვე დაიწყო, როგორ ფიქრობთ, რომელიმე ეტაპზე მაინც თუ შეძლებთ ოთხეულში მოხვედრას, მზად ხართ ამისთვის?**

**გია:** - ჩვენ სპეციალური გეგმით ვემზადებით, რომლის მიხედვითაც ფორმის პიკს პეკინის ოლიმპიადისთვის უნდა მივაღწიოთ. ამიტომ ძნელია წინასწარ რამის დაგეგმვა. ამ პროცესში გამორიცხული არაა, ჩავარდნებიც გვქონდეს. ეს სპორტია და ყველაფერი ხდება.

**- როგორ ფიქრობთ, პეკინის ოლიმპიადაზე რა შანსი აქვს თქვენს დუეტს?**

**გია:** - ჩვენი მიზანი ოქროს მედლისთვის ბრძოლა იქნება. რატომაც არა? ამერიკელი მსოფლიო ჩემპიონების როჯერსისა და დალჰაუზერის გარდა, თითქმის ყველა წამყვანი წყვილისთვის მოგვიგია. რიკარდოსა და ემანუელს სულაც ორჯერ მოვუგეთ "ბანკო დიბრაზილიაზე". ოლიმპიადაზე სიურპრიზები ხშირად ხდება.

**გეორ:** - მე ჩემს ღმერთს ყოველდღე ველაპარაკები. მეუბნება, რომ ოლიმპიური ჩემპიონები ჩვენ ვიქნებით. ფინალში რიკარდოსა და ემანუელს მოვუგებთ.

**- ანგარიშიც ხომ არ უთქვამს შემთხვევით?**

**გეორ:** - დიახ, როგორ არა. ორ სეტში მოვუგებთ. დაძაბული, ურთულესი ბრძოლა იქნება 23:21, 23:21 ჩვენ სასარგებლოდ.

**- მინდა ქალთა წყვილზე, საქართველოზეც გკითხოთ. როგორ ფორმაში არიან ისინი?**

**გია:** - საქა-რთველო კარგ გუნდად ჩამოყალიბდა. მეორე წელიწადია ერთად თამაშობენ. ჩვენთან ერთად რომ დაეწყოთ საერთაშორისო არენაზე საქართველოს სახელით გამოსვლა, ახლა ალბათ, ლიცენზიები გარატირებული ექნებოდათ. მჯერა, რომ ისინი პეკინის საგზურის მოპოვებას მაინც შეძლებენ. თუმცა ეს ძალიან რთული იქნება.

**გეორ:** - გარწმუნებთ, ჩვენ ყველანი ყოველ დღე იმ მიზნითა და ფიქრით ვშრომობთ, რომ საქართველოს ოლიმპიადაზე მედლები მოვუტანოთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ფრენბურთი. ჩერნოგორია-საქარველო, 8 მაისი

# ბაზალეთში ჩერნოგორიისთვის

**საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები 30 აპრილიდან ბინას ბაზალეთზე დაიდებს და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო მატჩისთვის მზადებას დაიწყებს. ჩვენი ფრენბურთელები ვარჯიშებს დუშეთში, ოლიმპიური მზადების ცენტრში გამართავენ.**

საქართველოს ქალთა გუნდის მეტოქე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩერნოგორიის ნაკრებია. პირველი შეხვედრა 8 მაისს, მეტოქის მოედანზე გაიმართება, საპასუხო კი 11 მაისს, თბილისში. ორი მატჩის ჯამში გამარჯვების შემთხვევაში, შესარჩევ ტურნირში ჯგუფში ჩვენი მეტოქეები იქნებან ისრაელის, თურქეთისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდები.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა **ნინო მღებრიშვილმა** და **ფელიქს სუქიასოვმა** თოთხმეტ კანდიდატს უხმეს, რომელთაგან თორმეტი ჩერნოგორიაში გაემგზავრება. გუნდს დააკლდება სერბეთში მოასპარეზე ლეგიონერი **მარია ცარენკო**, რომელმაც ახლახან ოპერაცია გაიკეთა.

საქართველოს ნაკრები: **ირინა შენგელია, მარიამ ყიფშიძე, ნელი აირაპეტიანი, თამთა დანელია, ირინა კახაძე** (ყველა ჯიკო), **თინათინ ჭაუჭიძე, დალი ალიბეგაშვლი, იანა ზოდიმეჩენკო, ელეონორა კაზარიანი, ნათია ბანძელაძე, ნინო სტურუა, თამარ კოროშინაძე, სოფო ლომიძე, ქრისტინა გვილავა** (ყველა თბილისი).

**ბესიკ ჯანგავაძე**



საქართველოს ჩემპიონატის ფინალი. ჯიკო-თბილისი. ნაკრები მთლიანად ამ ორი გუნდიდან დაკომპლექტდა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჩოგბურთი

# ყველა გავარდა

19 წლის **სოფიო შაფათავა** (356) გამოეთიშა უზბეკეთის ქალაქ ნამანგანის საერთაშორისო ტურნირს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. სოფიო მეოთხედფინალში მე-5 ნომრად განთესილ ჰოლანდიელ **ჩაიენე ევიკს** (370) ხვდებოდა. მე-4 ნომრად განთესილი ქართველი ორ სეტში დამარცხდა – 2:6, 5:7.

16 წლის **ეკა გორგოძემ** დაასრულა ასპარეზობა ბოლე სურ მერის (საფრანგეთი) საერთაშორისო ტურნირში, რომელიც პირველი კატეგორიის შეჯიბრებაა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის. ეკამ, ვინც მსოფლიოს 171-ე ჩოგანია ახალგაზრდებში, უშანსოდ წააგო მე-5 ნომრად განთესილ 17 წლის რუს, **მარტა სიროტკინასთან** (43) – 0:6, 2:6. მეორე წრეში მარცხის მიუხედავად ჩვენი თანამემამულე მაინც წინ წავა რეიტინგში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ტანვარჯიში. სანქცია

# დერიუგინა დასაჯეს



ირინა დერიუგინა

მხატვრული ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (FIG) გადაწყვეტილებით, უკრაინის ტანმოვარჯიშეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს და იმავდროულად, უკრაინის ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, წარსულში სახელოვან ტანმოვარჯიშე **ირინა დერიუგინას** რვაწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა.

სასჯელის შესაბამისად, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე, როგორებიცაა ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, მსოფლიო თასის ეტაპები და სხვა საერთაშორისო ტურნირები, დერიუგინას უკრაინის და სხვა გუნდების დელეგაციების რიგებში ყოფნა ეკრძალება.

ფედერაციის სადისციპლინო კომისიის ცნობით, ესოდენ მკაცრი სასჯელი დერიუგინას მიერ ფედერაციის დისციპლინარული კოდექსის რამდენიმე მუხლის დარღვევამ გამოიწვია. დარღვევათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირების დროს, მსაჯებზე აკრძალული ზემოქმედებაა. სხვა დარღვევათა შორის მოხსენიებულია არასპორტული საქციელი (მათ შორის, ფედერაციისა და ტურნირების ოფიციალურ პირებთან თუ სპორტსმენებთან ურთიერთობისას). დერიუგინა ხშირად რასობრივი, სექსუალური, რელიგიური და ეთნიკური ნიშნით შეურაცხყოფას აყენებდა თავის კოლეგებსა და სპორტსმენებს.

*"ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ განიხილა დერიუგინას საკითხი და კენჭისყრის შედეგების საფუძველზე გადაწყვიტა, რომ მას 2016 წლამდე აეკრძალოს ტურნირებზე ოფიციალურ დელეგაციებში მუშაობა"*, - ნათქვამია ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

თავის დროზე, საბჭოთა კავშირის სახელით ასპარეზობისას, დერიუგინა ოთხჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და სამჯერ - ვერცხლის პრიზიორი. ტანვარჯიშის სკოლამ, რომელსაც დერიუგინა ხელმძღვანელობს, არაერთი სახელოვანი ტანმოვარჯიშე მოამზადა, რომელთა შორისაა ატლანტის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი **ეკატერინა სერებრიანსკაია**. უკრაინელი სპეციალისტების თქმით, დერიუგინას დისკვალიფიკაცია პეკინში მნიშვნელოვნად გაურთულებს საქმეს ოლიმპიადის მთავარ ფავორიტს, მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონ **ანა ბესონოვას**.

ალსანიშნავია, რომ დერიუგინასთვის ეს პირველი დისკვალიფიკაცია არაა. 2000 წელს, ესპანეთის ქალაქ სარაგოსაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური კომისიის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ, მსაჯების უმრავლესობის მიკერძოებული მუშაობა გამოავლინა. შედეგად, 32 მსაჯი გაფრთხილებულ იქნა, მათ შორის ყველაზე "გამორჩეულები" კი, მათ შორის დერიუგინაც, ერთი წლით "დაასვენეს". სხვათა შორის, გამოძიებამ მაშინ დაადგინა, რომ უკრაინელი სპეციალისტი თავისი ქვეყნის ტანმოვარჯიშეს, **ელენა ვიტრიჩენკოს** აკლებდა ქულებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# შვილი მამის წინააღმდეგ



პისტონზში ჰემილტონი ყველა ჯობდა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** გუშინდელი სათამაშო დღის მთავარი გმირი გახდა. "დენვერ ნაგეტსთან" სერიის მეორე მატჩში მან მეტოქეს 49 ქულა ჩაუგდო და ამას გარდა, 10 შედეგიანი პასიც გააკეთა. "ლეიკერსმა" 15 ქულით მოიგო და სერიაში 2:0 დაწინაურდა.

მატჩის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა ბრაიანტმა ბოლო მეოთხედის 7-წუთიან მონაკვეთში 19 ქულა დააგროვა. ამის შემდეგ, კობიმ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, ხოლო მატჩს "ლეიკერსის" სათადარიგო მოთამაშეები ასრულებდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო **კობი კარლი**, "დენვერის" მთავარი მწვრთნელის, **ჯორჯ კარლის** ვაჟი. ეს პირველი შემთხვევაა NBA-ის პლეიოფის ისტორიაში, როცა შვილი მამის წინაალმდეგ თამაშობდა.

რეგულარულის საუკეთესო გუნდმა, "ბოსტონ სელტიქსმა" "ატლანტასთან" სერიის მეორე მატჩიც უპრობლემოდ მოიგო. გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო **კევინ გარნეტი** გახდა - 19 ქულითა და 10 მოხსნით მან მორიგი ორმაგი დუბლი მიითვალა. "ბოსტონის" კიდევ ერთმა ლიდერმა, **პოლ პირსმა** პირველ მეოთხედში ზურგის ტრავმა მიიღო, მაგრამ მაინც შეძლო თამაშის გაგრძელება.

"ფილადელფიასთან" საკუთარ მოედანზე მოულოდნელი მარცხის შემდეგ, სერიაში ანგარიში გაათანაბრა "დეტროიტ პისტონზმა". რევანში საკმაოდ დამაჯერებელი გამოვიდა - 105:88. "პისტონზის" სასტარტო ხუთეულის ოთხმა წევრმა (**რიჩარდ ჰემილტონი, რაშიდ უოლასი, ტაიშონ პრინსი, ანტონიო მაკდაესი**) 15-ქულიან ზღვარს გადააბიჯა და მხოლოდ **ჩონსი ბილაპსმა** ვერ აუბა მათ მხარი. მასპინძელთა ძირითადი გამთამაშებელი 9 ქულით შემოიფარგლა.

1/8 ფინალის რვავე წყვილში ორ-ორი მატჩი გაიმართა და ეს არის ერთადერთი სერია, სადაც ანგარიში თანაბარი გახლავთ. ახლა გუნდები ორ მატჩს ფილადელფიაში გამართავენ.

**გია თვალაბეიშვილი**

**აღმოსავლეთი**

**დეტროიტი-ფილადელფია 105:88**

25:18, 28:18, 31:26, 21:26

დ: ჰემილტონი (20+7 მოხსნა+7 პასი), მაკდაესი (16+12 მოხსნა), რ. უოლასი (16+7 მოხსნა), პრინსი (16), სტაკი (12).

ფ: ლ. უილიამსი (17), ა. მილერი (14), ევანსი (13+11 მოხსნა), იანგი (11), კარნი (11).

**სერია: 1:1**

**ბოსტონი-ატლანტა 96:77**

24:20, 28:22, 24:14, 20:21

ბ: გარნეტი (19+10 მოხსნა), რ. ალენი (15), პირსი (14), რონდო (12+8 პასი), კასელი (10).

ა: ჯოშ სმიტი (13+8 მოხსნა+4 დაფარება), მ. უილიამსი (13), ბიბი (12), ჯ. ჯონსონი (11), ჰორფორდი (9+9 მოხსნა).

**სერია: 2:0**

**დასავლეთი**

**ლეიკერსი-დენვერი 122:107**

33:32, 26:17, 30:30, 33:28

ლ: ბრაიანტი (49+10 პასი), გასოლი (18+10 მოხსნა), უოლტონი (18+7 მოხსნა).

დ: აივერსონი (31), ენტონი (23), სმიტი (19), მარტინი (10), კლუიზა (10), კემბი (6+17 მოხსნა)

**სერია: 2:0**

### ველოსპორტი. პრო ტური

# კირხენი წელს სულ სხვაა

ფინიშის არეში ძლიერი წვიმის მიუხედავად, მაინც მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა პრესტიჟული ერთდღიანი კლასიკური რბოლის, ფლეშ ვალონის დასკვნითი, აღმართიანი მონაკვეთი. ლუქსემბურგელმა **კიმ კირხენმა** ყველაზე კარგად გათვალა თავისი შესაძლებლობები და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მან უკან მოიტოვა სამთო რბოლების ისეთი აღიარებული ლიდერები, როგორებიც არიან ტურ დე ფრანსის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი, ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი** და ჯირო დ'იტალიის ყოფილი ჩემპიონი, იტალიელი **დამიანო კუნეგო**.

ბოლო 500 მეტრამდე ლიდერი გერმანელი **ფაბიან ვეგმანი** იყო, რომელმაც პელოტონი ფინიშამდე 12 კილომეტრით ადრე ჩამოიტოვა. მაგრამ თავისი ძალები კარგად ვერ გათვალა. მდევართა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში რბოლის შარშანდელი გამარჯვებული, იტალიელი **დავიდე რებელინი** ედგა, ის მაშინ დაიჭირა, როცა აღმართი მეტისმეტად დამძიმდა. მალე რებელინს ევანსმა და კუნეგომ გაასწრეს. ბოლო ას მეტრამდე, ამათ ჩრდილში კირხენი იმყოფებოდა, მაგრამ მერე ისე აჩქარდა, თითქოს ორასი კილომეტრი გავლილი არ ჰქონოდა. ასე იყო თუ ისე, მან იოლად ჩამოიტოვა ევანსიც და კუნეგოც და კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვება იზეიმა.

*"ახლაც ზუსტად იმავე ტაქტიკით ვირბოლე, როგორითაც სამი წლის წინათ. მაშინ მეორე ადგილს დავჯერდი, ამჯერად კი უფრო გამძლე გამოვდექი. ბოლო აღმართზე რებელინს გავყევი, რადგან ის გამოცდილია და ვიცი, რომ ყოველთვის კარგად ითვლის თავის შესაძლებლობებს. ჩემი საზრუნავი ის იყო, რომ გადამწყვეტი შეტევის დაწყება არ დამეგვიანებინა. როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი კარგად გამითვლია"*, - ნარბოლევს განაცხადა 29 წლის კირხენმა, ვინც გასულ სეზონში არაერთი რბოლა მოწინავე სამეულში დაასრულა, თუმცა ერთიც არ მოუგია. ეს სეზონი კი მისთვის გაცილებით წარმატებულია – ორი კვირის წინათ, ბასკეთის ქვეყნის ტურზე, სადაც მის გარდა, ფრანგული ტურის შარშანდელი ჩემპიონი, ესპანელი **ალბერტო კონტადორიც** (ბასკური ტური მან მოიგო) ასპარეზობდა, ორი ეტაპის მოგება მოახერხა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

72-ე ფლეშ ვალონი (199.5 კმ)

**1. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ჰაი როუდ) 4:35.29 (43.45 კმ/სთ); 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 0.01; 3. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) 0.02; 4. რობერტ ხესინკი (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.02; 5. თომას დეკერი ჰოლანდია, რაბობანკი) 0.02; 6. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 0.02; 7. მიხაელ ალბაზინი (შვეიცარია, ლიკიგაზი) 0.08; 8. ხოაკიმ როდრიგესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.10; 9. კრისტიან პფანბერგერი (ავსტრია, ბარლოუორლდ) 0.15; 10. ჯონ გადრე (საფრანგეთი, AG2r-ლა მონდიალი) 0.20...**



კირხენმა კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა

### ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ფედერერი ფორმაში შედის



ფედერერი ძველებურად ათამაშდა

მონტე კარლოში მიმდინარე მასტერსის ტურნირის მეოთხედფინალში მისი ყველა ფავორიტი გავიდა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მსოფლიოს პირველი ჩოგნის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** ჩვეულ ფორმაში დაბრუნება. მან ორ სეტში დაამარცხა ფრანგი **გაელ მონფილსი**. არადა, წინა ეტაპზე მას ძალიან გაუჭირდა ესპანელი **რუბენ რამირეს იდალგოს** დამარცხება.

ფედერერის მომდევნო მეტოქეა არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი**, რომელმაც მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო ესპანელ **ტომი რობრედოს**. შვეიცარიელს, ვინც ამ სეზონში პირველი ტიტული რამდენიმე დღის წინათ, პორტუგალიის ეშტორილში მოიპოვა, შანსი აქვს, ზედიზედ მესამედ ითამაშოს მონტე კარლოს მასტერსის ფინალში, სადაც წინა ორ გათამაშებაზე მსოფლიოს მეორე ჩოგანს, ესპანელ **რაფაელ ნადალს** შეხვდა. ამ უკანასკნელმა იოლად დაამარცხა თანამემამულე **ხუან კარლოს ფერერო**.

შეხვედრის დასაწყისში, ფედერერმა და მონფილსმა ბრეიკები გაცვალეს. მაგრამ შემდეგ შვეიცარიელმა კიდევ ერთხელ, მერვე გეიმში შეძლო მეტოქის მოწოდების აღება და ეს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.

მეორე სეტში მსოფლიოს პირველ ჩოგანს პრობლემები პრაქტიკულად აღარ შექმნია. მან მესამე გეიმში კიდევ ერთი ბრეიკი აიღო და მართალია, მომდევნო გეიმებში მონფილსმა სამი ბრეიკ პოინტი გაუქვითა, მეათე გეიმში, თავის მოწოდებაზე, შეხვედრას წერტილი მაინც დაუსვა.

ნადალის მომდევნო მეტოქე კიდევ ერთი ესპანელი, ტურნირზე მეხუთე ნომრად მოთამაშე **დავიდ ფერერია**, ვისაც სერბი **იანკო ტიპსარევიჩის** დასამარცხებლად, საათზე ოდნავ მეტი დასჭირდა.

ნადალი და ფერერო მეგობრები არიან, მათ ერთად, საფრანგეთის ღიას ოთხი და მონტე კარლოს მასტერსის ხუთი ტიტული აქვთ მოპოვებული და ბუნებრივია, მათმა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებით საინტერესო, მატჩის დასაწყისი გამოდგა. ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა (ნადალმა) თავიდანვე ბრეიკი მოიპოვა და მალე 4:1 დაწინაურდა, მაგრამ მეტოქე არ გატყდა და ზედიზედ სამი გეიმის მოგებით, ანგარიში გაათანაბრა.

აღსანიშნავია, რომ ფერერომ, ვინც ხაზიდან თამაშის სპეციალისტად ითვლება, ნადალთან შეხვედრაში 13 ქულა ბადესთან გასვლით მოიპოვა, რაც თიხნარზე თამაშისას, ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. თუმცა აქტიურობამ ნადალი მაინც ვერ დაამარცხებინა. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მეოთხე ბრეიკ პოინტი ქულად აქცია და პირველი სეტი 54 წუთის შემდეგ, თავის სასარგებლოდ დაასრულა.

სხვათა შორის, ბოლო ქულის გათამაშება მეტისმეტად გაჭიანურდა. მის ბოლოს, ფერეროს, სხვა გზა რომ არ ჰქონდა, ბურთი შემობრუნებულმა, ფეხებს შორიდან დაარტყა, მაგრამ ბადეს ვერ გადააცილა.

დაძაბულად დაიწყო მეორე სეტიც, რომელშიც მეორე გეიმი 15 წუთი გაიწელა. ნადალმა ის მეხუთე ბრეიკ პოინტით მოიგო, რომელიც მოწოდების დაბრუნებით მოიპოვა. მართალია, მომდევნო გეიმში ფერერომ, ვისაც მონტე კარლოს მასტერსი ორჯერ (2002 და 2003 წლებში) აქვს მოგებული, საპასუხო ბრეიკის აღება შეძლო, მაგრამ აქედან მოყოლებული, მეტოქემ ერთი გეიმის მოგების საშუალებაც აღარ მისცა. მართალია, მეორე სეტი სულ შვიდი გეიმით შემოიფარგლა, მაგრამ გაჭიანურებული მეორე გეიმის წყალობით, მის მოსაგებად ნადალს 52 წუთი დასჭირდა.

*"ვფიქრობ, შესანიშნავი მატჩი იყო. ხუან კარლოსის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის ძნელია. შეხვედრის შედეგითაც კმაყოფილი ვარ. სხვანაირად როგორ უნდა იყოს, როცა მას ასეთი ანგარიშით მოვუგე? და მაინც, ანგარიში ამჯერად მართლა არაფრის მთქმელია"*, - განაცხადა ნადალმა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**მონტე კარლოს მასტერსი**

მონტე კარლო (მონაკო). თიხნარი

**საპრიზო ფონდი: 2 270 000 ევრო**

**მესამე წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-გაელ მონფილსი (საფრ) 6:3, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 13) 6:4, 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-ენდი მარეი (ბრიტ, 14) 6:0, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 16) 3:6, 7:5, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერბ) 6:4, 6:0; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 6)**-ტომი რობრედო (ესპ, 12) 6:1, 6:0; **ჯეიმს ბლეიკი? **

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. კარტინგი

# შუმი III



მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის, **მიხაელ შუმახერის** ვაჟმა სარბოლო კარიერა დაიწყო. გერმანულმა პრესამ **მიკ შუმახერს** უკვე სახელიც მოუძებნა - **შუმი III**.

ცხრა წლის მიკი თავისი მამისა და ბიძის (**რალფ შუმახერი** - შუმი II) გზას დაადგა და ესპანეთში, კარტინგის კლასში მისთვის სადებიუტო რბოლაში მიიღო მონაწილეობა.

ესპანური პრესის განცხადებით, შუმი III-ის დებიუტისთვის ესპანეთი თავად შუმახერების ოჯახმა შეარჩია. გერმანია შეგნებულად იქნა უარყოფილი, რათა ბავშვისთვის თავიდან აეცილებინათ იქაური პრესის მხრიდან ზეწოლა. ესპანეთშიც, მიკი სარბოლო განაცხადში **ბეტშის** გვარით იყო შეყვანილი. ეს არის მიხაელ შუმახერის მეუღლის, **კორინას** ქალიშვილობის გვარი.

უფროსი შუმი შვილის დებიუტს არ დასწრებია. ისიც პრესის მხრიდან ზედმეტ ხმაურს მოერიდა. მიკ შუმახერს ესპანეთში ბაბუა **როლფი** ახლდა. პირველ რბოლაში შუმი III მეცხრე ადგილზე გავიდა, მეორეში - მერვე მივიდა ფინიშთან.

■ ■ ■

ამასობაში, მიკის მამა ჰოლივუდს უშინაურდება. ამერიკელებმა მიხაელი ფილმში მიიწვიეს, სადაც მან საკუთარი თავი უნდა განასახიეროს. თითქმის ყველაფერი მოგვარებულია გარდა ერთისა - შუმის ფილმის შემქმნელებისთვის თანხმობა ჯერ არ უთქვამს.

შუმახერის მენეჯერმა **ვილი ვებერმა** განაცხადა, რომ ფილმი ლეგენდარული მრბოლელის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. თუ როგორ გახდა უბრალო კალატოზის შვილი ყველა დროის საუკეთესო პილოტი და ზღაპრულად მდიდარი ადამიანი.

შეგახსენებთ, რომ მიხაელ შუმახერს კინოში მუშაობის გამოცდილება გააჩნია. შარშან მან შუმიქსის როლი შეასრულა ფილმში "ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე".

**გია თვალაბეიშვილი**

ფორმულა 1

# ქალი ფორმულაში?

## ბრიატორე დანიკა პატრიკის გადაბირებაზე ფიქრობს



ამერიკელი ავტომრბოლი ქალის, **დანიკა პატრიკის** გმირობის შესახებ უკვე გიამბეთ. იაპონურ მოტეგიზე ინდიქარის სარბოლო სერიაში ეტაპის მოგებამ ფორმულა 1-ის სამყაროს წარმომადგენლებიც აალაპარაკა.

დანიკა Andretti-Green Racing-ში გამოდის, რომელსაც ფორმულა 1-თან ძველი და მყარი კავშირები აქვს.

ამ გუნდის თანამფლობელი, **მაიკლ ანდრეტი** 1993 წელს, "მაკლარენის" რიგებში ირიცხებოდა, ხოლო მისი მამა - **მარიო** 1978 წელს, "ლოტუსის" შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

სხვათა შორის, ამ დღეებში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ Andretti-Green Racing-მა მომავალი სეზონისთვის, თავის რიგებში ბრაზილიელი **რუბენს ბარიკელო** მიიწვია. თუ დანიკა პატრიკს მართლაც ასეთი კარგი მონაცემები აქვს, იქნებ 2009 წელს, ვეტერანმა რუბენსმა ჯენტლმენურად დაუთმოს თავისი "ჰონდას" სავარძელი ქალბატონს.

ეს მხოლოდ ვარაუდებია, უფრო რეალურ ინფორმაციას კი, გერმანული გაზეთი Sport Bild აქვეყნებს. მისი მიხედვით, "რენოს" შეფი **ფლავიო ბრიატორე** სერიოზულად ფიქრობს დანიკა პატრიკთან კონტრაქტის გაფორმებას, რაც ნიჭიერ ამერიკელს საშუალებას მისცემს, უფრო ახლოს გაეცნოს ფორმულა 1-ის სამყაროს.

ფორმულას ყოფილი პილოტი, დღეს კი "ფოლკსვაგენის" სპორტული განყოფილების ხელმძღვანელი, **ჰანს იოახიმ შტუკი** დარწმუნებულია, რომ ამერიკელი "სამეფო რბოლებისთვის" ფასდაუდებელი შენაძენი იქნება.

*"ბევრი ტვინი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ დანიკას წყალობით, ფორმულა 1 ამერიკის დაპყრობას შეძლებს. თანაც, პატრიკს არ გაუჭირდება ახალ სერიაზე მორგება"*, - ამბობს შტუკი. თუმცა ამ უკანასკნელის ვარაუდით, პატრიკს ერთი სეზონის გავლა მოუწევს GP2-ის სერიაში, რის შემდეგაც მას შეეძლება ფორმულა 1-ში დებიუტი.

**გია თვალაბეიშვილი**

# TV სპორტი

## 25 აპრილი. პარასკევი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** უიქენდის მატჩების ანონსი.
**12:25** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**15:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:10** 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
**16:55** სასტვენი
**17:25** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**19:10** სწორი ხაზი.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**21:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:25** გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-დორტმუნდი (LIVE).
**00:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:40** საფეხბურთო კლუბი.
**01:30** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

### SPORT 1 (უკრაინა)

**07:27** სპორტდოსიე. ხელბურთი.
**07:55** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. მიმოხილვა.
**08:45** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**08:58** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. სან პაულუ-ატლეტიკო ნასიონალი.
**10:44** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. რეინჯერსი-ფიორენტინა.
**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. მონტე კარლო (LIVE).
**20:30** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**20:42** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. დეტროიტი-კოლორადო.
**22:35** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**22:48** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
**23:16** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**23:45** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**23:58** პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
**01:00** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**01:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-პალერმო.
**03:00** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. პიტსბურგი-რეინჯერსი (LIVE).
**05:40** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. რეინჯერსი-ფიორენტინა.

### EUROSPORT

**10:30** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**11:00** რალი-რეიდი. V ეტაპი.
**11:15** ავტოსპორტი. ფორმულა 1. ქარხნული გუნდები. ტელეჟურნალი.
**11:45** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იორდანია.
**12:15** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VI დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.
**13:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**16:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები.
**17:30** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:30** ფუტსალი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**22:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**01:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იორდანია.
**01:30** ექსტრემალური სპორტი.
**02:00** რალი-რეიდი. VI ეტაპი.
**02:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები.

### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**13:00** ექსტრემალური სპორტი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**17:00** არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. კოლამბუსი-ფილადელფია.
**18:30** ფუტსალი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. ეკატერინბურგი (რუსეთი)-ქაირათი (ყაზახეთი). მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ავტოსპორტი. ფორმულა 1. ქარხნული გუნდები. ტელეჟურნალი.
**21:00** ფრისტაილი.
**21:30** ახალი ამბები.
**21:55** სერფინგი. ნორვეგია.
**22:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XIX ტური (LIVE).
**00:15** ფუტსალი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. დინამო (რუსეთი)-მურსია (ესპანეთი). მოსკოვი. რუსეთი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ფუტსალი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. ეკატერინბურგი (რუსეთი)-ქაირათი (ყაზახეთი). მოსკოვი. რუსეთი.
**02:15** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| გრეისი-რაშდენი | 3:0 |

### დანია

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-აგფ ორჰუსი | 1:1 |
| ნორდსილანდი-ესბერგი | 3:2 |
| ოლბორგი-რანდერსი | 3:0 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| გაის-გეფლე | 2:0 |
| მალმიო-ნორჩოპინგი | 2:1 |
| ერებრუ-ჰალმსტადი | 0:1 |
| სუნდსვალი-ტრელებორგი | 2:2 |
| აიკ-იურგორდენი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-იორგრიტე | 1:0 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| იანგ ბოიზი-ლუცერნი | 0:1 |

## ჩოგბურთი

### ATP. მონტე კარლო

| | |
|---|---|
| ანდრეევი-ალმაგრო | 7:5, 4:6, 6:4 |
| ფერერი-ტიპსარევიჩი | 6:4, 6:0 |
| ნადალი-ფერერო | 6:4, 6:1 |
| დავიდენკო-კოლშრაიბერი | 3:6, 7:5, 6:2 |
| ფედერერი-მონფილსი | 6:3, 6:4 |
| ნალბანდიანი-რობრედო | 6:1, 6:0 |
| ჯოკოვიჩი-მარეი | 6:0, 6:4 |
| გასკე-კუერი | 6:2, 4:6, 3:6 |

# ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები

### ბაიერნი-ზენიტი 1:1

**ბაიერნი:** კანი (67. რენსინგი), ლამი (80. კროოსი), ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, შვაინშტაიგერი (66. ლელი), ვან ბომელი, ზე რობერტო, რიბერი, კლოზე, პოდოლსკი.

**ზენიტი:** მალაფეევი, რიქსენი, შიროკოვი, კრიჟანაცი, შირლი, ტიმოშჩუკი, დენისოვი, ზირიანოვი, ფაიზულინი, პოგრებნიაკი, არშავინი.

**გოლები:** 1:0 რიბერი (18), 1:1 ლუსიო (66-საკ. კარში)

*მე-18 წუთზე რიბერიმ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 24(11)-12(3); **კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 13-19; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 66 000

### რეინჯერსი-ფიორენტინა 0:0

**რეინჯერსი:** ალექსანდერი, ბროუდფუტი, უეირი, კუელარი, პაპაცი, სენტ დევისტ, უაიტეკერი, ჰემდანი, დეილი, ნაჩო ნოვო (59. ბუფელი), დარშევილი (60. კუზენი).

**ფიორენტინა:** ფრაი, იორგენსენი, გამბერინი, იუფალუში, გობი, ლივერანი, კუჟმანოვიჩი, მონტოლივო, სანტანა, პაცინი (81. ვიერი), მუტუ.

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 5(0)-8(3); **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 20-19; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 49 199



ბაიერნი-ზენიტი. ზე რობერტო დაზირიანოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიერისა და მელისას სიყვარულის ისტორია



მელისა სატა

## მილანი, 15 აპრილი, 2008 წელი

"ეს სახლი საშინელება იყო, რალაც სკანდალური. წარმოიდგინეთ, ცარიელი მაცივარი, ფანჯრები, რომელიც არ იღება, ყველგან მტვერი, არაფერი არ მუშაობდა, არც ტელევიზორი. მოკლედ, ერთი უბედური კაცის სახლი. მე "ბობოს" შევხედე და ვუთხარი: "მომისმინე, ლამაზო. მაშ, შენი აზრით, აქ საცხოვრებლად უნდა მოსულიყავი? აქ შენთვის ორი ცარიელი სართული გექნება, მაგას ჩემი პატარა ბინა მირჩევნია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იქ ყველაფერი მწყობრშია და რაც მთავარია, სისუფთავეა".

სიმართლე გითხრათ, მართლაც არ მინდოდა იქ ცხოვრება. მან შემდეგ მიყიდა კბილის ჯაგრისი, ხალათები, ჩუსტები, მოიწყო თავისი ადგილი კარადაში...

ამას ჰყვებოდა 22 წლის **მელისა სატა**, იტალიური ტელეშოუ "ლა ველინას" (ტუალეტის ქალალდი) მონაწილე, ჟურნალ Vanity Fair-თან ინტერვიუში.

დასაწყისი. წელიწადზე მეტია, რაც ის **კრისტიან (ბობო) ვიერისთან** ერთად მილანში ცხოვრობს. "ვფიქრობდი, რომ განშორება დიდი ტრაგედია იქნებოდა, - ამბობს მელისა, - მაგრამ "ბობო" მართალს ამბობდა: ეს იყო დასაფასებელი გზა, რომელიც ჩვენ ერთად გავიარეთ".

"კარგად მახსოვს, - ეს უკვე ვიერის სიტყვებია, - პირველად ჩვენ სარდინიაზე შევხვდით ერთმანეთს. მელისა 18 წლის იყო, ასეთი ლამაზი გოგონა ჯერ არ მენახა. მაგრამ დანიშნული იყო. მე მას ვუთხარი: გავა სამი წელიწადი და ნახავ, ჩვენ ერთად ვიქნებით-მეთქი. მას სიცილი აუვარდა. ისევე მელისა:

"თურმე, მართალი ყოფილა. ჩვეულებრივი მოლაყბე. "ბობომ" ვერაფრით მომხიბლა. წარმოგიდგენიათ? მიუხედავად ამისა, მაინც მის ხელში ალმოვჩნდი. მე ცუდი გოგო ვარ, მიყვარს მამაკაცების გამოწვევა და მერე მათი გულის გატეხვა. 2006 წლის ივნისში გავემგზავრეთ Turks & Caicos -ისკენ. პაპარაცები აეროპორტში გველოდებოდნენ. სასწაულად წვიმდა და მთელი ერთი კვირა სახლში გამოკეტილები ვიყავით. საქმე რომ არაფერი გვქონდა, დღეებს DVD-ის ყურებაში ვატარებდით.

## ნამდვილი სიყვარული

"არ ვარ დიდი ფილოსოფოსი. არ მიყვარს წინასწარ რაიმეს დაგეგმვა. არასოდეს მიფიქრია ბევრი. ჩემი ცხოვრება არის ჩემი საფეხბურთო გუნდი და როცა დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ ერთ დღესაც, მუხლის გამო, ფეხბურთი, შეიძლება, ველარ მეთამაშა, მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება დამთავრდებოდა. შემეშინდა... დეპრესიაში ჩავვარდი, ეს ყველაფერი აუტანელი გახდა. მელისა სულ ჩემს გვერდით იყო. მაშინ მივხვდი, რომ ჩვენი ურთიერთობა არ ყოფილა მოკლევადიანი სასიყვარულო ისტორია. მელისა არაჩვეულებრივი პარტნიორია, ტკბილი, გულახდილი, წარმოსადეგი ქალი, ერთადერთი ქალი, რომელმაც შვება მომგვარა", დასძენს 34 წლის ვიერი.

## გაუმჯობესება

მელისა საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. "მე კრისტიანს ვიმსახურებ. მისთვის ორი მძიმე წელიწადი გადავლახე. ახლა ვგრძნობ, რომ ერთად შეგვიძლია ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა. მე მხოლოდ ვცდილობდი, გამეგო კაცის მწუხარება, რომელიც ყოველთვის ჩემპიონი იყო. ეს ჩემთვის ცხოვრების უდიდესი მოვლენა გახლდათ. ჩვენთვის ერთმანეთთან ახლოს ყოფნა გახდა აბსოლუტურად ბუნებრივი. "ბობოს" დიდი ნებისყოფა აქვს, მან მაჩვენა სულიერი სიძლიერე, რომელმაც აღმაფრთოვანა. ჩვენ ერთმანეთისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლეთ. ის არასოდეს იმჩნევს, როცა პრობლემა აქვს. მეტიც, კრისტიანი დამშვიდებული ჩანს, მაგრამ ამ დროს ძალიან ნერვიულობს. უგრძნობია, თუმცა სულელივით განიცდის ხოლმე. ჩემი დიდი დამსახურება კი ის არის, რომ მას ლაპარაკი ვასწავლე. ვიყავი მოუთმენელიც, ეგოისტიც და გულგრილიც. მე წინ გადავდგი ნაბიჯი და ისიც წინ წავიყვანე".

## მომავალი და ელიზაბეტა კანალისი

მომავალზე ვიერის ნათელი წარმოდგენა აქვს: "ისე არ არის საქმე, რომ არ მინდოდეს მელისაზე დაქორწინება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამისთვის ორი წლის შემდეგ ვიქნები მზად. ვინც ჩქარობს, ყოველთვის ცდება. ვხედავ, ბევრი წყვილი დაქორწინების შემდეგ ერთმანეთს მალე სცილდება, თან შვილებიც ჰყავთ. ჭკვიანურად უნდა მოვიქცე, მაგრამ მინდა ვიქორწინო მხოლოდ ერთხელ და ვიყო მამა".

საკითხავია, რა არის მელისას ბოლო პრობლემა: ვიერისა და მის ყოფილ შეყვარებულ ელიზაბეტა კანალისს შორის სავარაუდო განხეთქილება?

"კიდევ, რისი უნდა გეშინოდეს? კანალისთან რაც იყო, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ჩვენ აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, არ ვიცნობთ ერთმანეთს, მორჩა და გათავდა... მაგრამ "განხეთქილება" არ არის სწორად ნათქვამი. მე და ელიზაბეტა აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები ვართ. ალბათ, ერთადერთი, რაც ჩვენ საერთო გვაქვს, ისაა, რომ ორივე la Velina-ს მონაწილეები ვართ. მაგრამ კანალისი არის ჩონჩხი, რომელიც დარჩება ტანსაცმლის კარადაში".

**ნოდარ დუგლაძე**



ვიერი და მელისა



ელიზაბეტა კანალისი